

F19.340  
2





20

# სვანური ზღაპრები

შეკრებილი

თავისუფალი სვანის მიერ.

Handwritten notes in a circular stamp:  
23/6 45  
№ 57



მუთაისი

Типо-Литограф. Н. И. Гамрекели. || ციხეთ-ლიცთვტრატეია გამრეჟულისა  
1893

821. 353:2-34



საქართველოს იმერეთის  
სამთავროს ბიბლიოთეკა

თბილისი

საქართველოს იმერეთის  
სამთავროს ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1892 г.

F-19340  
2

საქართველოს  
პარლამენტის  
ბიბლიოთეკა

3  
2. ჯგ. 2  
საქართველოს  
საგარეო  
მინისტროს  
სამსახურის  
სამსახური  
X მუხუხნიელი. \*)

იყო ერთი ღარიბი კაცი; სახელად შარვასრა  
ერქვა. თავს და ცოლ-შვილს მარტო იმით ინა-  
ხავდა, რომ ფიჩხებს აგროვებდა და ქალაქში ჰყიდიდა.  
შოველს დილას ტყეში წაყიდოდა ხოლმე, ფიჩხებს  
მოაგროვებდა, წაიღებდა ქალაქში, გაჰყიდიდა, იმით  
ოჯახის სარჩოს იყიდიდა. მართს დღეს ტყეში არის,  
საიდგანლაც კივილი მოესმა; ისე შეშინდა, რომ გა-  
შეშდა. აცალა ცოტა და თვითონაც დაიკიეღა. ძი-  
დევ მოესმა კივილი. სთქვა: რაც უნდა დამემართოს,  
წყეული ვიყო, თუ არ შევიტყო, რა არის,  
ასე რომ კივისო. მაჰყეა ხმას და თავს წაადგა ორს  
გველს: დიდი გველი დასცემია თავს პატარა გველს  
და არჩობს. დაინახა თუ არა დიდმა გველმა ადა-  
მიანი, პატარა გველს მაშინვე თავი დაანება. ამას,  
რასაკვირველია, ძლიერ გაუხარდა და უთხრა მუფუნ-  
ჩხიელს, — რაც გინდოდეს, მთხოვე და აგისრულებო.  
„ძარგი, ერთი, დამანებე თავი“, მიუვო კაცმა: „შენ რა  
გაქვს, რომ მე მომცეო.“ „მაშ, უთხრა გველმა: მე  
რომ მიწის ხერელში ჩაეძვრები, იცოდე, ნაჯახი დამ-  
კარი კუდზე, მომჭერი და შენი სახლის სვეტის ძირში  
შეინახე, გამოგადგებაო.“ სთქვა. ეს და ხერელში შე-  
ძვრა, შოუქნია კაცმა ნაჯახი და კუდი მოსჭრა, წა-

\*) ფიჩხების გამრედილი.



მოილო შინ, სვეტის ძირში შეინახა. ამ ღამეს არაფერი; დილას რომ აღდგენ, დაინახეს, სვეტი თავიდგან ბოლომდე თვალ-მარგალიტით არის მოქედილი. მოვიდა მუფუნჩხიელი, ჩამოუსვა იქით-აქეთ სვეტს ცოცხი, ჩამოხვეტა თვალ-მარგალიტი, აილო და ქალაქისკენ გასწია. ძალაქში იმდენი რამ იყიდა, რომ ყველა ნაცნობი გააკვირვა: ეინ მისცა ამ საწყალოს ამდენი სავაჭროს ფასიო? ეკითხებოდენ ერთმანეთს. სვეტი კი ყოველ დილას მოქედილია თვალ-მარგალიტით. ისე გამდიდრდა ეს ღარიბი კაცი, რომ ტოლი არ ჰყავდა.

ამ ქვეყანას სცხოვრობდა ერთი ურია. შეეხარბა იმ კაცის სიმდიდრე და არ იცოდა რა ექნა. მრთ ღღეს ურიამ დასაპაღნა ოქროთი ასი ვირი, ასი ჯორი და ესტუმრა მუფუნჩხიელს. ურიამ სთხოვა, თვალ-მარგალიტი გამიცვალე ოქროშიო. ძაცი დათანხმდა: მთელი ურიის ოქრო იყიდა, მაგრამ დანაკლისი არც კი დაემჩნია. ურია უკან დაბრუნდა და ჰკვირობს, რან გამდიდრა ეს კაციო! ძალიან და გულით მოინდომა ამისი შეტყობა. იფიქრა, იფიქრა და ერთს მეცარ ქალთან წავიდა. უთხრა ამ ქალს: „იმას თუ გამიგებ, მუფუნჩხიელი ასე რამ გამდიდრა, რასაც მთხოვ, მოგცემო.“

— ეს აღვილისაქმეაო, მიუგო მეცარმა.

ბღვა ეს ქალი, ჩაიცვა დაკონკილი ტანისამოსი და გასწია მუფუნჩხიელის ცოლთან. მუფუნჩხიელს ნათქვამი ჰქონდა ცოლისთვის, რომ ყოველ გამ-

ვლელ--გამომვლელს ეპატივებოდეს და ასმეე-აკმეედეს.  
„ჩენო, ეუბნებოდა ქმარი ცოლს, დიდი სიღარიბე  
გვაქვს გამოვლილი; იმ დროს ცოტ-ცოტას ყველა  
გვწველოდა; ღმერთმა ეხლა ჩვენც კარგი ცხოვრება  
მოგვცა და მოვალე ვართ, გაჭირებულს ვეწეოდეთ,  
ვეხმარებოდეთ.“

მეცარი ქალი რომშიეიდა მუფუნჩხიელის ცოლ-  
თან, ქმარი შინ არ ჰყავდა. მეცარმა ქალმა ჰკითხა,  
რამ გაგამდიდრათო?

— მაგისი არა ვიცი რაო.

— მაშ, უთხრა მეცარ-ქალმა, რაღა ცოლი ყო-  
ფილხარ, ქმარი მაგასაც თუ არ გეუბნებო.

აღგა, ერთი კარიტგან გამოვიდა და მეორე კა-  
რით ისევ სახლში შებრუნდა და ცოლ-ქმარის სა-  
წოლქვეშ დაიმალა. სალამოს მუფუნჩხიელი შინ მო-  
ვიდა. ცოლ-ქმარმა ეახშამი სჭამეს და დაწინენ. ლო-  
გინში ცოლმა ჰკითხა: „ჩემო ქმარო, თუ გიყვარდე,  
მიტხარი, რამ გაგვამდიდრაო?“ ქმარი უარზე დადგა,  
რად გინდა, რა შენი საქმეაო, მაგრამ ცოლმა საშ-  
ველო არ მისცა. აჰ! სთქვა მუფუნჩხიელმა: ქალები ყვე-  
ლაფერში სულწასული ხართ, და ყოველავე უამბო.  
მეცარმა ქალმა ყველაფერი გაიგონა, ღამევე გამოი-  
პარა, პირდაპირ ურიასთან გასწია, თან ურჩია, მიდი  
და უთხარი იმ კაცს, რომ დაგენაძლიოს: თუ გითხ-  
რა თქო, რანაირად გამდიდრდი, შენს ქონებაზე ხელი  
აიღე და მე დამითმე, თუ ვერ მიუხვდე, მაშინ ღმერ-  
თმა ჩემი ქონებაც შენ მოგახმაროს.

ბდგა ურია და მივიდა მუფუნჩხიელთან, სთხოვა დაენაძლევედეთო. მუფუნჩხიელი რას იფიქრებდა, თუ ურიამ რამე იცოდა იმისი გამდიდრებისა და დაენაძლევა. ურიამ ყველაფერი უამბო და, როგორც პირობა იყო, მუფუნჩხიელის ქონებას თვითონ დაეპატრონა და ცოლ-შვილი სახლიდან გამოურეკა. შეეხვეწა მუფუნჩხიელი: ერთ თვეს მაინც დამაყენე ცოლ-შვილითო, მაგრამ ურიამ ცივი უარი სტკიცა. მეტი ღონე არ იყო, გაშორდა ურიას, ცოლ-შვილი ერთ მადლიან ოჯახს მიაბარა და თვითონ „ქვეყნის მზესთან“ წასვლა გადასწყვიტა.

იარა, ერთ მინდორში მივიდა, ნახა ძუენა ძალღი ოქროს ტახტზე წვეს, ლეკვები უნდა დაყაროს, წვალობს: არც რჩება, არც კედება.

— სად მიდიხარ? ჰკითხა ძუენა ძალღმა.

— აქა და აქაო, უთხრა მუფუნჩხიელმა.

— აბა, გთხოვ ჩემი წვალების მიზეზიც მოახსენო და რამე გამიგო.

— ძარგიო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია.

მართს ეაშლის ხესთან მივიდა. პილო ერთი ეაშლი და უკბიჩა; ისეთი მწარე იყო, რომ ხახა გამოსწვა.

— ჰე! გახმეს შენი ძირიო, სთქვა მუფუნჩხიელმა.

— სად მიდიხარო? ჰკითხა ეაშლის ხემ.

— ქვეყნის მზესთანო.

— აბა, გთხოვ ჩემი საქმეც ჰკითხო. აი, ხედავ, რომ ყოველ წელს მასხია, მაგრამ ნამეტანი მწარე

ვარ და შენ რომ დამწყველე, ყველა ასე მწყველის, ეინკ კი ჩემს ვაშლებს იგემებს. რა მიზეზია, რომ ასე მწარე ვარ, ყველაფერი გამიგეო.

ლატოვა ვაშლის ხე და გასწია. ერთ მწყემსთან მივიდა. ამ მწყემსს თავისი საქონელი მშენიერ საბალახოზე გაუშვია, მაგრამ ისე მკლელდა ჰყავს, რომ ადგილიდგან ფეხს ვერა სძრავს; სხვისი საქონელი გორ ადგილებზე ჰყავს და ისე სუქნად არის, რომ მეტი არ შეიძლება.

— სად მიდიხარო? ჰკითხა მწყემსმა.

— აქა და აქაო, მიუგო მუფუნჩხიელმა.

— აბა გთხოვ, ჩემი საქმისაც რამე გამიგო.

— ძარგო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია

იარა, იარა და ერთს მრეცხელ დედაკაცთან მივიდა. დედაკაცი წყაროზეა; ფეხებამდე წყლის მაგიერ რძე მოუღის, ფეხებთან რომ მოაწევს, რძე სისხლად ექცევა.

— საით მიხვალ? ჰკითხა დედაკაცმა.

— აქა და აქაო.

— აბა, შენ იცი, ჩემს ამბავსაც თუ ჰკითხავო.

— ძარგო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია.

იარა, იარა და, როცა იყო, მივიდა მზის ბინაზე. მზე ამ დროს სანათებლად იყო წასული. მთვარე კი შინ დაუხვდა. მივარდა მუხლებზე მთვარეს, თავის გაკირვება უამბო და სთხოვა,—მზესთან შემწეობა გამიწიეო. მთვარემ დააიმედა: ხელი ხელს იკრა და ეს კაცი სავარცხლად აქცია; აიღო და სახლის



ჭუჭრუჭანაში შედგა. საღამოს მზეც მოვიდა სახლში. ღაღლილობა ეტყობოდა დამჩიმედ დაეშვა თავის სავარძელში. სოტა ხანს უკან სოქვა: „როგორღაც ადამიანის სუნი მეტაო.“

— რა გასაკვირველია, უთხრა მთვარემ, ესეც არის, ეხლა დაჰბრუნდი ქვეყნის მნათებისაკანო.

— ძვეყანას სხვა დროსაც ყოველ დღე ენათებ, მაგრამ ჩემს სახლში ადამიანის სუნი ასე ძლიერ არასოდეს არა მცემიაო, სოქვა მზეც.

ამ დროს მთვარემ ხელმეორედ დაირტყა ხელი ხელს, სავარცხელი ჭუჭრუჭანიტგან გამოიღო, უცებ კაცად იქცა და მთვარემ მზეს შეახვეწა. — „რა გაგკირვებიაო?“ ჰკითხა მზემ. კაციც მოჰყვა თავის გასაჭირს და შეველა სთხოვა. მზემ მოუსმინა და უთხრა: ნუ გეშინია, შენს თხოვნას აგისრულებო. შენ წადი და დაენადლივე ურიას: თუ მზემ ხეალ აღმოსაელგეთიტგან ამოანათოს-ოქო, მაშინ ჩემი და შენი საცხოვრებელი მე მომეცი, თუ არა და რაცა გაქეს, შენვე გქონდეს.

აღგა კაცი, მადლობა გადუხადა და მოდის. ძარამდე მივიდა და იქიდგან ისევ უკან დაბრუნდა. უთხრა მზეს: „ერთი საკითხავი მაქეს და ნუ გამიწყრებიაო“.

— სოქეიო, უთხრა მზემ.

— შენთან რომ ბარად მოვდიოდი, ძუქნა ძაღლი ენახე, ოქროს ტახტზე იწვა, ლეკვები უნდა დაეყარა;

არც კედებოდა და არც რჩებოდა, რამიზეზია, რომ ასე წვალობს და ვერ დაუყრია ლეკვებიო?

— მიზეზი ის არის, უთხრა, მზემ რომ ოქროს ტახტზედ მოარჩინა ძუკნას არ შეშენის, გადმოვიდეს იქიდან, ნაგავზე დაწვეს და მოარჩება.

— მით ვაშლთან მივედი, ძლიერ ბევრი ესხა, ვაშლი მშვენიერი სანახაიეც იყო, მაგრამ ისეთი მწარე იყო, რომ პირში არ ჩაიდებოდა, ნეტავი რა მიზეზია?

— ვაშლის ძირში ოქროს ზოდია დაფლული, ფესვები იმაზე აქვს გაშლილი და მწარეც იმიტომ არის; ამოიღოს როგორმე ის ოქროს ზოდი და ვაშლი გაგემრიელდებაო.

— მითი მწყემსი ვნახე; თავისი საქონელი კარგს საბალახოზე გაუშვია, მაგრამ ძლიერ მკლელა ჰყავს, სხვისი საქონელი გორს ადგილზე სძოვს, მაგრამ ძლიერ მსუქნად არის; ნეტავი რა მიზეზია?

— სხვისი საქონელი და თავისი ერთნაირ საბალახოზე აძოვოს და მისი საქონელიც გასუქდებაო.

— მითი მრეცხავი ქალი ვნახე შეხამდე რძე მოუღის, ფეხთან სისხლად იქცევა, ნეტავი რა მიზეზია?

— მრეცხავს უთხარი, რომ სხვისი სარეცხი უფრო კარგად რეცხოს მინამ თავისი და რძე სისხლად აღარ გადაიქცევაო.

დაუკრა თავი მზეს და გასწია. მოვიდა მრეცხავთან, უამბო, რაც მზემ უთხრა; გამოუარა მწყემსს, იმასაც ყველაფერი უამბო; მივიდა ვაშლის ხესთან ასე და ასე საქმეაო. ამოთხარა კაცმა ძირიდან ოქროს

ზოდი და თან წამოიღო. მივიდა ძუკნა ძაღლთან, უთხრა ყველაფერი; ძუკნა ნავაფზე გადაათრია, მაშინვე დაჰყარა ლეკვები, ტახტი თვითონ წამოიღო და გასწია ურიასთან. უთხრა ურიას: „დაენაძლევედით, თუ ხვალ მზე აღმოსავლეთიდან ამოვიდეს, ჩემი და შენი ქონება მე მქონდეს, თუ არა და ამ ოქროს ტახტსა და ზოდსაც შენ დაგილოცავო.“ ურიას გაუხარდა, აღმოსავლეთიდან მზის ამოსვლა ეის გაუგონიაო და დაენაძლივა. მეორე დღეს მზემ მართლა აღმოსავლეთიდან ამოანათა. ყველა კვირობდა ამ ამბავს. იმ კაცმა ნაძლევი მოუგო და თავისი და იმის ქონება ხელთ იგდო.

მოხუცი სოლ-ქმარი.

იყო ერთი მოხუცი სოლ-ქმარი. ჰყავდათ სამი ქალი-შვილი. ერთობ ღარიბები იყვნენ. დიდს გაჭირებით შოულობდნენ თავისს და ქალიშვილების სარჩოსა. ისეთს გაჭირებაში იყვნენ, რომ სიცოცხლეს სიკვდილი ერჩინათ. ერთს დღეს კაცი ტყეში წაიდა ვაშლის ხე ნახა, რომელსაც მარტოდ-მარტო სამი ვაშლი ესხა; დაარბია ვაშლები, ერთი უბეში ჩაიღვა, მეორე პაიჭში, მესამე ზურგსა და პერანგს შუა და შინ დაბრუნდა.

ძალიშვილები მაშინვე მისციეიდნენ:

- მამე! რა მოგეიტანე, მამე, რა მოგეიტანეო?
- ამოიღო ვაშლები და თვითონ თითო მისცა.
- მამე! ჩვენ მოგიკვდეთ, თუ, სადაც ეს ვაშლია, იქ არ წაგვიყვანო.
- ქარგი, შეილებო, როგორ არ წაგვიყვანო!

ძალიშვილებმა თავი მოაბეზრეს; უნდა როგორმე თავიღვან მოიშოროს. გაუძლვა წინ და მოჰყავს ვაშლის ხესთან, აქ თხრილია გადაბოგირებული შტოებით, ზედ მიწა აყრია თხლად. ამაზე გაატარა მამამ ქალიშვილები და სამნივე თხრილში ჩააციდნენ; გადაათარა ჩელტი და მიატოვა იქ. ქალიშვილებმა ჯერ ტირილი მორათეს, მერმე სიმღერა. მისაც ესმოდა,

ყველა ჰკვირობდა ამათ ტირილ-სიმღერას. ზაიგო-  
ეს კეისარმა, უბრძანა ვეზირებს მოიყვანათ მის-  
თვის სამივე და. წაიღნენ ვეზირები, ამოიყვა-  
ნეს თხრილიდამ ქალიშვილები და მოუყვანეს. ძეი-  
სარს ყველანი მოეწონა ჯა ერთის ცოლად შერთვა  
გადასწყვიტა. ჰკითხა კეისარმა უფროსს დას: შენ რა  
საქმის გაკეთება შეგიძლიაო?—ერთ სახე მატყლისაგან  
კეისარს და მისს საყმოსს შეემოსაეო. საშუალომა უთხრა:  
ერთსახე ძაფისაგან ისეთს ფარდაგს მოექსოვ, რომ კე-  
ისარი და მისი საყმო ზედ დაეტიოსო. უმცროსმა  
დამ სთქვა: ისეთი ქალ-ვაჟი მეყოლება, რომ მზისა და  
მთვარის მზგავსნი იქნებიან. ძეისარმა უმცროსი და  
წაიყვანა ცოლად. მათ თვეს შემდეგ კეისარი სხვა საკე-  
ისროში უნდა წასულიყო, სადაც ერთი წელიწადი უნდა  
დაეყო. დაუბარა თავის ვეზირებს. ჩემი ცოლი მორ-  
ჩება თუ არა, მაშინვე მანარობელი გამომიგზავნეთო.  
სთქვა ეს და წავიდა. უფროსს დებს უმცროსი და  
სიკვდილივით შესძულდათ. მოვიდა დრო ლოგინად  
დაწოლისა. ეყოლა ქალ-ვაჟი მზისა და მთვარის მსგავ-  
სნი. მივარდნენ უფროსი დები ამ ბავშვებს, სკიერში  
ჩაყარეს და ზღვაში ჩაუშვეს. ზღვის პირად მოხუცი  
ცოლ-ქმარი ცხოვრებს. ამათ ერთი თხა ჰყავთ და  
იმის რძით ირჩენენ თავს, თხა ზღვის პირად სძოვს.  
ზაიხედა, — ზღვას რალაც მოაქვს; აგორა, აგორა, ნა-  
პირზე გადმოაგდო. შეხედა თხამ, — სკიერია.  
იცოდებოდა რქებით, გაალო, შიგ მზისა და მთვარის  
მსგავსი ქალ-ვაჟი დაინახა. შიშისაგან საბრალოებს

აგერ ამოძვრებათ სული. ზამოიყვანა, რძე მოაწოვა; ბავშვები აქვე დატოვა, თვითონ კი სალამოსპატრონთან მივიდა. დაუწყო დედა-ბერმა წველა თხას, რძე არა აქეს. გაკვირდნენ ცოლ-ქმარი: რა დემართა ამ ჩვენს თხას, ჩვენს ახლო ადამიანის ქაჭანება არ არის, ვინ მოწველიდაო. მეორე დილას ისევ გარეკეს საბალახოდ. მასწია თხამ და პირდაპირ ბავშვებთან მივიდა, მოაწველინა თაეი, სალამოს სახლში მოვიდა. უნახეს ტუა-რძე არა აქეს. ძალიან შეწუხდნენ. დაწყველილი ვიყო, თუ ხვალ უკან არ გავყვე თხას და არ შევიტყო, რა ემართება მაგის რძეს, სთქვა ქმარმა. მაჰყვა მეორე დღეს, თხას ბავშვებთან მიასწრო. ასე გაეხარდა კაცს ბავშვების ნახვა, რომ სიხარულით ფეხზე აღარ დგას. სთქვა, მადლობა შენ, ლმერთო, რომ სიბერის დროს სხვისი შეილები მაინც მომეცი გასაზღვლად! მოიკიდა ბავშვებითსკივრი და შინ მოიყვანა. სოლსაც ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი. ისე უფლიან, უფროსილდებიან ბავშვებს, რომ ბუზს არ აკარებენ. რძით ბანენ, აბრეშუმის ქსოვილში ახვევენ. ამ გვარებში და ძმა ღამე ოთხ თითს, დღე ერთ ცკაველს სიმაღლეს მატულობდნენ. მრთ წელიწადში დიდები გაიზარდნენ. მაჟი ისეთი მონადირე დადგა, რომ კლდეში ჯიხვები გააწყო და ტყეში ფრინველები. მრთხელ კვისრის სანადირო ადგილებში მივიდა. შეუყვარდა აქაურობა; ისეთი სახლი ააშენა, რომ კვისარის სახლს სჯობია. მოხუცი ცოლ-ქმარი და თაეისი და აქ გადმოიყვანა საცხოვრებლად. მაჟი ყო-

ველ ღღეს ნადირობაში ატარებს, სალამოს ჯიხვი მოაქვს და ამითი არჩენს იმათ. გაუკიათ ეს ამ ეაქის დეიდებს, იხელთეს დრო, როდესაც შინ არ იყო და ესტუმრენ იმას დას. რა კარგი მოსახლე იქნებით, რომ ერთი რამ არ გაკლდეთ, უთხრეს დის წულს.

— რა გვაკლია? ჰკითხა დისწულმა.

— რა, და თორმეტ მთას გადაღმა თეთრ ღვეს თეთრი ვაშლის ხე უდგა, იმის ვაშლებს რომ როგორმე იშოვნოდეთ, მაშინ თქვენისთანა მოსახლე არავინ იქნება, სთქვეს და უკან გაეშურნენ. სალამოს ვაჟი შინ მოვიდა სანადიროდგან. დამ ყველაფერი უამბო. ასე და ასე იყო საქმეო.

— ჩენი ცოდვა ჰქონდეს, ვინც შენ ეს გითხრა, სთქვა ძმამ. იქ ბევრი წასულა, მაგრამ უკან ცოცხალი არავინ დაბრუნებულა.

— წაველ, აბა რას ვიზამ!

მოხუცმა კაცმა ვაჟს სამი ქვის კენჭი მისცა: თეთრი, შავი და წითელი; თან უთხრა: გაჭირვება რამ შეგემთხვეს, ეს კენჭები გადისროლე: თეთრი თეთრ ზღვაში, შავი შავში, წითელი წითელში. მეთრ ზღვიდან თეთრი რაში გამოსტება, შავიდგან — შავი და წითლიდან — წითელი. პილო ვაჟმა კენჭები, და გასწია. მეთრ ზღვამდე მიაწია; გადისროლა თეთრი კენჭი, თეთრი რაში გადმოხტა.

— რა გაჭირვებია? ჰკითხა რაშმა.

— ასე და ასე. თეთრი ღვეის ვაშლების საქმბნელად მივდივარო. — მაშ წაგიყვან, მეტი გზა არ არის,

მაგრამ შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც მე დაგარ-  
გო. ჩვენ რომ დეეთან მივალთ, დევს ეძინება. შენ  
ვაშლები მოჰკრიფე, ერთი ვაშლი ერთს უბეში ჩაიდე,  
ორი მეორეში. ვაშლები უბეში კინწლაობას დაიწ-  
ყებენ და დევს გამოაღვიძებენ, მაგრამ მაშინ ისე დამ-  
კარი მათრახი, რომ ზურგზე სამი საქალამწე ტყავი  
ამძერეს, მაშინ მე ღრუბელს და ცას შუა ავეარდები.  
შეახტა ეყი რაშს და მივიდა დეეთან. დევს სძინავს.  
ვაშლები მოკრიფა და უბეში ჩაიდეა. ვაშლებმა კინ-  
წლაობა დაიწყეს. ამ დროს დევს გამოაღვიძა და უკან  
გამოეკიდა, ესეც არის უნდა დაეწიოს, ჰკრა ეაჟმა  
რაშს მათრახი, ცად ააგდო. ჩამობრუნდა იქიდან, შინ  
მიიყვანა. ძმამ დასვაშლები გადასცა და თვითონ სა-  
ნადიროდ წავიდა. ზაიგეს ეს ქალ-ვაჟის დეიდებმა,  
ისევე ესტუმრენ და უთხრეს თავის დისწულს:

— რა კარგი მოსახლე იქნებით, რომ შენი ძმა ქა-  
ჯეთის ბელმწიფის ქალიშვილს ცოლად მოიყვან-  
დესო. სთქვეს ესა და უკან გამობრუნდენ. საღამოს  
ძმა შინ მოვიდა. ღამ ეს ამბავი დაახვედრა.

— ჩვენი ცოდეა იმათ, ვინც შენ ეს გითხრა: იმის  
შერთვა ბევრმა მოინდომა, მაგრამ ცოცხალი ვერა-  
ვინ ვადურია; წაველ, მაშ რას ვიზამ! აღგადა წავიდა.  
შვე ზღვამდე მივიდა; გადააგდო შავი კენჭი, შავი  
რაში გაღმობტა.

— რა გაგკირვებია? ჰკითხა რაშმა. ეაჟმა ყველა-  
ფერი უამბო. რაშმა უთხრა: აქედამ ცოცხლად დაბ-  
რუნების იმედი არა მაქვს, მაგრამ რას ვიზამ,



უნდა წაგყვე. ის ქალიშვილი მამას კოშკში  
 ჰყავს დამწყვდეული, ვინც კი მისულა იმის სათ-  
 ხოვნელად, ყველა კოშკის ახლო გაცივებულა. მხლა  
 მე რაც გითხრა, კარგად დიხსოვნე: როდესაც ჩვენ  
 კოშკს მიუუახლოვდებით, დაინახავ, რომ ირგვლივ  
 ცხენოსანი და ქვევითი გაქვავებული ფაქვაცების ჯარი  
 არტყია მრავალ კეჟად. როგორც კი მივაწიოთ იქ,  
 ერთი მაგრა გადამკარ მათრაზი, ავტები და ამ ჯა-  
 რის წინ დავეშვები. შეჯდა ვაჟი რაშხედა წაეიდნენ.  
 მივიდნენ კოშკის ახლო, სანამ გაქვავდებოდნენ, დაჰკრა  
 მათრაზი რაშხ, ახტა და ჯარის წინ წამოიქიმა. აქ კი  
 ორივე გაქვავდა. მრთხელ კოშკის თავიდგან იხედება  
 კეისრის ქალიშვილი. შეხედა ამ კაცს შავს რაშხე  
 გაქვავებულს. ასე მოეწონა, რომ თავბრუ დაესხა.  
 როცა გონს მოვიდა, დაიფიცა. რომ ეს კაცი გააცო-  
 ცხლოს და ცოლადაც გაჰყვეს. ამ დღეს არაფერი,  
 მეორე დღეს დილით გადმოვიდა კოშკიდგან, დაჰბერა  
 სული, ეს კაცი და რაში გააცოცხლა. უთხრა: შენო-  
 დენად არაფერ შემყვარებია, თუმცა ურიცხვი ვაჟი  
 მოსულა ჩემს სათხოვნელად; უნდა წაგყვე ცოლა-  
 დაო. მაგრამ მამა ჩემმა თუ შეგვიტყო, ნებას არ  
 მომცემსო, და ვეცადოთ, როგორმე მალულად წა-  
 ვიდეთო. მაქს, რასაკვირველია, ვაეხარდა ეს ამბავი.  
 მოახერხეს ისე, რომ ქალიშვილის მამის შეუტყობ-  
 ლად გამოიპარენ და წაეიდნენ ვაჟის სახლში. დას  
 ძლიერ ვაუხარდა, რომ შმა მშვიდობით დაბრუნდა და  
 ქაჯეთის კეისრის ქალიშვილი ცოლად მოიყვანა.



F-19.340  
2

შთხრა ერთ ღღეს ცოლმა ქმარს, კეისარი დაეპატი-  
 ყოთო.— ძარგი იქნება, მაგრამ დიდი მასპინძლობა  
 დაგვექირდება და იმდენი არა მაქვსო. მაგისი ჯაგრი ნუ  
 გაქვსო, მიუგო ცოლმა. მაგზაფენეს კეისართან კაცი  
 და სთხოვეს მოსულიყო და თავისი საყმოც მოე-  
 ყვანა. ძეისარს გაუკვირდა: რით უნდა დამიხედესო,  
 რომ არაფერი გააჩნიაო, მაგრამ მზინც წაიღა.  
 როცა კეისარი და მისი საყმო შეიკრიბა, გამოვიდა  
 ვაჟის ცოლი და ხმამაღლა დაუძახა ქაჯებს. შრიცხვი  
 ქაჯი გამოცხადდა. შთხრა ქაჯებს, რომ მრავალი სა-  
 სმელ-საქმელი მოეტანათ. მაჯები დაფაცურდნენ. რაც  
 კი სასმელ-საქმელი ქვეყანაზედ იზოვებოდა, ყოვე-  
 ლივე მოიტანეს. ისეთი სადილი აქამეს კეისარს და  
 მისს საყმოს, რომ უკეთესს კაცის ხელი ვერ მო-  
 ახერხებდა. ნასადილევს კეისარმა მადლობა გადუბადა  
 და სთხოვა, რომ ხეალ მას სწვეოდენ ცოლ-ქმარი.  
 ძეისარმა დაპატიჟა აგრეთვე თავისი საყმოც. დას-  
 ხდენ სადილად. მაჟის დედიდები აქ არიან. ამათ იც-  
 ნეს თავიანთი დისწულები— ქალ-ვაჟი და შეწუბდენ.  
 ამ ნადიმში ქალ-ვაჟის დედაც იყო, შავეებით შემო-  
 სილი. თურმე როდესაც ამას ქალ-ვაჟი ეყოლა, მისმა  
 დებმა კეისარს შეატყობინეს, რომ შენს ცოლს ძალ-  
 ლის ლეკვი და კატის კნუტი ეყოლაო. ძეისარმა  
 სხვა არაფერი უყო თავის ცოლს და უბრძანა თავის  
 სიცოცხლეში შავეები ეტარებინა. დედა როგორღაც  
 გულით მიხვდა, რომ აქ მისი შვილები არიან. წა-  
 მოდგა ფეხზე და კეისარს ორიოდ სიტყვის თქმის ნე-

ს ა ტ ა რ თ ვ ა ლ ო ს  
 ა ქ რ ე ლ მ ი მ ნ ო ბ ი ს  
 ე რ ო მ ნ ო ს ო ლ ი  
 ზ ი გ ლ ი ო თ ე ქ ა

ბა სთხოვა. ქვისარმა ნება მისცა. მოჰყვა ეს ქალი და  
თავი დგან ბოლომდის წარმოსთქვა თვისი თავგადასა-  
ვალი. როდესაც გაათავა, ველარ მოითმინა და  
შვილებს გადაეხვია. შვილებს კიდევ უფრო გაუხარდათ  
ღვდის ნახვა. ქვისარმა უფროსი დები გაუხედნელ  
ულაყების კუდებზე მოაბჰვეინა და ისე გაუშვა. სალა-  
მოს ქუსლები დააბრუნეს ულაყებმა. ნამდილოს  
ცოლს შავები გახადა და სადღღოფლო ტანისამოსი  
ჩააცვა. თავისი ქონება შვილებს გადასცა.

დალოცვილ იყავით.



Handwritten signature and stamp at the top of the page.

ს ა მ ი ძ მ ა

ღმერთმა დაგლოცოს და... იყო სამი ძმა. მათი ქონება იყო ერთი ყანა. ხარი და ძროხა, ერთი ვერძი და ერთი გოდორი საკმეველი. შეროსი ძმები ცოლიანები იყვნენ, უმცროსი-კა უცოლო. შეიძულეს რძლებმა უცოლო მაზლი და სიცოცხლე გაუმწარეს. უმცროსმა ძმამ უთხრა თავის ძმებს: მე თქვენს ცოლებს ვერ გაუძლებ და, სჯობს, გავიყარეთო.

— რატომ შე, საწყალო! მაგრამ რა უნდა გავიყოთ, რომ არაფერი გვაქვს. მიუგეს უფროსმა ძმებმა.

— სხვას არაფერს გთხოვთ, უთხრა უმცროსმა, ვერძი და გოდორი საკმეველი გამიყავით და დანარჩენი ღმერთმა თქვენ მოგახმაროსო. -- აბა რას მოგცემთ, თუ ამასაც არ გარგუნებთო და მისცეს კიდეცა. ჩააბა ვერძს ბაწარი, საკმეველი გოდორით ზურგზე მოიკიდა და გაუდგა თავის გზას.

იირა, იარა და ერთ კლდესთან მივიდა. აქ ვერძი კლდეზე მიაბა, თვითონ კლდის თავზედ ავიდა და აიტანა საკმეველი, დაანთო ცეცხლი, საკმეველი ზედ დააყარა და დააკმია. ამ დროს (დიდება მისს სახელს), ქვეყნის ბატონი (ღმერთი) სადილათ ზის; წმინდა ბიორგი და მიქელ მთავარ-ანგელოზი გვერდს უსხედან. საკმევლის სუნმა ამათ სუფრაზე მოაწია.

— ამისთანა კარგი სუნი არაოდეს არ მიყნოსია,

სთქვა ლმერთმა: გამეგზავნეთ, უთხრა წმ. ბიორგის და მთავარ ანგელოზს და შემიტყუეთ, ვინ არის ჩემი მახე-  
წარი და, რაც ექირებოდეს, ყველა აუსრულეთო.

წამოვიდნენ ესენი, მივიდნენ ამ კაცთან. ჰკითხა  
წმ. ბიორგიმ: რა გაგქირებია შე, საბრალო კაცი,  
და რას ეხვეწები ქეიყნის ბატონსო?

— ჰ! მიუვო კაცმა, როგორ რა მექირებია! ჯერ  
ცოლი უნდა ეიშოვო და მერმე საცხოვრებელი.

წმ. ბიორგიმ და მთავარ-ანგელოზმა კეისართან  
გასწიეს და ესტუმრენ. ქეისარს სამი გასათხოვარი  
ქალიშვილი ჰყავს. წმ. ბიორგიმ და ანგელოზმა  
უთხრეს კეისარს: „მიეცი ერთი შენი ქალიშვილი ამა  
და ამ კაცსო.“

— საიდგან უნდა მესცე, რომ სამი ქალიშვილი  
მყავს და სამი სასიძო სახლში მიზის, მიუვო კეისარმა.

— მაშ თუ ასეა, სთქვა წმ. ბიორგიმ, მე და შენი  
სასიძოები დაენაძლევედეთ: ვინც აჯობოს, იმას დარ-  
ჩეს შენი ქალიშვილი ცოლადაო.

— რაზე?

— რაზედა, მიუვო წმ. ბიორგიმ: კერასთან—ცეც-  
ხლის პირად, ვაზები დარგონ შენმა სასიძოებმა და  
ჩვენმა კაცმა; ვისმა ვაზმაც იხაროს და ზევით ყურ-  
ძენი მოისხას, შენი ქალიშვილი ცოლად მან წაიყვა-  
ნოს.

— ძარგიო, უთხრა კეისარმა და დაუძახა თავის  
სასიძოებს.

#

წმინდა ზიორგიმ ის კაცი მოიყვანა. ღარგეს თვითოულად ვაზები. ამ კაცის ვაზმა იხარა და ყურძენიც მოისხა; სხვა სასიძოვების დარგული ვაზები ყველა გახმა. მერაფერი ვერა სთქვა კეისარმა, სამ ქალიშვილში აარჩიენინა ამ კაცსა და მისცა ცოლად.

შემდეგ წმ. ზიორგიმ ამ კაცს პირსახოცი მისცა და უთხრა: აი, კაცო, წაიღე ესა და წადი. სადაც საცხოვრებლათ აღგილი მოგეწონოს, იქ ცერად დააყენე—სახლ-კოშკი აშენდება, გვერდზე დაჰფინე—სახნაე-სათიბი აღგილები გაჩნდება, დაკეცე-ტყის ფოთოლივით მოცივია ოთხფეხი საქონელი.

ქაცმა მადლობა გადუხადა და წავიდა. იარა; იარა, ერთ მინდორში მივიდა. ახედ-დახედა მინდორს, მოეწონა და სთქვა: ეჰ! სწორედ აქ უნდა დავესახლოო. დააყენა პირსახოცი ცერად, შშვენიერი სახლ-კოშკი აშენდა; გვერდზე დააფინა — თვალ-უწვდენელი სახნაე-სათიბი გაჩნდა; დაჰკეცა—იმდენი სულდგმული მოზღვაედა, რომ ტყეა არსად არის. ისე დავესახლა ეს კაცი, რომ ამდენი ქონება კეისარსაც არა აქვს. ღმერთთან წასელის დროს წმ. ზიორგიმ კიდევ ინახულა ეს კაცი და უთხრა: აბა, შე, კაცო! ერთ საქმეს გაეაღებ, იცოდე, რომ ვინც უნდა მოგადგეს კარს სტუმრად, არამც და არამც უარი არ უთხრა. დალოცა და წავიდა. მოეწია ეს კაცი და უთხრა: „ყველაფერი კარგათ მოაწყეთ ჩემი საქმე, მაგრამ ერთი რამე მაკლია: შეილებს მომცემთ, თუ არაო?“ — ეჰ! უთხრა

წმ. ბიორგიმ, ადამიანი ყოველთვის ხარბია! ესთხოვე ქვეყნის ბატონს და მოგცემს შეილებსო.

მივიდა ქვეყნის ბატონთან, დიდება მის სახელს; ბიორგიმ ყველაფერი უამბო და ბოლოს დაამატა: შეილები გთხოვია იმ კაცმა და მისცემ, თუ არაო?

— მიესტემო, სთქვა ქვეყნის ბატონმა: ერთს ვაფს და ერთს ქალიშვილს, მზისა და მთვარის მსგავსს, მაგრამ იმ პირობით, რომ ვაჟმა შუახნამდის იცოცხლოს და მერე აღიდებულის წყლის წერა იყოს; ქალიშვილი კი, შუახნის შემდეგ, — თოელის ზევისაო. უთხრა წმ. ბიორგიმ: მზისა და მთვარის მსგავსი შეილები არაფრად საჭიროა მაგისტუსს; მიეკი თავისი მსგავსი შეილები და აცოცხლესიბერემდის. მჰ! წმ. ბიორგი, რა არის, რომ შენ მუდამ ადამიანის მხარე გიჭირავს, რა ეუყო, შენი სიტყვა იყოს: ვაძლევ ქალ-ვაფს. მყოლა ამ კაცს შეილები, ისეთი კარგები არიან, რომ კეისარს შეჭუფრის იმათი შეილობა.

ბაჟიდა რამდენიმე წელიწადი. სთქვა მიქელ-მთავარ-ანგელოზმა: ასე არა და, წმ. გიორგი! მოდი, ვესტუმროთ ჩვენ მიერ დასახლებულს კაცს, გამოეცადოთ: ახსოვს, თუ არა ჩვენი ნათქვამი სტუმრის მიღების შესახებო. წმ. ბიორგი დასთანახმდა. ორივემ მოხუცის კაცის სახე მიიღეს და გასწიეს. თან აუდარი გაიყოლიეს; მიაღვენ ამ კაცს სალამოს, დაუძახეს: კაკო, მაღლი ჰქმენ, კოცტბამდე დასველებული ვართ, სიცივით ვკვდებით და ამაღამ როგორმე ბინა მოგვეციო.

— ღიახ! რამდენი ვიგინდარა თრევა-წოწიალს დაიწყებს, ყველას მე უნდა მივსცე ბინა! არ უშვებს ეს კაცი სახლში, მაგრამ ძალა მიაყენეს და შინ შევიდნენ. სთხოვეს ეახშამი, მაგრამ მასპინძელმა არათუ არ აღირსა. სოტა სასმელი მაინც მოგვიტანეო, უთხრეს ამ კაცს არც მას შერებოდა, მაგრამ საშველი არ მისცეს და, როგორც იყო, დაითანახმეს, გაგზავნა შეილები ქურებზე სასმელის მოსატანად. წმ. ბიორგიმ თავისთვის წაიჩურჩულა: ორივე შეილები ქურში ჩაეარდით და დაირჩევითო. მართლაც ქურში ჩაეარდნენ. უთხრა წმ. ბიორგიმ ამ კაცს: წადი, კაცო, შეიტყე, რატომ დააგვიანდათ შენს შეილებს ქურზეო! წაეიდა კაცი, ორივე შეილი დამრჩეალი ნახა ქურში. ამოიღო იქიდან, ერთი ერთს იღლიაში ამოუდგია, მეორე მეორეში და შემოიტანა სახლში. დაიწყეს ტირილი დედ-მამამ; ამათი ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა. შეეცოდა წმ. ბიორგის, მოუსვა თავის პირსახოცი მკედარ ბავშვებს, ორივე გაცოცხლდა; კაცს უთხრა: ჩვენ შენი დამსახლებელნი ვართ, ჩვენს ნათქვამს აწი მაინც თუ არ აასრულებ, შეილებსაც დაგიხოცაეთ და შენ ცხოვრებასაც მოესპობთო. ძაღვმა უთხრა: ოღონდ ეხლა მაპატივეთ და აწი თქვენს სიტყვას თუ გადაეუდგე, მაშინ, რაც გინდოდეთ, ის მიყავითო.

ღმერთმა დაგლოცოსო.





მსხ. მოც

M



მ ე წ ი ს ქ ე ი ლ ე .

იყო ერთი მეწისქვილე. სამი ქათამი ჰყავდა. მს-  
 ქათმები დილასაც უდებდენ კვერცხსა და სალამოსაც და-  
 ამით იკვებავდა თავს. ისე უფროხილდებოდა ქათ-  
 მებს, როგორც თავის თავს. მიეპარა ერთხელ მელა-  
 და ერთი ქათამი წაართვა. ძლიერ შეწუხდა მეწის-  
 ქვილე, მაგრამ რა გაეწყობოდა. ღარჩა ორი ქათამი;  
 რომ იმათაც არაფერი შემთხვეოდათ, დაამწყვდია სა-  
 ქათმეში. სამი დღე ჰყავდა დამწყვდეული, მეოთხე  
 დღეს კი გამოიპარენ საქათმედან. მიეპარა მელია და  
 ისინიც მოიტაცა. მხლა უფრო შეწუხდა მეწისქვილე  
 და გაჯავრებული წაეიდა მელიას საძებნელად. პიარ-  
 ჩაიარა, წისქვილზე მოვლებულ ღობესთან ხერელს  
 წაატყდა. იფიქრა, სწორეთ ამაში უნდა იყოს ჩემი  
 დამლუპავი მელა და ხერელის პირზე მახე დაუგო-  
 და წისქვილში დაბრუნდა. მიეიდა მეორე დღეს და  
 მელია მახეში გაბმული კი ნახა.

მალლობა შენდა, ღმერთო, ეხლა კი ამოვიყრი  
 შენს ჯავრს, ჩემო დამლუპავო მელიაეო. ღაანთო ორ  
 ადგილას ცეცხლი, შუაში მელია ჩააბა. სოცხლად  
 უნდა შეგწვაო. — შე, კაცო, უთხრა მელიამ, ნუ მომ-  
 კლავ და ქონებას შეგძინო. — ისე ღმერთი შენ გიშვე-  
 ლის, შენ მე ქონება შემძინო, ჩემი ქათმები არ  
 შეგეკვამა ის მერჩიაო. ახლო მიუფიცხა კიდევ ცეც-

ხლი: ეხლა არც მოგკლავ და არც გაცოცხლებ, ისე გაგაწვალებო. — შე, კაცო, უთხრა მელიამ, რა შეგეძინება ჩემის ამ გეარის სიკვდილით! ტყავი გამერუჯება და ჩემი ხორცი ხომ საქმელად არ ეარგაო. ჩაფიქრდა კაცი მელას სიტყვებზე და სთქვა: მართალს ამბობს, რას გამოერჩები ამის სიკვდილით და გაუშვა. წასვლის დროს უთხრა, აბა შენ იცი, თუ რამე სიკეთეს მიზამო.

ბაუხარდა მელიას, კაცს მადლობა გადუხადა და გასწია. იარა, იარა ერთ კლდის ძირში მივიდა. ძლდის თავზე კეისარი სცხოვრობდა ასეთი მდიდარი, რომ ტოლი არ ჰყავდა. ძეისარს სამი ქალიშვილი ჰყავდა გაუთხოვარი. მსტუმრა მელია ამ კეისარს და უთხრა: შენი ნება თუ იქნება და დამიმადლებ, კარგს სასიძოს გიშოვნო. ძეისარმა უთხრა, დიდად დაგიმადლებო. სთხოვა მელიას, მოესვენა, პური ექამა, მაგრამ მელია არ დათანახმდა. მართი კათხა არაყი ზეზე დალია და გასწია მეწისქვილესთან. მაიხარე, კეისრის ქალიშვილი გიშოვე ცოლათაო! ისემც ლმერთი გიშეელის, მე ამოსერილს კეისარმა თავისი ქალიშვილი მომცესო! მე დამიჯერე და ფიქრი ნუ გაქვს, იცოდე, მოვახერხებო, უთხრა მელიამ მეწისქვილეს; დაიყოლია და წაიყვანა. იარეს, ერთ მდინარეს მიადგენ. მდინარეზე ხიდი იყო. მელიამ ნაჯახი დაჰკრა ხიდს და წყალში ჩააგდო; უთხრა მეწისქვილეს: ეხლა შენ აქ მომიცადე, მე წავალ კეისართან და საქმეს მოვახერხებო. გასწი, მელიამ კეი-

სართან. ძეისარს თავისი საყმო შეუყრია და მოუთმენ-  
 ლად მოელის სასიძოს. შთბრა მელიამ კეისარს.  
 ძეისარო! შენმა სიცოცხლემ, შენს სასიძოს ხიდი ჩა-  
 უტყდა, საქორწილო ტანისამოსი და ცხენი, მოკე-  
 დილი აღვირ-უნაგრით ყველა მდინარეში ჩაუცვივდა;  
 გაუგზავენე ტანისამოსი და ცხენი, თორემ სანამ სახლ-  
 ში დაბრუნდება, ხელ-ახლა ტანისამოსს გამოიცვლის,  
 მანამ დაგვიანდებაო. კეისარმა ამოარჩია ერთი ხელი  
 საუკეთესო ტანისამოსი, გამოაყვანია მდიდრულათ შე-  
 კაზმული ცხენი და ჩააბარა მელიას. დაბრუნდა მე-  
 ლია უკან, მეწისქვილეს ჩააცვა მდიდრული ტანისა-  
 მოსი, შეაჯდინა ცხენზე და მიაყენა კეისარს კარზე.  
 ძეისარი და მისი საყმო ფეხზე მდგომი შეხვდა სასი-  
 ძოს, მისცეს ერთმანეთს სალამი და მერმე კეისარმა  
 სასიძოს მდიდრათ მორთული სახლი მიუჩინა ბინად.  
 შევიდა მეწისქვილე სახლში, გაოცდა, გონება დაებნა;  
 თავის დღეში ამას წისქვილის მეტი არაფერი ენახა  
 და, რაკი ეს მდიდრულად მორთული სახლი ნახა,  
 გაკვირების გამო, არც სკამდა, არც სეამდა: თვალეზი  
 სულ კედლებზე ჰქონდა მიფაციცებული. მელია ხე-  
 დაეს ამას და ჩუმათ ეჩურჩულება: „შე საწყალო, რა  
 პირი დავიღია, რისა გეშინია, გაიმაგრე გული, არ  
 დამკლა, არ შემარცხინო.“ მაგრამ მეწისქვილე მაინც  
 გაკვირებული იყო და გაოცებული. ძეისარს გაუ-  
 კვირდა სასიძოს ამ გვარისაქციელი და მელას ჰკითხა:  
 მელავ, რა აშბავია, რომ სიძე არცა სეამს არცა  
 სკამს და სულ კედლებზე მისჩერებიაო?--ძეისარო, შენმა



სიცოცხლემ, მაგისი სასახლე შენ არ გინახავს, ლა-  
პარაკი მიყვარს, მისს მდიდრათ მორთულ სახლებთან  
შედარებით, შენს სასახლეს, ცოტა არ იყოს, სწუნობს.  
ტიესარმა მეორე უკეთესს სახლში გადაიყვანა სასიძო.  
აქაც ისე ხამად ექირა თავი მეწისქვილეს, როგორც პირ-  
ველ სახლში. სთქვა კეისარმა: არც ეს სახლი მოეწონაო  
და მესამე საუკეთესო სახლში გადაიყვანა. როდესაც მი-  
დიოდენ, მელიამ გზაზე მუჯღუგუნე ჩაჰკრა მეწისქვილეს  
და ჩაუჩურჩულა: სახლში რომ შეხვიდეთ, ღმერთი არ  
გავიწყურეს, იქით-აქეთ თვალების ფაცური არ დაიწყო,  
სასმელ-საქმელი, რაც მოგიჭანონ, ყველა სეი და ქა-  
მე, თორემ თუ აქაც ხამად მოიქეცი, დაიღუპა ჩვენი  
საქმეო. ეს მესამე სახლი შიგნით ვერცხლითა და ოქ-  
როთი იყო მოქედლილი. მეწისქვილემ ამ სახლში ერთი  
კი გადააელო თვალი კედლებსა და სახლის მოწყო-  
ბილობას და მერმე სულ აღარ შეხედა; ბევრი ჯამა  
და ბევრი სეა. ტეისარს გულში უხარიან, ეხლა კი მო-  
ეწონა სასიძოს ჩემი სახლიო. მეორე დღეს სამი ქა-  
ლიშვილი მოჰგვარა, ამოირჩიეო. ქეელას სჯობდა  
უმცროსი, და ეს გამოურჩია მელიამ.

ტიესარჰა თავის ქალიშვილს უზომო მზითვეი,  
გაატანა, მრავალი მაყარი გააყოლა და გაუშვა. რომ  
გამოსცილდენ კეისარის სასახლეს, მეწისქვილემ  
უთხრა მელიას: მელიაე, სად უნდა მივიყვანოთ ამდენი  
მაყარი? — შენ ნუ გაქვს მაგისი ფიქრი. მე წინ  
წავეალ, ვიშოვი სადმე სახლს, არამც და არამც ლამე  
არსად გაჩერდე, მომდიე უკან და იარე, სანამ ჩემთან არ  
მოხვიდოდეო, და გასწია მელიამ. მართის შავის კლდის



ძირში მივიდა, სადაც სამი დევი სცხოვრობდა. შე-  
იქერიტა კარში, ნახა, რომ დევებს ოქროს კათხა-  
ტაბაკი უდგიათ, ხარი შამურით ცეცხლზე უვიცი-  
ათ და ოქროს ქახრაკი ტრიალებს. შევიდა თუ არა  
დევებთან, შესძახა: ჰე! თქვენ ბილწებო! ნუ თუ ვერ  
გაგიგიათ, რომ კვისარი თავისი საყმოთი და დიდი  
ჯარით მოედვა აქაურობას, უნდათ დევების ნატა-  
მალი არ დატოვონ: ყველას ამოგწყვეტნო. დევები  
შიშმა აიტაცა და მელას შეეხვეწენ: აბა, ჩვენო  
მელიაე, გვიშველე რამეო!—გიშველით, აბა, რა სეი-  
ზამო. ამოდით, აი იმ კლდეს რომ ღრმა თარო აქვს,  
იმაში შედით და, სანამ ამ არემარედან არ წავიდენ,  
არ გამოხვიდეთო და მერე მე თვითონ ამოგიყვანთო.  
დევებმა დაუჯერეს. პირველათ წაიყვანა უფროსი  
დევი და აჩვენა კლდის თარო. თაროში მალლიდან  
იყო ჩასახტომი და იქით დიდი კლდე იყო, დევს შე-  
ეშინდა გადახტომისა, მაგრამ მელიამ შეაგულიანა; ახტა  
დევი, თავი ველარ შეიკავა, გადასცილდა თაროს და  
კლდის ძირში ბრაგვანი მოაღინა. ასე უყო მელიამ  
ორს დანარჩენსაც. დევები რომ ყველა ამ რიგათ და-  
ხოცა, მელია მაყრების მისაგებებლად წავიდა.  
შებნდა, გამარჯობა უთხრა და მიუძღვა დევებს სახლ-  
ში. აქ სუფრა გაშლილი იყო. ვისაც რამდენი უნ-  
დოდა, სეა და ჰამა. მაყრები შინ დაბრუნდენ. მე-  
წისქვილზე თავისი ცოლით დევების ქონებას დაეპატ-  
რონა. მელია თავისთვის წავიდა.

ჩვენ მშვიდობა. სანამ ეს მართალი არ იყოს,  
მანამ არაფერი გვეტყინოს.

ცხრა ძმა.

ერთ კაცს ცხრა ვაჟი ჰყავდა. ერთ დროს, როდესაც იგინი წამოიზარდნ, მამას სთხოვეს, კოლები შეგვრთეიო.

— მაგრამო, უთხრეს შეილებმა, ისეთი კაცი უნდა მოძებნო, რომ იმდენივე ქალიშვილი ჰყავდეს, რამდენიც ჩვენ ძმები ვართ, (ცხრა) სხვა და სხვა კაცის შეილებს არ შევირთაეთო.

— შეილებო, ლმერთმამოგიწყოსთ ხელი, მაგრამ მე ძლიერ მეეჭვება, რომ მოძებნოს სადმე ამნაირი კაცი, — მე მაინც არ დაგაკლებთ ჩემს შემწეობას, უთხრა მამამ, გაუდგა გზას. იარა, იარა და კარს მიაღდა ერთ დღეს.

— ღეო, რამდენი ქალიშვილი გყავს? ჰკითხა მან.

— მქესი, მიუგო დემა.

— მაშ მე არ მიხერხდება უენი მოყვრობაო.

ზანაგრძო გზა. მზლა მეორე დღეს მიაღდა კარს.

— ღეო, რამდენი ქალიშვილი გყავსო? ჰკითხა ამასაც.

— შედიო, უთხრა დემა.

— მაშ მე არ მარგობ უენი მოყვრობაო.

მოშორდა ამას და გასწია. იარა, იარა და ერთ კეისართან მივიდა. შეიტყო, რომ კეისარს რვა ქალიშვილი ჰყოლიაო, ყველა გასათხოვარი და ერთი მე-



ორეზე უკეთესი. ჩაფიქრდა ეს კაცი: რა ქნას, დემოკეროს კეისარს, — ერთი შეილი უცოლოდ ურჩება, და ცხრა ერთადსად მონახოს? ეჰ! რაც მოხდება, მოხდეს. იფიქრა, იფიქრა მან და გაუგზავნა კეისარს მაშვალი და მოყერობა სთხოვა. ძეისარი დასთანახმდა, გამოაწყო რვა ქალიშეილი საქორწილოთ, ნახევარი თაისი ქონება გააყოლა მათ მზითვათ და გაატანა ამ კაცს. მოდის ეს კაცი შინ, მოჰყავს თან რვა ქალიშეილი. მრთი ხიდი უნდა გაიარონ. შეჩერდა ცოტა ხანს ამ ხილზე კაცი. ხიდის ქვეშიდგან წითელმა დეემა ამოყო ხელი, წააელო ამ კაცს ხელი და გააჩერა: არც წინ უშეებს, არც უკან.

— მინ ხარ, ან რა გინდა? დაუძახა კაცმა.

— მე ვარ წითელი დეეი, თუ შენი შეილის ბულათის გამოგზავნას არ დამპირდები, არ გაგიშვებ. რას იზამდა, მეტი ღონე არ იყო, დაჰპირდა. მოდის ეს კაცი, მაგრამ დანა კბილს არ უხსნის; თითქო ყველა შეილები ამოსწყვეტოდა. შეიტყის შეილებმა მამის მოახლოებება და წინ შეეგებენ. ყველაზე უწინ ბულათი შეხედა.

— მამა! მადლი და დიდება ღმერთს, რომ შენც მშეიდობით დაბრუნდი და შენი შეილების საცოლოებიც მოგყავს. მამამ ხმა არ გასცა. ბაუკვირდა ბულათს და ისეე უთხრა:

— მამა! მადლი შენსა და ჩენს სალოცავს, რომ შენც შინ მშეიდობით მოდი და შენი შეილების საცოლოებიც მოგყავს! მამამ არც ექლა გასცა ხმა.



ღაღონებულმა ბულათმა დედასთან გასწია და შე-  
ეხვეწა.

— დედავ, მე მოგიკედე, თუ მამას არა ჰკითხო, რა ამბავია, რომ ხმას არა მცემს.

მამამ რვა რძელი სახლში მოიყვანა. სოტა ხანს იქით ცოლი დაეკითხა ქმარს: რატომ არა ელაპარაკები ბულათსო?

მმ! ნეტაფი ყველა შეილება დამხოცოდა და ამას არ მოვსწრებოდდი, რასაც მოვესწარიო: წითელი დევი დამზედა ხიდზე, სანამ ბულათის თავს არ შეეპირდი, მანამ არ გამომიშვა, აი ამიტომ ვარ გლაზა გუნებაზე და ამიტომ არ ეელაპარაკები ბულათს.

ბულათი ამ დროს კარებთან იდგა და ყურს უგდებდა. გაათავა ლაპარაკი თუ არა მამამ, მაშინვე მიიქრა მასთან ბულათი და უთხრა:

— მამავ! ამისთვის შენ რას სჯავრობ? მე დღესვე გაესწევ დეეთან და, იფიქრი ნუ გაქვს, მე არაფერი მიშავს! მოემარაგა ბულათი და წავიდა დეეთან. მსპირ-დაღებული ელის ბულათს; დაინახა თუ არა, ისეთი გაუხარდა, თითქო ცის კარი გაღებოდეს.

— ჩემო ბულათო, აბა გამეგზავნე...

— შე ფინთო, შე ბილწო, ჯერ არაფერი გამეგება და სად უნდა გაგეგზავნო! სოტა ხანს მომასვენე და მერმე სადაც გინდა გაგეგზავნები. სოტა ხანს უკან დეემა ისევ უთხრა:

— აბა, ჩემო ბულათო, ეხლა გამეგზავნე კეისართან, მას ერთი ტურთვა ქალიშვილი ჰყავს, ის მო-



მიყვანე ცოლად. ბულათი კარში გამოვიდა. პრ იცის, რა ქნას. ამ დროს ერთი დედაბერი დაინახა, მიუბრუნდა და უთხრა:

— დედაბერო, ჩემი საქმე ასე-და-ასეა, მაღლი ქენი, მასწავლე, როგორ უნდა მოვიქცეო.

— იმ კეისართან ბერი მისულა ქალიშვილის სათხოვრად, მაგრამ ცოცხალი კი არაინ დაბრუნებულა, უთხრა დედაბერმა, მაგრამ შენ ფიქრი ნუ გაქვს; შე რომ დაგარიგო, ისე იარე და არაფერი გიშავსო. გზაზე შენ შემოგხედება სამი კაცი: ერთი მათგანი ძლიერ ბევრსა სჯამს, მეორე ბევრსა სევამს და მესამე დიდ ტვირთს იკიდებს; იცოდე, სამივენი უნდა წაიყვანო კეისართან: გაქირების დროს გამოგადგებიან.

ზამოეთხოვა ბულათი დედაბერს და გასწია. შრთს მინდორში კაცს შეხვდა; ეს კაცი ჰგლეჯს მიწის ბელტებს, ჰყლაპავს და მაინც იძახის: მშიან, მშიანო! სთხოვა ამ კაცს წაყოლა, წაჰყევა ეს კაცი. ზაიარა დიდი მანძილი, შეხვდა მეორე კაცს. ამას ხახა ჩანჩქერისათვის მიუშევრია და მაინც იძახის: მწყურიან! მწყურიანო! ამასაც სთხოვა წაყოლა; წაჰყევა. მიდიან სამნივე, შეხვდნენ მესამე კაცს. რაც მინდორში ქვა არის, ყველა ზურგზე დაუყრია, მაინც იძახის: ტვირთი მინდა! ტვირთი მინდაო! სთხოვა ამასაც წაჰომეყევიო; ესეც გაჰყევა. მასწიეს და კარს მიადგნენ კეისარს. ბულათმა ქალიშვილი სთხოვა საცოლოდ. ქეისარმა შემოუთვალა.

— ოუ შენ და შენი ამხანაგები ცხრა გოდორ პურს შესჯამთ დილიდამ სალამომდის, მაშინ მოგცემ ქალიშვილს. ბულათმა უთხრა დიდ-ქამიას:

— მინდორში ბელტებს ერთი-მეორეზე ჰყლაპავდი და მაინც მშია-მშიას იძახოდი, აბა, თუ რამე შეგიძლია, ეხლა უნდა გამოიღო ხელი. მოუტანეს ცხრა გოდორი პური; მიუშვეს დიდ-ქამია, სალამოს ნამცეცი არ გადარჩენია. ბულათმა ეს ანბავი კეისარს შეატყობინა და სთხოვა ქალიშვილი. ძეისარმა შეუთვალა, ერთს საქმეს კიდევ შეგიკვეთ, იმასაც თუ ასრულებთ, მერმე მიირთვით ჩემი ქალიშვილიო.

— ოუ შენ და შენი ამხანაგები ერთ ჭურს ბანგს დალევთ, მაშინ მოგცემთ ქალიშვილსაო. ბულათმა დიდ-შამელს სთხოვა ამ საქმის შესრულება. მიაღვა იგი ჭურს და ისე ამოცალა, რომ ცვარი არ დუკოვებია. შეატყობინეს კეისარს. ძეისარს ეს ამბავი არაფრათ იამა. არ უნდა ქალიშვილის მიცემა, მაგრამ რას იზამს? შეუთვალა ბულათს, რომ სამი დღე მაკალე და მერმე მოგცემ ქალსაო. მს ბულათმა არა ქნა: თუ მომცემთ ნებით, ხომ კარგი, თუ არა და შენს უნებურად წაეიყვანო; უთხრა თავის ამხანაგ მტვირთველს: აბა, შენ იცი, თუ რამე შეგიძლია, ეხლა გვინდა შენი ხელიო: მოიკიდე როგორმე კეისარის სასახლე და გასწიე. ამან მოსდვა ხელი კეისარის სასახლეს, შეიგდო ზურგზე და მიაქეს. შიგ არიან კეისარი და მისი ქალიშვილი. ძეისარს შეეშინდა, სთხოვა ბულათს, თვითონ დაეტოვებინა და ქალიშვილი წაეყვანა. ბუ-

ლათი დაყაბულდა. ქეისარმა ქალიშვილს მრავალი სიმდიდრე გააყოლა, დალოცა და გაუშვა. მოდის გახარებული ბულათი, მაგრამ ერთი რამ აწუხებს: როგორ დაუთმოს კეისრის ქალიშვილი დევს! მოაწია დევის ბინამდარს. სანამ მასთან შევიდოდა, ნაცნობ დედაბერთან გასწია. შთხრა, ასე და ასეა ჩემი საქმე, მირჩიე რამეო. დედაბერმა ურჩია: ქალიშვილს დევის სახლში ნუ შეიყვან, ჯერ უთხარი დევს, ქალი მოგიყვანე და კარზე ნახე თქო, კარებში რომ გამოყოფს თავი, დოლაბი, რომელიც იქვეა ჩამოკიდებული ჭახრაკით, ისე ჩამოაგდე, რომ დევს თავზე დაეცეს. თუ ეს მოახერხე, შენი საქმე გაკეთებულიაო. ბულათი ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა ურჩია. შთხრა დევს:

— შე, ბილწო! მოგიყვანე კეისრის ქალიშვილი, გარეთ არის და ნახე. დევი სიბარულმა აიტანა, მაშინვე გამოეშურა კარისაკენ. დაედევნა უკან ბულათი, და, როცა დევმა მიაწია იმ ალაგას, სადაც დოლაბი იყო დაკიდებული, დაუტრიალა ჭახრაკი, ჩამოვარდა, დაეცა დოლაბი დევს თავზე და მტერად აქცია. ბაუხარდა, რასაკვირველია, ბულათს. დევის ქონება ოთხად გაყო. სამი ნაწილი თავის ამხანაგებს მისცა, მეოთხე დედაბერს; თვითონ ქალიშვილი წაიყვანა და წავიდა შინისაკენ. სახლში ძლიერ გატუხარდათ ბულათის მისვლა და დიდათ იმხიარულეს.



თბილისი  
საქართველოს  
საქართველოს

ხ ე ლ მ წ ი ფ ე.

საქართველოს ხელმწიფის

მრთს ხელმწიფეს ერთი შეილი დარჩა. როცა ხელმწიფე კედებოდა, შეილს დაუბარა, რომ სამ ლამეს მის საფლაფზე ცეცხლი დაენთო და ეთია ლამე. მოკვდა ხელმწიფე; ვეზირებმა გაახსენეს შეილს მამის საფლაფზე ცეცხლის დანთება. შეილს შეეზარა დაბარების აღსრულება, მაგრამ ვეზირები არ მოეშვენ. წაეიდა, — იმ ლამეს არაფერი; წაეიდა მეორე ლამეს, კიდევ არაფერი და მესამე ლამეს რომ მოეიდა, ნახა: რალაც შეეი რამ გადაჰვენია საფლაფს, ისეთი შეეია, რომ ქვეყანას აბნელებს. მიუხალოდა — სტაცა ხელი, შერჩა ხელში ქათამი. შეახეია კალთაში ეს ქათამი და გამობრუნდა უკან. შეხვდა წინ ურია. შეხვდა ურიამ ქათამს და ეაქრობა დაუწყო; პირველად მანეთი შეაძლია; ხელმწიფის შეილმა არ მისცა, შემდეგ ოცი მანეთი შეაძლია ურიამ და მაშინ კი მიჰყიდა ქათამი ურიას ხელმწიფის შეილმა; შინ დაბრუნდა და ყველაფერი უამბო ვეზირებს. ამათ ეწყინათ ქათამის გაყიდვა და უთხრეს: „შენ ხელმწიფის შეილად კი არა, და უბრალო კაცის შეილადაც არ ეარგებულხარ; წადი ეხლავე, მოძებნე ურია და ქათამიო!“ წაეიდა ხელმწიფის შეილი და მოძებნა, საცა იყო ურია. ამას ქათამი კიდევაც დაეკლა, ქოთანში ჩაეღვა და მოსახარშავად მეორე მოსახლისათვის მიე-

ბარებია. ამ მოსახლისათვის დაუბარებია ურიას, რომ, სანამ იგი ან მისი შვილი არ მოვიდეს, მანამ არავისთვის არ მიეცა ქათამი. ხელმწიფის შვილმა ეს ლაპარაკი ფარულად მოისმინა, წავიდა და მიადგა იმ მოსახლეს, სადაც ქათამს ხარშავდნენ და უთხრა მას: მე ვარ „იერიკ“ ხახამის შვილი და ქათამი მომეცით. ძაცი დაერწმუნა და მისცა ქოთანში ჩადებული ქათამი. ხელმწიფის შვილმა წამოიღო ქოთანი, ახადა თავი მას და ამოიღო ქათამი; ქათმიდან ოქროს ბეჭედი გადმოვარდა, აიღო ბეჭედი და თითზე წამოიკცა. მაშინვე გაჩნდნენ ქაჯ-ეშმაკები, შემოესივნენ ხელმწიფის შვილს და შესძახეს მას:

— ჩვენო ბატონო, რას გვიბრძანებ, ჩვენო ბატონო, რას გვიბძანებო?

— ჩემო კარგებო, ეხლა არაფერს, მერმე გეტყვითო, უთხრა ხელმწიფის შვილმა; ბეჭედი თითიდან წაიძრო, ქაჯ-ეშმაკები აქიქ მიიმაღლნენ. თვითონ გაუდგა გზას და შინ მივიდა. შამბო ყველაფერი ვეზირებს. ამათ მოუწონეს საქციელი; ადგა ხელმწიფის შვილი და დედასთან მივიდა. დედაე! მე მოგიკვდი, თუ კვისარს რომ მზისა და მთვარის უნახავი ტურთა ქალი ჰყავს, ის ცოლად არ შემერთოვო...

დედამ უთხრა: ეხლავე წავეალ, თუ რამეს გავხდით. ადგა და წავიდა კვისრას სასახლეში. ამ კვისრას თავის ტურთა ქალიშვილი კოშკში ჰყავდა შენახული; კოშკს სამ კეცად ღობე ჰქონდა შემოვლებული. მესრების წვეტები ამ ტურთას მთხოვნელის

კაცების თავებით იყო მორიჯგული. ხელმწიფის ცო-  
ლი ესტუმრა პირდაპირ კვისარს და სთხოვა, მიეცა  
თავისი ტურფა ქალიშვილი იმისვაქისათვის ცოლად.  
ქვისარმა, ეწირები იხმო და უბრძანა, ამ ქალისთვის ძალ-  
ლები მიესანათ. ეწირებმა მიუგეს: ბატონო, ეს არ  
ვარგა ჩვენის მხრით. შენ კვისარი ბრძანდები, მაგრამ ეს  
ხელმწიფის ნაცოლარია; შენზე უფრო დიდებული  
თუ იყო მაგისი ქმარი, თორემ ნაკლები არა; ასე კი  
არა, და ისეთი რამ შეუკვეთოთ ამის შეილს, რომ ვერ  
შეასრულოს და თავს დაგვანებებსო. „რა უნდა შეუ-  
კვეთოთ?“ იკითხა კვისარმა. — რა და თორმეტ მთას  
იქით ერთი თეთრი მეწყერია \*) . ის აქ გააჩინოს,  
მაშინ მიეცი შენი ტურფაო. ხელმწიფე კმაყოფილი  
გახდა. შთბრეს ეს ამ ქალს. იგი მაშინვე შინ დაბ-  
რუნდა და უამბო თავის შეილს. ბაიკეთა ამან ბექელი  
თითზე და რაც ქვეყანაზე ქაჯ-ეშმაკები იყო, ყველა  
შემოესია.

— რას გვიბრძანებ, ჩვენო ბატონო? რას გვიბრძანებო?

— ჩემო კარგებო, საძნელოს არაფერსაო, თორმეტ  
მთას გადაღმა რომ თეთრი მეწყერია, აქ გააჩინეთო.  
ზასწიეს ეშმაკებმა. მეწყერი მოგლიჯეს და კვისარის  
სასაზღესთან გააჩინეს. ხელმწიფის შეილმა მოსთხოვა  
კვისარს პირობის შესრულება.

ქვისარმა კიდევ არა ქნა. შეუთვალა: შავს ზღვას  
იქით ერთი ქალაქია, აიღე ის ქალაქი და ჩემს საკე-  
ისროში გააშენე. მაშინ მოგცემ ჩემს ტურფასაო.

\*) თუთბი. შიქყობი — აბუღლი თთლ-შიქა.

აღვა ეს კაცი, გაიკეთა ბეჭედი, — უთვალაფი ქაჯ-  
ეშმაკი მის წინ გაჩნდა.

— ჩვენო ბატონო, რას გვიბრძანებ, ჩვენო ბატონო  
რას გვიბრძანებ?

— არაფერ საძნელოს, შავ ზღვას იქით რომ ქა-  
ლაქია, აიღეთ და კეისრის საკეისროში გააშენეთ.

ზასწიფეს ქაჯებმა, ქალაქი კეისრის საკეისროში  
გააჩინეს. ხელმწიფის შეიღმა გაუგზავნა კეისარს კაცი,  
ეხლა მანც მომეცი შენი ქალიო. ძეისარმა უარი ვერ  
უთხრა და მისცა თავისი ტურფა ქალი. ხელმწიფის  
შეიღმა საცოლო შინ მიიყვანა; დასხდნენ და შექცე-  
ოდენ კარგს ცხოვრებას. მრთხელ ხელმწიფის შეილი  
სანადიროთ წავიდა. ზაიგო ეს ურია მ და ესტუმრა მის  
ცოლს. ურია სასახლეში მიიღეს; როცა ხელმწიფის შეი-  
ლის ცოლი ადგა ტახტიდან სტუმრის შესაგებებლად,  
ბეჭედი წკრიალ-წკრიალით ძირს დაეარდა. „ოჰ! რა დიდი  
რამ არის ეს ბეჭედი!“ სთქვა ურიამ. „ჰ! რა დიდი  
რამ არის მაგ! თუ ასე მოგწონს, კიდევ მოგცემო,“  
უთხრა ხელმწიფის ცოლმა. „ნდომით როგორ არ მინდა  
შენი ნაჩუქარი.“ ბილო იმან და ურიას მისცა ბეჭედი.  
ზაიკეთა ურიამ ბეჭედი თითზე — ქვეყნის ქაჯ-ეშმაკი მის  
წინ გაჩნდა.

— ჩვენო ბატონო! რას გვიბრძანებ, ჩვენო ბატონო,  
რას გვიბრძანებ?

— ჩემო კარგებო, სხვას არაფერს, ესა და ეს ქალი,  
სადაც უწინ იყო, იქ ვააჩინეთ.

ასწიფეს ქაჯებმა ეს ქალი, სადაც იყო, იქ გააჩინეს.  
დაინახა ეს კეისარმა, მოუვიდა გული და უბრძანა თა-

ვის ვეზირებს, რომ ხელმწიფის შვილის დედას ღვლები  
მოაბან და ხილზე გადაჰკიდონ:—როგორ მკადრა  
მოტყუებო!

ხელმწიფის შვილი რომ სანადიროდან დაბრუნდა,  
ყოველივერი გაიგო და მეტად დალონდა, გადასწყვიტა  
იმ ურჩის საძებნელად წასვლა. ღატეირთა თორმეტი  
ვირი ყველით და თორმეტი პურით, ადგა და გასწია.  
იარა ბევრი და ისეთს ქვეყანაში მივიდა, რომ ცის კი-  
დემდეა გაშლილი. ამ ქვეყანაში უწინ 2.500 მოსახლე  
ყოფილა, მაგრამ კატებს ერთი მოსახლის მეტი არ და-  
უტოვებიათ. მს ერთი მოსახლეს ისე ღარიბად სცხოვე-  
რობდა, რომ მარტო ცეცხლი-ლა უბეჭუტაედა. ხელ-  
მწიფის შვილი თავისი მხლებლებითურთ ესტუმრა ამ  
ღარიბს მოსახლეს. შევიდნენ თუ არა მოსახლისას,  
მოცვიდნენ კატები; ამათ შეეშინდათ, კატებმა არ  
შეგვეკამონო და მიუყარეს მათ ყველისა და პურის  
ტვირთები; როცა კატები დაძლენ, ხელმწიფის შვილმა  
სთხოვა კატებს, ზღვაში გაეყვანათ იგი, მაგრამ კა-  
ტებმა უარი უთხრეს.— ჩვენ არ ვიცით ზღვაში ცურ-  
ვაო; თაგვების კეისარს სთხოვეთ, იგი თაგვებს გათ-  
ხოვებთ და ზღვაში გაგიყვანთო, მიუგეს კატებმა. ხელ-  
მწიფის შვილმა თაგვების კეისარს სთხოვა შემწეობა.  
ამან ისეთი იწყინა, რომ მეტი არ შეიძლება.

— მინ დაიბადა ასეთი დიდებული, რომ კატებსაც  
მოერია და ეხლა მიბედავს თაგვების თხოვნას!



თაგვების კეისარმა კატებს შეუთვალა: ეხლავე დაგლიჯეთ, ვილაც კაცი მოსულა თქვენსაო! კატებმა ეს არა ქნეს.

— შენ ერთი დამწვარი პურის ნატეხი არაოდეს გიჭმევია ჩვენთვის, ამ კაცმა კი ყველით დი პურით გაგვაძლოვო.

მწყინა ეს თაგვების კეისარს; გამოუტახადა ომი კატებს. ზაჩნდაფიცხელი ომი. ძატებმა იმდენი დახოცეს თაგვები, რომ მესამილი არ დაუტოვებიათ; ხედავს თაგვების კეისარი, რომ მისი საქმე ცუდათ არის, შეეხვეწა კატებს, მორიგებოდა: რასაც მთხოვ, იმას აგისრულებო, ოღონდ ომი შეესწყვიტოთო. ძატებმა ითხოვეს, რომ კეისარს მათი სტუმარი ზღვაში გაეყვანათ. თაგვების კეისარი დაყაბულდა, დაუძახა ყველა თაგვებს. შავს თაგვებს უთხრა: ასე და ასეა საქმე, არ შეგიძლიანთ, რომ ეს ხელმწიფის შვილი გაიყვანოთ ზღვაშიო? შავმა თაგვებმა ვერ მისცეს იმედი, მიუბრუნდა წითელ თაგვებს, — იმათაც ისე უთხრეს: არ გვაქვს იმედი, რომ ხელმწიფის შვილი ზღვაში გაიყვანოთო. ბოლოს თეთრი თაგვეუნა დაიბარა; ეს კოჭლი იყო, ძლიეს დაფორთხავდა. უთხრა მას კეისარმა: „ჩემო კარგო, არ შეგიძლიან, ეს კაცი ზღვაში გაიყვანო?“ — მე ჩემდა თავათ როგორ არ შემიძლიან, მაგრამ მარტო მე რას გავაწყობ, დაიბარეთ სხვა თეთრი თაგვებიც, და იგინიც დამეხმარებიანო.

ძვისარმა ყველა თეთრი თავგები დაიბარა და  
 უთხრა, მოხმარებოდნენ კოქლს თავეს და ხელმწი-  
 ფის შვილი ზღვაში გაეყვანათ. თავგებმა უარი ვერ  
 გაბედეს. მოვიდა კოქლი თავგი, აილო დგომი და  
 ჯოხი, დამტვრეულ თეძოზე გადიკიდა, თეთრ თავ-  
 გებსაც იმასავით მოსტყდათ თეძო. ბაუძღვით კოქლი  
 თავგუნა და გასწიეს; ზღვის პირად მივიდნენ. ღაკრბ  
 თავგუნამ კუდი ზღვას, ზღვა ორად გაიყო. შველანი  
 გავიდნენ ზღვაში და კარს მიადგნენ ურიას. ურიას კა-  
 რები დაკეტილი ჰქონდა. როგორც იქნა, კოქლი თავ-  
 გუნა შეძერა სახლში. ურიას შეეშინდა და ლოგინს  
 ქვეშ დაიმალა; თავგი კუთხეში მიიმალა და სული  
 განაბა. ურია დამშვიდდა და დაწვა ლოგინში; და-  
 წოლის დროს ბეჭედი პირში ჩაიგდო, ულვაშები და  
 წვერი ერთმანეთზე გადააწნა პირთან, რომ ძილში, ხერე-  
 ნის დროს, ბეჭედი პირიდან არ ამოეარდნოდა, და მერმე  
 დაიძინა. თავგუნამ ეს დაინახა და აცოცდა ურიის  
 წვერზე; თავგუნას ამ დროს ბურნუთი ტომრით ეკიდა.  
 პიღებს ცოტა-ცოტას და აყრის ცხვირში. და-  
 აცხიკვა ურიას. მიწნული წვერ-ულვაში ტუჩებს შერჩა  
 და ბეჭედი პირიდან გადმოვარდა. სტაცა თავგუნამ ბე-  
 ჭედს პირი და ლოგინს ქვეშ დაიმალა. აღგა ურია,  
 ანთო კვარი, ეძებს ბეჭედს, მაგრამ ვერაფერი გაიგო.  
 მოჰბეზრდა ძებნა და ისევ დაწვა. აღგა თავგუნია, კა-  
 რის ნახეთქში გამოძერა, ანიშნა თავის ამხანაგებს  
 ხმით და უკან დაბრუნდნენ. მამოიარეს შავი ზღვა,



მივიდნენ შინ, ბეჭელი ხელმწიფის შვილს გადასცეს; ამან გაიკეთა ბეჭელი თითზე—ქაჯ-ეშმაკები გაჩნდნენ.

— რა გინდა, ჩენო ბატონო? რა გინდაო?

— სხვა არაფერი, შავ ზღვას იქით რომ ქალაქია, ის ისევ აქ მოიტანეთ. ძაჯებმა უცებ შეასრულეს ეს. ამას შემდეგ, დედა მისი რომ ხილზე იყო, ის გამოიხსნა. მან და მისმა ცოლმა იცხოვრეს ბედნიერად.

ღმერთმა დაგლოცოსთ.





დ ე მ ი — დ ა .

იყო სამი ძმა, მათ ჰყავდათ ერთი და. დედ-მამამ, სიკვდილის შემდეგ, ხარისა და ძროხის ჯოგი დაუყოფა შეილებს. და გამხეცებული რამ იყო და მუდამ ტყეში სცხოვრობდა. მოჩივია თავის ძმების ჯოგს, ყოველ ღამე ჯოგში საუკეთესოს ირჩევდა, ტანს სჭამდა, თავს კი სადღაც შორს გადააგდებდა. შეწუბდნენ ძმები, არ იცოდნენ, რით დაეცვათ ჯოგი თავის დის ღორმუცელაობისაგან. იევზირეს და ასე გადასწყვიტეს: თვითონ ძმას ყოველ ღამე მორიგათ უნდა ედარაჯნა ჯოგისათვის. პირვილ ღამეს უფროსს ძმას შეხვდა ჯოგის დარაჯობა. დარაჯობს უფროსი ძმა შუალამემდის, შუალამის მერე ძილი მოერია და დაიძინა. ბათენებისას მოვიდა და, ერთი ხარი აიჩრია ჯოგში, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. ნახა ეს მეორე დღეს უფროსმა ძმამ, ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას უშეელიდა; შინ წამოვიდა. მეორე ღამეს საშუალო ძმა წავიდა სადარაჯოთ. შუალამემდის ამანაც უყარაულა ჯოგს, შუალამის მერე დაეძინა. ბათენებისას ისევე მოვიდა და საუკეთესო ძროხა ამოიჩრია, სტაცა ხელი, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო; საშუალო ძმაც შეწუბებული დაბრუნდა შინ. მესამე ღამეს უმცროსი ძმა წავიდა ჯოგის სადარაჯოთ; შუალამემდის იძინა, ნაშუალამევს გამოიღვიძა. ბათენები-

სას მოვიდა კიდევ ამათი და, ჩაერია ჯოგს, იქა-აქ მოჰფანტა ყველა; ყველას მოერია, მხოლოდ ერთი „ბაბუ“ (ურქო ხარი) ვერ დაიმორჩილა. აუ ლამეს ჯოგში ვერც ერთი საქონელი ვერ დააშავა. მეორე დღეს უმცროსი ძმა შინ მოვიდა. შთხრა თავის ძმებს, რომ გაეიყარნეთო. ჩემ წილად არაფერი მიწადა სხვა, მხოლოდ ბაბუ მომეცითო.

— თუარ გეცოტავენა წილად, ბაბუს როგორ არ მოგცემთო, უთხრეს ძმებმა. მიიღო წილად უმცროსმა ძმამ ბაბუ, ჩააბა ბაწარი და გასწია თავის გზაზედ. იარა, იარა, ორ ზღვას შუა მივიდა. აქ ერთი დევი სცხოვრობდა. მიადგა დევის კარს და დაუძახა:

— დედავ, კარი გამიღე!

— ჰე! ისემც აშენებულხარ, ეილაცა ხარ, მე დედის დამძახებელი ვინმე მყავდეს: ერთი შვილი მყავდა და ისიც შარშან ლაშქარს მომიკლეს!

— არა, არ მოუკლავთ, მე ვარ შენი შვილი. დეემა ვერაფერი სთქვა, ჩაჯდა, ხელები დაიბანა, გობი გამორეცხა და ფქვილი მოცომა.

— დედა, რას შერები მაგასაო? ჰკითხა ამ კაცმა.

— აბა რა უნდა ექნა! მეავე წყალი აქვე გამოდის, მაგრამ სამი დევი დაეპატრონა და მე არ მანებებენ. ბავიდა ეს კაცი, მეავე წყალი ნახა, გასინჯა, ისეთია, რომ მისთანა თავის დღეში არა უნახავს რა: ფუტუნა ძლიერ, ოქროს ლარი უდგია, ოქროს ქვიშა გარს არ-

ტყია. ღაბრუნდა დევთან, წყლის ქურჭელი აიღო, წაიდა მკავე წყალზე, ქურჭელი აავსო, დევს მოუტანა; მერმე ბაბუ წაიყვანა წყლის დასალევათ. ბაბუ რომ მკავე წყალზე მიიყვანა, დაინახა. ისეთი დიდი შავი დევი მოდის მისკენ, რომ მიწას ანძრევს; იმდენი ხარისა და ძროხის ჯოგი მოჰყავს, რომ იქაურობა აავსო. დაინახა ეს კაცი დევმა და დაუძახა: ეილაც კაცუნია ჩემს მკავე წყალზე ხარ, თუ მანდ დამხედი, შენს რბილს შეეკამ და ძელს დაენაყაე!

— ჰა! შე, ბილწო! შენმა სიცოცხლემ, გამოვლევ მე შენს მკავე წყალს რალა!

არ მოერიდა დევს და აქვე დაუცადა. მოვიდა დევი. ჯერ ხარის ჯოგი მიუშვა წყალზე, მერმე ძროხისა. როცა ამათ წყალი დაალეინა, უთხრა ამ კაცს:

— მოდი, ერთი შენი ბაბუ და ჩემი ჯოგი დაეაჯახოთ.

— ჩემმა ბაბუმ როგორ უნდა გაუძლოს შენს ჯოგს, მაგრამ შენი ნება იყოს. რაც იქნება, იქნება! უთხრა კაცმა. მიუშვეს ერთმანეთთან ამ კაცის ბაბუ და დევის ჯოგი. მძგერა ბაბუ ჯოგს, ისე დაიმორჩილა, რომ კლდის ძირში მიიმწყვდია მთელი ჯოგი. დევი გლაზა გუნებაზე დადგა. რას იფიქრებდა, თუ ერთი ბაბუ მოერეოდა მის ურიცხვს ჯოგს. უთხრა კაცს დევმა.

— მხედაე, რომ შენმა ბაბუმ აჯობა ჩემს ჯოგს, მოდი ეხლა მე და შენ ეივიდაოთ. ამ კაცს არ უნდა, მაგრამ ნება-უნებურათ ჩაითრია დევმა, მოჰკიდა ხელი და, როგორც უნდა, ისე აბურთაევებს მას: ესეც არის, მიწას უნდა დაახეთქოს, და ამ დროს დაიძახა:

— აბა, ჩემო ბაბუ, ხომ ხედავ გასაჭირში ვარ, მიშველე რამე: გამოვარდა ბაბუ, ეცა დევს, ამოჰკრა თავი, დევს გული შეულონდა და იქვე დაეცა, მიწაზე. ძატი ზიდდა დაჯდა დევს, მოკელას უპირობს. დევმა უთხრა: „ნუ მომკლავ და ჩემი ჯოგის ნახევარს შენ მოგცემ.“ ძატი ბაბუს დაეკითხა: — აუშვა, თუ არა დევით?

— აუშვი და კეთილსაც დაგაყრის: ჩემს თავს წაგართმევს და შენც მოგკლავს! მოუქნია დაშნა ამ კაცმა და კისერი გააგდებინა დევს. ეს აქ დატოვა, მოსდვა ხელი მის ჯოგს და ნაცნობ დევისას მირგვა. მეორე დღეს დაბრუნდა მკავე წყალზე, ბაბუს თან წაიყენა. ბაიხედა, — მოდის წითელი დევი, ისეთი დილია, რომ სიმძიმით დედა მიწას ანძრევს, დევი თან მოერეკება ცხერისა და თხის ჯოგს. დაინახა ეს კაცი მკავე წყალზე და დაუძახა:

— შილაც ხარ მანდ, ნუ დამხედები, თორემ უბედურ დღეს დაგაყენებ!

— შე, ბილწო, შენმა სიცოცხლემ, ამოსწურავს მკავე წყალს ჩემი ბაბუ განა?

მოვიდა დევი, ჯერ ცხერის ჯოგს დააღვიძნა წყალი, მერმე თხისას. შემდეგ უთხრა ამ კაცს: „მოდით, ბაბუ და ჩემი ჯოგი შევაჯახოთ ერთმანეთს. — ძარგიო, უთხრა ამ კაცმა. მიუშვეს ერთმანეთზე ბაბუ და დევის ჯოგი. ბაბუმ დაიმორჩილა ჯოგი. ძლიერ ეწყინა ეს დევს, მაგრამ რას იზამდა. უთხრა კაცს:

— აბა, ეხლა მე და შენ ვიქიდავით. არ უნდოდა ამ კაცს, მაგრამ უარის თქმა ვეღარ გაბედა. მსეცაა, უნდა დახეთქოს მიწას, ამ დროს კაცმა დაუძახა თავის ბაბუს:

— აბა, ჩემო ბაბუ! მიშველე რამე, თორემ ცუდათაა საქმე. ბამოვიდა ბაბუ, ეძგერა დევს. თავბრუდასხმული გაშხლართა იგი მიწაზე. ძაცმა ამ დევსაც თავი გაბგდებინა. ამის ჯოგს თვითონ დაეპატრონა და წამორეკა ნაცნობ დევისას.

მესამე დღეს ისევ წავიდა ეს კაცი მკავე წყალზე, გაიხედა— მოდის თეთრი დევი, ისეთი ხმაურობა გააქვს, რომ გეგონება დევთან ერთად მთა და ველი მოდისო. დევს ურიცხვი ცხენის ჯოგი მოჰყავს. დაუძახა ამ კაცს: ეილა ცა ხარ, ჩემს მკავე წყალზე დამდგარხარ, გირჩევის თავს უშველო, თორემ შეეს დღეს დაგაყენებ!

— შე, ბილწო! რას გიშავებ აქ, იქნება გგონია, ჩემმა ბაბუმ ამ ხელა წყალი ამოწუროს! მოვიდა დევი, ცხენის ჯოგს წყალი დააღეინა და მერმე ამანაც ისე უთხრა, როგორც წინა დევებმა. ბაბუმ ამ დევის ჯოგსაც აჯობა. დევს ეწყინა და აღარც კი უკითხავს, ისე ეცა ამ კაცს. მსეცაა უნდა გაათავოს კაცი, ამ დროს ისევ ბაბუს დაუძახა:

— აბა, ჩემო ბაბუ, ეხლა მიჭირს შენი ხელი!

ბამოხტა გაბუ, ეცა დევს, სიკვდილზე მიაყენა. მოუქნია კაცმა დაშნა. შემოჰკრა კისერზე, მაგრამ ტყავიც ვერ გაუჭრა. ამ დროს დევის პირიდან თავგუნია ამოძვრა. „ჰ! შე საწყალო კაცი! ამას, შენ რამ გგო-



ნია, ისე ვერ მოჰკლავ, მაგრამ მე გასწავლი ხერხს. ამ დევს საკუთარი ხმალი აქვს, ამოიღე როგორმე, დაადევი კისერზე, შენ უსვი ხმალი და მე წყალს გისხამ. მარტო ასე შეიძლება ამისი თავის გაგდებინება. “ ამ კაცმა ასე ქნა: თვითონ ხმალოს უსვამს, თავი წყალს უსხამს. სოტა უკლია კაცს, რომ კისერი გააგდებინოს დევს და ამ დროს თავგუნიამ ურჩია: ასე უთხარი დევს: რაც შენს სიცოცხლეში აღამიანი და პირუტყვი გადაგიყლაპია, ყველა ისინი ფეხზე დამიყენე და არ მოგკლავო. ძაქმა აგრე უთხრა დევს. ღვემა მიუგო: ფერდის ძვალი გამოიღე და, რაც აღამიანი და პირუტყვი ჩამიყლაპავს, ყველანი ცოცხლად გამოვლენ. ძაქმა ერთის მაგიერ ორი ძვალი გამოუღო. იმდენი კაცი და საქონელი გამოვიდა ფერდითვან, რომ სავსებით ააესო მინდორი; ყველაზე ბოლოს წმ. ბიორგის მწვერები გამოვიდნენ, მაგრამ ისინი ბრმანი იყვნენ. — ჰა! შე, ბილწო, ბრმა მწვერები რათ მინდა! ეხლავე აუხილე თვალები, თორემ ესეცაა, გაგათავე! — ოჰ! დაგწყველა ეშმაკმა! სთქვა დევმა: ცოტა ღვიძლს მომკერი, ცოტა — ფილტვებს, წაუსვი მწვერებს თვალებზედ და აეხილებათ. ძაქმა ბლომად მოსკრა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, წაუსვა მწვერებს, იმათ თვალები აეხილათ. ბოლოს მაინც გააგდებნა კისერი. მეთრი დევს ჯოგი ნაცნობ დევისას მირეკა და უთხრა მას: შინ მე ორი ძმა დამრჩა, იმათი უნახაობა არ მარგია; სანამ დაებრუნდებოდე, წმ. ბიორგის მწვერები კარგად შემიწახე. შეჯდა თეთრს ცხენ-



ზე და ვასწია. თავგუნია თან წამოიყვანა. მოვიდა შინ და ნახა, რომ მის მხეცს დას ჯერ ჯოგი შეუკამია და მერმე ძმები. ძმების თავები ხელში აქვს სათამაშოთ. ამას რომ შეხედა, გული მოუკვდა. და მიეგება ძმას და უთხრა: მშვიდობით შენი მოსელა, ჩემო „ჯუმდა-ბუმდა.“\*) მოჰკიდა ხელი, უნებურათ სახელში შეიყვანა, თვითონ გამოვიდა და ამის ცხენს, დაუწყო კამა. უცებ გამოგლიჯა ერთი ბარძაყი, მერმე ძმასთან შემოვიდა და უთხრა: ჩემო ძამია, შენი ცხენი სამუფხიანიო! ძმა მიხედა, რაშია ც იყო საქმე. და კიდევ გავიდა კარში და მეორე ბარძაყი მოგლიჯა ცხენს, მერმე შებრუნდა შინ ისევ და უთხრა ძმას: შენი ცხენი ორუფხიანიო. ზამოვარდა ამ დროს თავგუნია და უთხრა ამ კაცს: „შენ რაღა უბედურებას უკდი აქ! ჯერ ცხენი არ მოუთავებია შენს დას, თორემ, ისე გგონია, შენ დაგზოგავს თუ!“

— მაშ რა ექნა? უთხრა კაცმა.

— რა დასაძი კარვა\*\*\*) ნაცარი სხენზე შესდგი, და შენ როგორმე დარბაზის კარში გაიპარე. ძაცმა დაიჯერა თავგუნიას რჩევა. ამ დროს და კარში იყო და ძმის ცხენს შეექცეოდა. შემობრუნდა შინ, მარტო თავი დახედა.

— თავგუნია! სად არის ჩემი ძამია? მითხარი, თორემ „ურტყულ-ბურტყულ.“\*\*\*))

\*) სიყვავის თამაშია, ნიშნავს ძამი-ბუმია.

\*\*) ხის ჭურჭელია.

\*\*\*)) სიყვავის თამაშია—ნიშნავს გადაცლაპავს.

— შე ბილწო! მე რა ვიცი, სად არის!

ძალმა თაგვი გადაყლაპა; იგი უკან გაუძვრა; ისევე აპირებს გადაყლაპვას, თაგვი შეშინდა. შე ბილწო, დამაცა, გეტყვი, სადაც არის შენი ძმა: ის ეხლა სხვენზეა. იშოვე საჩიჩელი, ერთი მეორეზე დაადგი, აპყევი და შენც სხვენზე ახეალ. ძალმა ცხრა საჩიჩელი იშოვა; ერთი მეორეზე დაადგა, ესეცაა მიაწია სხვენს, თაგვმა ძირის საჩიჩელი გამოაცალა, გადმოვარდა ქალი, გადმოპყეა ორი კარვა ნაცარი და თვალეში ჩაეყარა; ქალს თვალეები მოეწეა და ფშენეტა დაუწყო. ისარგებლა ამით თაგვმა და გამოძვრა კარში; მოეწია ამ კაცს და უთხრა: შენი მხეცი და უკან გამოგეკიდება, მაგრამ, მე რომ გითხრა, ისე მოიქეცი და ეგება თავს უშველო. მისცა ერთი სალესი და სამი ჩერია (თითისტარი). როდესაც შენი და მოგიახლოვდეს, ეს სალესი მიწას დაარტყი და უშველებელი კლდე გაჩნდება. მართალია, შენს დას ვერაფერი უძლებს, კლდეს გახერეტს, მაგრამ ამასობაში შენც რამდენსამე მანძილს გაივლი. როდესაც კლდე გახერიტოს და ესეცაა, გეწეოდეს, ერთი ჩერია მიწას დაარტყი; ჩერია ალვის ხედ გადაიქცევა, შენ იმაზედ აღი. შენი და ხეს ხრას დაუწყებს და, როცა მან ხე წამოქცევაზე მიაყენოს, მაშინ მეორე ჩერია ჩამოაგდეს, მეორე ჩერიაც ალვის ხედ გადაიქცევა, ამასაც დახრავს; მაშინ შესამე—და იმაზე გადადი, მანამდის, ეგება, შენც რამე მოიგონო. ძალმა ყველაფერი ასე ქმნა. მიადგა მხეცი და კლდეს, ხერიტა, ხერიტა და საურმე გზა გააკეთა კლდეში. ესეცაა დაეწია ძმას; იმან



ჩერია დაარკო მიწას, ჩერია ალვის ხედ გადაიქცა, ამ ხეზე ავიდა ძმა. დამ ხრა დაუწყო ხეს და, წაქცევაზე რომ მიიყვანა, ჩამოაგდო ძმამ მეორე ჩერია, მერმე მესამე—და ესეცაა ის მესამე ხეც ყუყზე მიღვა, ამ ღროს კაცმა დაიძახა: „აბა, მწვერებო, თუ ერთგულნი ხართ, ეხლა მიშველეთ.“ ზაიგონეს მწვერებმა ეს და უცებ გაჩნდენ ამ კაცთან. ზაიღვეს მხრებზე ეს ხე და ეს კაცი დევისას მიიტანეს. მხეცი და აქაც გამოეკიდა და შექმას უპირებდა ძმას. მცნენ აქ მწვერები მხეც ქალს: ერთმა იქით, მეორემ აქეთ და შუაზე გახლიჩეს იგი. იმდენი სისხლი დაიღვარა მისი გემისაგან, რომ იქაურობა აავსო. მწვერებს მადლობა გადაუხადა კაცმა შველისათვის და გაათავისუფლა. თვითონ აქ დაესახლა. სანამ ეს მართალი არ იყოს, მანამ არაფერი გეტყინოთ.



Roena

საქართველოს  
საქართველოს

უზვილო კეისარი.

---

ღმერთმა დაგლოცოთ... და იყო ერთი კეისარი, ჰყავდა მოხუცი ცოლი, ძეარ ესეათ. ლეთის ნახევწარ ცოლ-ქმარს მუხლებზე ტყავი ასძვრათ. შოველ ცის მარე დღეს სანთლის და საკმეელის საკირეს სდგამდენ. მიაწია სანთელ-საკმეელის სუნმა ღმერთებამდის. მათ წმ. ბიორგი და მიქელ მთავარ-ანგელოზი გამოგზავნეს ქვეყნად: შეგვიტყეთ, ვინ არის, ამდენს რომ გვევედრება და რა გასპირებულია? მოვიდენ წმ. ბიორგი და მიქელ მთავარ ანგელოზი და შეიტყეს ყველაფერი. ღაბრუნდენ, ღმერთებს უთხრეს, ერთი მოხუცებული კეისარია, შეილი არა ჰყავს და გვევედრებათ მიცემას. შეებრალათ ღმერთებს და მისცეს შეილი. ისეთი კარგი რამ არის კეისრის შეილი, რომ მის ნახვას არაფერი სჯობს; ღამით ოთხი თითის სიმაღლე იზრდება, დღით მტკავილისა; ერთის კვირის განმავლობაში ქაბუკი შეიქნა. ღადის კეისრის შეილი ყოველს დღეს წყაროზე და იქ მისულ მერწყულ ქალებს აწიოკებს. ახლო ევრაეინ უბედაეს, შორიდან წამოსძახებენ:

— შენ თუ კარგი ქაბუკი ხარ, ჩვენ კი ნუ გვაწვალე, ერთ კეისარს რომ ბროლის კოშკში სამხარეკიანი მზეთუნახავი ქალიშეილი ჰყავს, ის იშოვე ცოლად. ღაბრუნდა შინ. ღედ-მამას გამოუცხადა იმ მზეთუნახავის მოსაყვანათ წასელა. ღედ-მამამ ისეთი იწყინეს ეს, რომ თავებს იხოცაედენ.



— ღმერთს შენი თავი ძლიერ გამოვესთხოვეთ და შენ  
კი ეხლა დასაკარგავში მიდიხარ, უთხრა დედ-მამამ.  
ამათიმუდარა არ გაიგონა შეილმა. წაიყენა თან ასი  
თეთრი ცხენოსანი, ასი შავი, ასი წითელი და წავიდა.  
იარა, იარა, ერთ თეთრ გორას მიადგა. აქედგან თეთრი  
ცხენოსნები უკან დაბრუნდენ; მივიდა შავ გორასთან,  
აქედგან შავი ცხენოსნები დაბრუნდენ; მივიდა წი-  
თელ გორასთან, აქედგან—წითელი ცხენოსნები.  
ღარჩა მარტო. უკან წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ  
ღაიშალა. — რაც მომივია, მომივიდესო, სთქვა და  
წინ გასწია. მიდის, უდაბურ ტყეში შევიდა; ტყე სულ  
წითლნარ-ნაძენარია. სხენი დატოვა და თვითონ შუა-  
გულ ტყეში შევიდა. ისეთი ხმაურობა არის ამ ტყეში,  
რომ ყურთა სმენა არ არის. ბაჭყვა ხმაურობას; ზედ  
წაადგა სამს და-ღვეს. ამათ გენია ცეცხლი უნთიათ;  
სამი ძროხა მიფიცებულნი აქეთ ცეცხლზე, შამფურე-  
ბათ ნაძვები გაუყრიათ. ღვეები ისე სცემენ ერთმა-  
ნეთს, რომ ცემისაგან ტყავი სძვრებათ. მივიდა ახლო;  
ჰკითხა ღვეებს: რა გაჩხუბებთო?

— რა-და გაყოფა გეინდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ.

— რა დარა გაქეთ გასაყოფი? ჰკითხა ვაჟმა.

— მქროს ქუდი, ჩითის სუფრა და ხალიჩა.  
სუფრა ისეთი რამ არის, რომ, რა სასმელ-  
საქმელსაც კი კაცი ინატრებს, ყველას მოვი-  
ტანს; ხალიჩას, სადაც წასვლას შეუკვეთავ, წაგიყვანს.  
— თქვე მართლა, ღვეებო, თუ კი ამის მეტი გასა-  
ყოფი არაფერი გაქეთ, როგორ ვერ მოახერხებთ გაყრა!

ნ. ბ. შ. მ. ყ.

შე გაგყრით თქვენ; მომიტანეთ შვილდ-ისარი. მოუტანეს. მოჰქიმა შვილდი, სამი ისარი დაადეა. შე ამ ისრებს ტყეში გავისერი, თქვენ წადით და მოძებნეთ. პინც პირველად მოსძებნის ისარს და მომიტანს, იმას პირველი არჩევანი ერგება, ვინც მეორეს—მეორე და ვინც მესამეს, იმას—მესამე, სთქვა ეს, და სამივე ისარი ტყეში ისროლა. ღვევები ტყეში შეცვივდნენ და დაიწყეს ძებნა. ამ დროს მივიდა ვაჟი, ოქროს ქული და ჩითის სუფრა ხალიჩაზე დადგა, მერმე თვითონ დაჯდა მასზე და უთხრა: «აბა, ჩემო ხალიჩავ, ამიღე და ბროლის კოშკთან დამსვი!» ასწია ხალიჩამ და ბროლის კოშკთან დასვა. კოშკის ძირში მზეთუნახავს ძიძა უყენია. ნახა ვაჟმა, ძუძუზე კბილი დაადგა: «შენთვის შემივდრებია ჩემი თავი, მასწავლე როგორმე მზეთუნახავთან მისასვლელი გზაო. ძიძას შეეცოდა ვაჟი, მაგრამ რა მოუხერხოს, როგორ დაეხმაროს, არ იცის.—რა უნდა გიყო შე! ამ კოშკში სხვა კი არა, მეც ვერ შევდივარო. მაჟმა უთხრა, რომ შე შემიძლია კოშკის ბანზე ავიდეთო.

— თუ ბანზე როგორმე ახვალ, შეგიძლია ბანიდამ კოშკში ჩახვიდეთო, უთხრა ძიძამ.

— აბა, ჩემო ხალიჩავ, ცხლა მჭირია შენი თავი, ამიყვანე და კოშკის ბანზე დამსვი. აფრინდა ხალიჩა, ვაჟი კოშკის ბანზე აიყვანა. პილო ვაჟმა ბანზე ერთი ყაფარი, ჩავიდა კოშკში, ნახა—მზეთუნახავს სძინავს. შეშინდა ვაჟი, ჩამობრუნდა კოშკის ძირს, აბრუნდა კვლავ—ისევ სძინავს. მჰ! წყეული ვიყო, თუ არ ვაკო-

„ცოცო, და კიდეც აკოცა. თვითონ ძირს ჩამოვიდა. ნახეს მეორე დღეს მზეთუნახავი, — ოთხი ჩარეკი გამოვიდა. ძეისრის შვილი მეორეთ კიდეც დაბრუნდა კოშკში, აკოცა ქალს და ისეც ჩამოვიდა.

ზასინჯეს მზეთუნახავი, — ხუთი ჩარეკი გამოვიდა. ზაიგეს ეს ეგზირებმა, კვისართან მივიდნ და ყველაფერი უამბეს. — ძეისარო! შენი წყრომა გეკონდეს, შენ მოგვიკვდე, თუ შენი სამ ჩარეკიანი ქალიშვილი ხუთ ჩარეკიანი არ იყოსო. ძეისარმა გაიკვირვა, სთქვა: როგორ და რა ნაირათ უნდა მომხდარიყო ესაო. მეზირებმა უთხრეს, რომ კოშკში შესვლა თუ არ ზანიდგან, არ საითგან შეიძლება, იქ რასმე ვეცადოთ, ეგებ დავიპიროთო. — რა უნდა მოვახერხოთო? იკითხა კვისარმა. ზადასწყვიტეს, კოშკის ბანზე კუპრი მოესხათ. შეიპარა იმ ღამეს ვაჟი კოშკში, ტანისამოსს კუპრა მოეცხო. მეორე დღეს კვისარმა შეკრიბა მთელი საკვისრო: უნდოდა, დამნაშავე გამოენახა. უნახეს ყველას ტანისამოსი, ბოლოს ამ ვაჟთან მივიდნ. ნახეს, — ტანისამოსი კუპრით ჰქონდა გასერილი; დაიბარა კვისარმა ეს ვაჟი. «როგორ გეკადრე მე და ჩემს ქალიშვილს ეს?» უთხრა კვისარმა და ჩომობრიობა დაუპირა. ვაჟი გაუძვრა ხელიდან, დაჯდა თავის ხალიჩაზე და ჩიტვიტ შეფრინდა კოშკში. დასვა მზეთუნახავი ხალიჩაზე და სთქვა: აბა, ჩემო ხალიჩაე, აფრინდი და შეესა და თეთრ ზღვას შუა დამსვი. აფრინდა ხალიჩა და შეესა და თეთრ ზღვას შუა დასვა ქალ-ვაჟი. მზეთუნახავმა უთხრა. შე, კაცო, რატომ



საღმე უკეთესს ადგილას არ ინატრე? აქ ადამიანის  
ქაქანებაც არ არის, რა გეცოცხლებსო! ძეისრის  
შეიღმა ჩითის სუფრა გაშალა, და რა და რა ნაირი  
უცხო სასმელ-საქმელი აქ არ გაჩნდა! ღიღხანს დარ-  
ჩნენ აქ ქალ-ვაჟი. მზეთუნახავის მამამ, მწუხარების გამო,  
თვითონაც ძაძა ჩაიკვა და თავის საყმოსაც ძაძა ჩა-  
აკვა. მით დღეს კეისართან მოვიდა გრძნეული დე-  
დაბერი და უთხრა: რას მომცემ, რომ შენი ქალი შეილი  
მოვიწახოვო?

— ჰე! როგორ თუ რას მოგცემ! ნახევარ საკეისროს  
დაგილოცავ.

— ნახევარი საკეისრო მე რათ მინდა, წელიწადში  
ერთი ხელი ტანისამოსი ჩამაცვი ხოლმე. ძეი-  
სარი, ცხადია, დაყაბულდა. ღედაბერმა სკიერი  
გააკეთებინა; შიგ სამი პური ჩაღვა, მერმე თვი-  
თონაც შიგ ჩაჯდა. უთხრა, სკიერი დაეკეტათ და  
ზღვაში ჩაეგდოთ. ძეისარმა ასე ქნა. მიცურავს სკიერი  
ზღვაში, მიცურავს და, როცა იყო, მიადგა იმ ნა-  
პირს, სადაც ქალ-ვაჟი ცხოვრობდენ. ძალ-ვაჟი ზღვის  
პირად დასეირნობდენ. ღინახეს ზღვაში სკიერი.  
ძმარმა სთქვა: მოდი, გამოვიტანოთ სკიერიო. სოღმა  
დაუშალა: დაეხსენი, თორემ ინანებო. ძმარმა არ  
შეისმინა; გამოიტანა სკიერი და გააღო. შიგ დედა-  
ბერი იჯდა. ძადლი ვქენით, რომ დარჩობას გადა-  
ვარჩინეთ ერთი ადამიანიო, სთქვა ძმარმა. ჰკითხა  
დედაბერს ვინაობა, ან თუ რა ნაირად გაჩნდა  
სკიერში. ღედაბერი მოუყვა: სამი და ვიყავით; წი-



ლად მარტო სამი პური მარგუნეს, შემდეგ ჩამსვეს დაკეტილ სკივრში და ზღვაში ჩამავდეს. ღარჩა ეს დედაბერი ამათთან. მათ დღეს ვაჟი მოშორებით დაჯდა, მისი ცოლი და დედაბერი ხალიჩაზედ ისხდნენ; ჩითის სუურა და ოქროს ქუდი ახლოს ედვით და სადილს შეექცეოდნენ. დედაბერმა სთქვა: აბა, ხალიჩაე! აფრინდი და ბროლის კოშკში მიგვიყვანეო. აფრინდა ხალიჩა და ასე ქნა. ბაიგო ეს მზეთუნახავის მამამ და ისე გაუხარდა, რომ მთელი საკეისრო დაჰპატიჟა და ლხინი გადიხადა. საცოდავი ვაჟი კი ორ ზღვას შუა დარჩა.— ზღვის ორივე ნაპირზე ორი ხე დგას. შოველ დღეს იხრიან ისინი წვეროებს და ერთმანეთში იხლართებიან. შუურა ამას კეისრის შეილმა, იხელთა დრო, აქედგან დახრილ ხეს გაჰყვა, იქიდან მოხრილ ხის წვეროს ხელები ჩასჭიდა და ზღვის მეორე კიდეს გავიდა. აქ ერთი კაცი დაუხვდა. ბამოჰკითხა კეისრის შეილმა ამ კაცს ვინაობა. მან მიუგო: „ვინ უნდა ვიყო, საწყალი კაცი ვარო; ნეტავი კეისრის შეილს ვიცნობდე, რომელსაც ეხლა ქალი მოსტაცეს, რომ დაეუბრუნოო!

— კეისრის შეილი, აბა, მე ვარო და, თუ მავას მომიხერხებ, დიდ მადლს იზამო. ბააკეთა ამ კაცმა სკივრი. ბევრნაირი საკრავი შიგ ჩააწყო და კეისრის შეილიც ჩასვა. აილო სკივრი, კეისრის წყაროზე მიიტანა. წყაროზე კეისრის მერწყულები მოვიდნენ; გაიგონეს საკრავის ხმა, — სუყველას დაეძინა. შეატყობინეს ეს ამბავი კეისარს. ძეისარმა სკივრი

შინ მოატანინა ისე შეუყვარდა საკრავის ხმა, რომ ყურს არ აშორებდა. ზაიგონა საკრავის ხმა ბროლის კოშკში მყოფმა მზეთუნახემმა და შეუთვალა მამას: ეხლავე თუ არ გამოგიგზავნია ის სკიერი ჩემთვის, გადმოეხტები კოშკიდან და თავს მოვიკლავო. ძეისარმა უარი ვერ უთხრა და გაუგზავნა. ზალო მზეთუნახემმა სკიერი, — შიგ თავისი ქმარი ნახა. მზეთუნახეს ხალიჩა, ოქროს ქუდი და ჩითის სუფრა თავისთანა ჰქონდა. უთხრა ქმარმა ხალიჩას: აბა, ჩემო ხალიჩა, ჩემ დედ-მამის სახლში მიმიყვანეო! აფრინდა ხალიჩა, მის დედ-მამის სახლში მიიყვანა კვისრის შვილი ცოლიანათ. დედ-მამა ისე მოხუცებულიყო, რომ მამა წვერზე ფეხს იდგამდა, დედას კი თვალთ სინათლე დაჰკარგოდა. დედ-მამამ ძლივ დაიჯერა შვილის დაბრუნება. მაჟმა მამას კარგად მოუარა, სიკვდილს შემდეგ დიდებულად დამარხა; თვითონაც თავისის ცოლით კარგათ იცხოვრა. ამერთმა დაგლოცოთ.



## ჭ ა კ ი ც ხ ე ნ ი.


იყო ერთი ცოლ-ქმარი. მრთი ჭაკი ცხენის მეტი არაფერი ებადათ. ეს ჭაკი ცხენი ერთს კვიცს დილას მოიგებდა, მეორეს სალამოს. დილის კვიცს ცოლ-ქმარი სადილათ სჰამდა, სალამოსას—ეხზშმათ. ბაუ-ჭირა საქმე ჭაკ ცხენს ამდენი კვიცების ყოლამ. შე-ეხვეწა ერთ დღეს ლმერთს: «ლმერთო! რომელმაც მშობიარობის შეძლება მომანიჰე, ბერწობა მომეცი.» ისმინა ლმერთმა ჭაკის ცხენის ხვეწნა და მოუსპო მშობიარობა. ამას შემდეგ ძლიერ გაჭირებაში ჩაეარ-და ცოლ-ქმარი: არ იციან რით გამოიკვებონ თავი! ქმარმა სთჰეა: მოდი, დავკლათ ჭაკი-ცხენიო! სოლი ყაბუღს გაუხდა. ქმარმა სთჰეა, რომ ჯერ წყალი დაეალეეინოთ, უფრო ბეერს სისხღს მოგეცემ-სო, და კიდევაც წაიყვანა წყალზე. სოლ-ქმა-რის ლაპარაკი ჭაკ ცხენს ყვეღა ესმის: რომ მიჰყავს თავის პატრონს წყალზე, იხელთა დრო, ჰკრა წიხ-ლი და თავითგან ტეინი გადმოანთხეეინა. პატრონი აჰ დატოვა მკედარი და თეითონ კი მინდერათ გას-წია. აჰ ისეე ლმერთს შეეხვეწა: ლმერთო, რომელ-მაც გამაბერწე, ისეე მომეცი მშობიარობის ნიჰი. ლმერთმა ეხღაც შეისმინა ჭაკი ცხენის ხვეწნა და მისცა მშობიარობა. სამი წღის განმავაღობაში ასე გამრავღდა ჭაკი ცხენის ნაშობი, რომ ტეეა არსად

არის. ბოლოს ისევ ლმერთს შეეხვეწა: ლმერთო, რომელმაც ამდენი კვიცი მომეცი, მწყემსიც მომომეციო. ისმინა ლმერთმა ჭაკი ცხენის ხეწნა და ეყოლა ერთი ვაჟი. სახელად მისრი დაარქვა. როდესაც მისრი წამოიზარდა, უთხრა თავის დედას. «დედაე, ერთი ცხენი მომეცი, შორს ქვეყანას მინდა წავიდე.»

— წადი, შეილო და, რაც ყველაზე მდარე ცხენი ერივოს ჯოგში, ის მოიყვანე. მისრი ასე მოიქცა. — დედაე! რათ მინდა ასეთი გლახა ცხენი, ბარემ კარგი ცხენი მომეცი. — შენ ჯაფრი ნუ გაქვს, მაგას ერთ კვირაში ისე გაეხსუქებ, რომ ველარც კი იცნო. აქამა ერთი კვირა რძე და მართლაც ეს გლახა ცხენი ისე გაკეთდა, რომ ცას მიაბჯინა კისერი. მამოეწყო მისრი სამგზავროთ და გასწია თავის გზაზე. იარა, იარა, ოთხ ძმას შეეყარა. მათ ძმას სამი თოფი ჰკილია, სამი ხანჯალი, სამი დამბაჩა; მეორეს ოთხი თოფი, ხუთი ხანჯალი, ხუთი დამბაჩა; მეოთხეს ექვსი თოფი, ექვსი ხანჯალი, ექვსი დამბაჩა. ამ ოთხ ძმას ისე მოუარა გვერდი, რომ ხმა არ გასცა. მაუკვირდით ძმებს: ვინმე დიდი კაცი უნდა იყოს, რომ ხმის გაცემას არ კადრულობს! მოდი, უკან გავედევნოთო. ნახეს, ამ კაცს ხის ქვეშ დაუსვენია. ცხენი ქუსლზე მიუბაჟს აღვირით, თვითონ დაუძინა. როცა ძმები მიუახლოვდნენ, მისრიმ გამოიღვიძა. ჰკითხეს ამას: ვინ ხარ და რას ეძებო? — ჩემ ვინაობას არ გეტყვიით, მე მივდივარ ცოლის საშოენელადაო. ძმებმა უთხრეს: ცოლი თუ გინდა, შეთევან კვისარს რომ ქალიშვილი ჰყავს, ის შეირთეო.

— ქეისარი რათ მომცემს თავის ქალიშვილს!

— მაგისი დარდი ნუ გაქვს, წავიღეთ ყველანი და მოეახერხებთო. მასწიეს და მივიდენ კეისართან. მისრიმ მაშინვე ქალიშვილი სთხოვა ცოლად. ქეისარმა მიუგო: ჯერ რა კაცი ხარ, არ ვიცი, და მეორეც, მე სასიძო სახლში მყავს და როგორ მოგცემ ჩემს ქალიშვილსაო. მისრი ძალას დაადგა: მომეცი ნებით, თორემ ძალით წავიყვანო. მს იუკადრისა კეისარმა, და უთხრა: ეხლავე თუ არ მომეცლები, ბოძზე მიგაკრავო. მისრი ღამე კოშკში შეიპარა და კეისრის ქალიშვილი გამოიყვანა. ძმებმა უთხრეს: აწი ფიქრი ნუ გაქვს, წავიღეთ შინაო. მასწიეს და მიჰყავთ კეისრის ქალიშვილი. ქეისარმა მეორე დღეს გაიგო ეს ამბავი; გამოეკიდა ჯარით; დაუხვდა ჯარს უმცროსი ძმა და ისე ამოწყვიტა, რომ მოამბეთ არავინ გაუშვა. ქეისარმა მეორე ჯარი გამოაკიდა; ეს ჯარი მეორე ძმამ ამოწყვიტა. ასე დახოცა ორმა დანარჩენმა ძმამაც კეისრის ჯარი. მისრიმ კეისრის ქალიშვილი შინ მოიყვანა. ღედას ძლიერ გაუხარდა მისრის მშვიდობით დაბრუნება და ცოლის მოყვანა. თავისი ცხენის ჯოჯი ამას დაულოცა. მისრი და მისი ცოლი მდიდრულათ დაესახლენ. ღმერთმა დაგლოცათ.



ს ა მ ი ძ მ ა .

სამ ძმას სამი თბა ჰყაეღა. მს იყო იმათი ქო-  
ნება. ზაიყვენ, თითო თბა შეხეღათ. ზაყრის მეორე  
ღღეს, ღიღით, უმცროსმა ძმამ გაღაიკიღა თოფი ღა  
თაეისი თბა საძოვარზე წაიყვანა. ზამოვარღა საიღ-  
განღაც მგელი, ეცა თბას. მისი პიტრონს თოფიჩახ-  
მახ-აყენებული ჰქონღა. „მე! გაუშეი თბა, თორემ  
ესეც არის მოგკალი!“ შესძახა თბის პატრონმა მგელს.  
მგელმა უთბრა: ღამანებე თბა ღა ნაცეღად ერთს  
ჯოგს შეგძენო.

- მის ვენღო?
- ლმერთს.

ძაცმა ღაანება თბა: მგელმა თბა იქვე შექამა; გაი-  
ყოღა ეს კაცი ღა გასწიეს. იარეს, იარეს, კეისრის  
ჯოგთან მიეიღენ. უთბრა ამ კაცს მგელმა: მე ჯოგს  
ღავეცემი; როღესაც მეჯოგეები გამომეკიღებთან, მაშინ  
მოსღევი ხელი ღა მთელი ჯოგი სახლში მირეკე.  
ძარგიო, უთბრა ამ კაცმა. მგელმა, როგორც სთქევა,  
ისე ქნა. მას მეჯოგეები უკან გამოეღვენენ. ამ  
ღროს მოსღევა ამ კაცმა ჯოგს ხელი ღა  
თაეის სახლში მირეკა. ნახეს ეს უმცროსმა ძმებმა,  
გაჰკეირღენ, ვინ მოგცა ამღენი ჯოგიო! მინ მომ-

ცემდა, ჩემი თხის ნაშენია ყველა. იამათ ძმებს, ჩვენც წაიყვანო. ხვალ ჩვენს თხებს საძოვარზეო. რატომ არაო, უთხრა უმცროსმა ძმამ. წაიყვანეს მეორე დღეს უფროსმა ძმებმა საძოვარზე. ზამოუფარდათ მგელი, ეცა ამათ თხებს, გამოფატრა და შეჭამა. მწყინათ უფროსს ძმებს. ღაბრუნდენ უკან და უმცროსს ძმას მივარდენ: მოტყუებისათვის უნდა მოგკლათო.—მე ნუ მომკლათ, ჩემი ცოლი მოკალითო, სთქვა უმცროსმა ძმამ. ძმებმა ასე ქნეს: ესროლეს თოფი და ცოლი მოუკლეს. აიკიდა ქმარმა მკედარი ცოლი და წაიღა. საღამოს ერთ სოფლამდის მიაწია. აქ ერთ მოსახლისას ქორწილი იყო. სოფლის ახლო მდინარის პირზე ხე იდგა. თავისი მკედარი მიაყუდა ამ ხეზე, თვითონ ერთ მოსახლეს ესტუმრა. ამ მოსახლეს ოთხი გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ძაცმა უთხრა მასპინძელს: კვისრის ძიძა მოდის ჩემთან, სირცხვილით სახლში არ შემომყევა, ეგებ რომელიმე ქალიშვილი გავიდეს და შემოიყვანოსო.

ზაეიღენ ქალიშვილები, მიუახლოედენ ქალს, ეხვეწებოან, სახლში შემოდითო, მაგრამ მკედარი აბა რას გაიგონებდა! ღაბრუნდენ და შინ მოვიდენ; ბევრი ეხვეწეთ, მაგრამ არ შემოგეყვა სახლში, სრულიად არ იღებს ხმასო. ამ კაცმა უთხრა: ხელი უნდა მოჰკიდოთ, თორემ არ შემოვაო. ზაბრუნდენ მეორედ ქალიშვილები; მოჰკიდა ერთმა ხელი, გაინძრა მკედარი და მდინარეში ჩაეარდა. შეშინებული ქალიშვილები შინ დაბრუნდენ; უთხრეს ამ კაცს: შენი ქალი მდინარეში



გადავარდაო. ისე ეწყინა ამ კაცს, რომ თავს იკლავდა. სთქვა ქალების მამამ: «კაცო, რას ხწუხხარ! მთხი ქალიშვილი მყავს, აირჩიე ერთი და წაიყვანე».

ამას გულში უხარია, აირჩია ერთი და წაიყვანა თავის სახლში. ჰკითხეს უფროსმა ძმებმა: საიღვან იზოვე ასეთი კარგი ცოლიო? საიღვან და ვიძახოდი: „ვის უნდა მკედარი ცოცხლის ნაცვლად? მოვიდა ერთი კაცი, ჩემი მკედარი მან დაიტოვა და თავისი ქალიშვილი გამომიცვალა.“ უფროსს ძმებს მღარე ცოლები ჰყავდათ; იფიქრეს: თუ კი მკედარს ცოლებში ცოცხალს და უკეთესს ვინმე გაგვიცვლის, მოდი, ჩვენც მოვკლათ ცოლებიო. მოკლეს კიდევაც. აიკიდეს ზურგზე და გაუდგენ გზას. მივიდნენ ერთ სოფელში, და იძახიან:—ვის გინდათ ცოცხალში მკედარიო? „სთქვე უკუებო, ვის რათ უნდა მკედარიო?“ უთხრეს სოფლელებმა. დაქანცულ-დაღალული ძმები შინ დაბრუნდნენ, მკედარი ცოლები შუა გზაზედ დააგდეს. უთხრეს უმცროსს ძმას:—ებლა კი მაინც და მაინც უნდა მოგკლათ: რათ მოგვატყუე ასეო?—მე ნუ მომკლავთ და სახლი დამიწვითო. ძმებმა უმცროსის ძმის სახლს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუფეს. აღგა ეს კაცი, ერთი გულა ნახშირით ააესო, მოიკიდა და გასწია. მივიდა ერთ სოფელში; კარს მიაღგა ერთ მოსახლეს: კეისრის ხაზინა მომაქვს; დაღამდა და, თუ შეგიძლიანთ ხაზინის შენახვა ფრთხილათ, დამაყენეთო. შე კაცო, კეისრის ხაზინას როგორ ვერ გაუფრთხილდებით ამაღამ! მაგისი ფიქრი ნუ

გაქცხო.—ადგა აქ; სკამეს ეახში და დაწვენ. შუა-  
ლამისას ამ კაცმა ნახშირით საესე გუდა კერას ქვეშ  
შეარეკა, თვითონ ისევე დაწვა. ადგა დილას, ნახა თა-  
ვისი გუდა, ცარიელია.—ოჰ! აკი დავლუპულვარ!  
ხომ გეუბნებოდით, რომ თქვენ ვერ შემინახავდით  
კვისრის ხაზინას! რა გეშეელებათ ეხლა; დაილუპა  
თქვენი საქმე და ეგ არის! ადგა საცოდავი მასპინ-  
ძელი, რა ღონე არ იღონა და, როგორც იქმნა,  
ერთი გუდა ვერცხლი იშოვა და ამ კაცს ჩააბარა.  
პიკიდა ამანაც ვერცხლით საესე გუდა და შინ მივი-  
და. ძმებმა რომ შეხედეს, გაიკვირეს. სად გი-  
შოვია ამდენი ვერცხლიო?—ჰაი, თქვე გლახებო,  
გდინართ სახლში და არაფრის მოხერხება კი არა  
გაქვთ! სად ვიშოვე-და ერთი გუდა ნახშირი წაფი-  
ლე, ვიძახოდი: ვის გინდათ, ნახშირი ვერცხლში გა-  
მიცვალოთ მეთქი; მოვიდა ერთი და გამიცვალა ვერცხ-  
ლით საესე გუდა.—თუ კი ასეა, იფიქრეს უფროსმა  
ძმებმა, ჩვენც დავწვათ სახლსაო, და კიდევ დაწ-  
ვეს. პიკიდეს ნახშირით საესე გუდა, მივიდენ ერთ  
სოფელში და იძახიან: «ვის გინდა ნახშირი ვერცხლ-  
ში?»—თქვე უკუუებო! უთხრეს სოფლელებმა: ვის  
ენდომება ნახშირი ვერცხლშიო? ღაქანცულ-დალა-  
ლულნი დაბრუნდნენ შინ, მივიდენ უმცროსს ძმასთან:  
ეხლა კი მოვიდა შენი აღსასრულის დღეო; უთუოდ  
უნდა მოგკლათო!—აბა, თუ მაინცა და მაინც მკლავთ,  
ერთს რასმე გთხოვთ,—ხილზე მომკალით. მე შუა  
ხილზე გაფიქრდები, თქვენ ხილის ყურებზე დადევით,



რომ

მეფე

ღიას, არა, არაოდეს.

იყო ერთი კეისარი, ჰყავდა ვეზირი. ვეზირმა სთხოვა კეისარს, რომ სანადიროთ გაეშვა. ბევრი იარა ვეზირმა, მაგრამ ვერაფერი მოკლა. შინ დაბრუნებისას ხეზედ ჩიტი დაინახა, ესროლა ისარი, ხიდან ჩამოაგდო და უბეში ჩაიღვა. ჩიტი უცებ ლამაზ ქალად გადაიქცა და გვერდში ამოუდგა. შეხედა ვეზირმა, გაუკვირდა, - ჰკითხა: ვინ ხარ შენაო? ქალმა მიუგო: შენ რომ ჩიტი დაიჭირე, ისა ვარო. მაშ, თუ ასეა, ცოლად უნდა გამყვეო, უთხრა ვეზირმა. - ძარგიო, მიუგო ქალმა, მაგრამ თუ კეისართან წამიყვან, ის ჩემს თავს წაგართმევსო. მრთს მოვახერხებ: კეისარს რომ მივუახლოვდებით, მე გლახა ქალად გადავიქცევი, მაშინ კეისარი შენ გაგაგდებს და ორივე წავალთ შენს სახლშიო. ვეზირი დათანხმდა და გასწიეს კეისართან. ნახა კეისარმა ქალი და ვეზირს ჰკითხა: ვინ მოგიტრეფია ეს და ან რათ გინდაო? ვეზირმა უთხრა: ეს ქალი ცოლად მოვიყვანეო. კეისარმა არ მოუწონა ეს და ვეზირი ახლად ნაშოვნ ცოლიანათ დაითხოვა სახლიდან. კეისარის სახლს რომ გამოსცილდენ, ქალი ისევ ლამაზ ქალად გადაიქცა. სცხოვრობენ კარგათ ვეზი-

რი და მისი ლამაზი ცოლი. რამდენსამე ხანს შემდეგ  
კეისარმა გაიგო ვეზირის ცოლის ქება და დაიბარა.  
შთხრა ვეზირს: ან შენი ცოლი მომეცი, ანა და—  
«ღიახ, არა, და არაოდეს» მომიტანეო. შეწუხდა  
ვეზირი, დალუნა თავი და ცოლთან გასწია. შამხო  
ყველაფერი, რაც უბრძანა კეისარმა. ცოლმა უთხრა:  
მე რომ ხეზე ვიჯექი, იმ ხის შტოებისაგან ცოცხი  
შეკარი, გაიმძღვარე წინ; საითაც გაგიძღვეს, შენ იქით  
მიჰყევი: ცოცხი გასწავლის, სად არის «ღიახ, არა,  
არაოდესო». წავიდა ვეზირი, ხის შტოებისაგან ცო-  
ცხი შეკრა, დაღვა მიწაზე, ცოცხმა ქარივით გასწია.  
ზაჰყვა ვეზირი უკან, და ცოცხმა ვეზირი ქვედა ქვე-  
ყანაში მიიყვანა. აქ კეისრის მამა დახვდა. ვეზირმა  
იცნო თავისის კეისრის მამა. შთხრა მას: შენმა შეილ-  
მა გამომგზავნა ღიახის, არას და არაოდესის საძებ-  
ნელათ, დამებმარე რამეო. კეისრის მამამ უთხრა:  
იარე და ერთ ზღეას მიაღდები, იმ ზღეას გაღმა გა-  
დი, იქ ერთი მოსახლე სცხოვრობს, იმას ჰკითხე და  
ის გასწავლის «ღიახ, არა და არაოდესო». იარა ვე-  
ზირმა და მიაღვა ზღეას. დაჯდა თავის ცოცხს, ზღეა-  
ში გავიდა. ნახა სახლი ღვას, გენია ცეცხლი ანთია,  
შიგ კაცი არ არის. შევიდა სახლში და ერთ კუთხე-  
ში დაიძალა. სახლში სამი ფაქი შემოვიდა. დაიძახ-  
ერთმა: «აბა, მოსამსახურეც, ტაბაკი დაგვიდგი!» მო-  
სამსახურე საითგანღაც გაჩნდა და ტაბაკი დაუდგა.  
«აბა, სასმელ-საჭმელი მოგვიტანე!» მოუტანა. სკა-  
მეს, სვეს ამ კაცებმა, გავიდენ სახლიდგან. ვეზირი

ამას ყველაფერს უყურებდა. იფიქრა: «რაც უნდა დამემართოს, მეც ვსთხოვ ამ მოსამსახურეს საქმელსა. — აბა, მოსამსახურეე, მაკამე რამე.» მოსამსახურემ მაშინვე ტაბაკი დაუდგა, სასმელ-საქმრლი ბლომათ მოუტანა. მეზირმა სთხოვა, მოსამსახურესაც მასთან პური ეკამა. დასხდნენ ორივე. ერთ კათხა სასმელს ვეზირი სვამს, მეორეს მოსამსახურეს ასმევს. ორივე დათერენ. მეზირმა წასელა დააპირა; სთხოვა მოსამსახურეს, ისიც გაჰყოლოდა. ბაუდგენ ორივენი გზას. იარეს, იარეს, — წინ ურია შეხვდათ, ხელში ჯოხი უჭირავს. ჰკითხეს ურიას, რათ გინდა ჯოხიო? ურიამ მიუგო, მინდა გავეიდოეო. — მერმე რისთვის გამოდგება ეს ჯოხი? ჰკითხა ვეზირმა. — რისთვის და, რომ უთხრა ამ ჯოხს, ესა და ეს კაცი მოკალიო, მოჰკლავს, მიბერტყეო, — მიბერტყავს. — თუ შეეღევი, მომეიდეო, უთხრა ვეზირმა. ურია დათანხმდა. მიჰყიდა ვეზირს და ფასათ ჩოხა გამოართვა. შემდეგ ვეზირი თავის გზაზე წავიდა, ურია თავისაზე. სოტას რომ დაშორდნენ ერთმანეთს, ვეზირმა უთხრა ჯოხს: აბა, ჩემო ჯოხო! მიეწიე ურიას, მოკალი, ჩემი ჩოხა გახადე და მომიტანეო. ჯოხმა ასე ქნა: ურია მოკლა, ჩოხა ვეზირს მოუტანა. ბაუხარდა ვეზირს და პირდაპირ კეისართან გასწია. ქეისარმა ჰკითხა: «მოიტანე თუ არა — დიახ, არა, არაოდესო?» მეზირმა უპასუხა: მოვიტანეო. — აბა მაჩვენეო. მეზირმა უთხრა ჯოხს: «აბა, ჩემო ჯოხო! ეძგერე კეისარს, სიკვდილით ნუ მოჰკლავ, ცემით კი იმდენი სცემე, რომ

სიკვდილზე მიაყენო! • მაშინვე ეძგერა ჯოხი კეისარს, იმდენი სცემა, რომ ძელები დაამტვრია. როცა შეიკყო, რომ აწი კმარა ცემაო, ჯოხმა ჰკითხა კეისარს:

— ხომ გეყოფა?

— ღიახ!

— ძილვე გინდა?

— არა!

— ამას იქით კილვე სთხოვ ვეზირს ცოლს?

— არაოდეს!

ჯოხმა თავი დაანება კეისარს. ძეისარმა უთხრა ვეზირს:

— ღმერთმა შენ მოგახმაროს შენი ცოლი; კაცი ხარ და კაცურად დამხედო. მრავალი საჩუქარი მისცა და ისე გაუშვა. მეზირი დაბრუნდა თავის ლამაზ ცოლთან. შამბო ყველაფერი თავის თავ-გადასავალი. ამას შემდეგ იცხოვრეს ბედნიერათ. სანამ ეს მართალი არ იყოს, მანამ არაფერი გვეტკინოს.

მე

მელია.

მელია ხეს ქვეშ იყო მოსვენებული. ჩამოვარდა ფოთოლი, ზურგზე დაეცა; წამოხტა მელია და გასწია. შეხვდა მგელი.

- მელიაე, რა ამბავია?
- როგორ რა ამბავია!—მიწა სკდება, ცა ინგრევა!
- შინ გითხრა?
- ჰურით ვისმინე, თვალით ვიხილე!
- მეც წაგყვები.
- უსუ ქენი.

იარეს, იარეს,—და შეხვდათ დათვი.

- მგელო, რა ამბავია?
- როგორ რა ამბავია! მიწა სკდება, ცა ინგრევა!
- შინ გითხრა?
- მელიამ.
- მელიაე, შინ ვინ გითხრა?
- ჰურით ვისმინე, თვალით ვიხილე!
- მეც წაგყვები.
- შოღი.

იარეს, იარეს,—და შეხვდათ თხა.

- დათვო, რა ამბავია?
- მიწა სკდება, ცა ინგრევა!





— მინ გითხრა?

— მგელმა.

— მგელო, შენ ეინ გითხრა?

— მელიამ.

— მელიავ, შენ ეინ გითხრა?

— შურით ვისმინე, თვალით ვიხილე.

— წამყვანე მეც.

— მოდი.

იარეს, იარეს, შეხვდათ ჯერ ცხვარი, მერმე მამალი; ამათაც ასე უთხრეს და შეიამხანაგეს. შრიყარეს თავი მელიამ, მგელმა, დათემა, თხამ, ცხვარმა, მამალმა და გაუდგენ გზას. სალამოს ერთ წისკილში მივიდენ ლამის გასათევათ. წისკილში ერთ წყუბათ დასხდენ: თავში მელია, მერმე მგელი, დათეი, თხა, ცხვარი, და ბოლოს მამალი. ადგა მელია და სთქვა: მე უფროსი, მგელი უფროსი, დათეი უფროსი, თხა უფროსი, ცხვარი უფროსი, მამალი უმცროსი. მისციეიდნენ ყველანი მამალს და ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯეს. ამას რომ მოჩინენ, მელიამ ისევ დაიწყო:

— მე უფროსი, მგელი უფროსი, დათეი უფროსი, თხა უფროსი, ცხვარი უმცროსი! — მისციეიდნენ ცხვარს და ერთ წამში გაგლიჯეს. ძასრში ქონი შეინახეს. დაიწყო ისევ მელიამ:

— მე უფროსი, მგელი უფროსი, დათეი უფროსი, თხა უმცროსი — სტაცეს ხელი თხას, მიწეწ-მოწეწეს, ქონი კასრში შეინახეს, სხვა შეკამეს. სოტა ხანს

იქით მელია ისევ ადგა და დაიწყო:

—მე უფროსი, მგელი უფროსი, დათვი უმცროსი, ეცენ დათეს მელია და მგელი. შეიქნა ერთი გაწამაწია, ბროგიალი, გაწეე-გამოწეეა,—ვერ ერევიან დათეს.

როგორც იქნა, მოლაღეს დათვი და დაიმორჩილეს, გაატყავეს, ხორცი მოხარშეს, ქონი კასრში ჩაღეს და კიდევ აავსეს. დათვის ხორცი ერთ კვირას ეყოთ მელიასა და მგელს. როდესაც ეს დაელიათ, მგელმა კასრში შენახულის ქონის ჭამა მოინდომა. —მგლები ყველაფერში ჰსუნაგები ხართ! რა გეჩქარება კათარის \*) ჭამა; შენ არ იცი, რომ კათარი რაც მეტი წადებია, მით უკეთესია? შაცალოთ ერთ კვირას და მერმე შეეკამოთ. მგელმა დაიჯერა. მელია ყოველ ღამეს იპარება კასრთან, სჭამს კათარს და ძღება. საცოდავი მგელი კი შიმშილითა კვდება. ბავიდა ერთი კვირა; მელიამ კათარი გაათავა.—აბა, ამაღამ მაინც აეხადოთ კასრიო \*\*), სთქვა მგელმა. —ასე ექნათო, მიუგო მელიამ; მგლების ამოხდილი ჭურჭელი უფრო ბარაქიანია, და შენ ახადეო. თერთონ წისქვილის ფანჯარაზე ჩამოჯდა, მგელი კასრთან მიგზავნა. ახადა მგელმა კასრს სარკველი, შიგ არათერია! გაჯაერებულმა გადახედა მელიას; სანამ მგელი მელიას პირსა სტაცებდა, მელია ფანჯრიდან გადახტა. ბამოეკიდა მას მგელი: წინ მელია, უკან მგელი.

\*) კათარი — დამაბილუშული ქონი.

\*\*) კასრი — პაცარა შოქვა.

ლი; ირბინეს და ტყეს მიაღგენ. მელია ორ ხეს შუა  
გაძერა, მგელიც გაჰყვა, მაგრამ ვერ გაეტია, ხეებს  
შუა ჩარჩა, ვერც წინ მიძვრება და ვერც უკან. მო-  
ბრუნდა უკან მელია და... მგელი აქ დატოვა, თე-  
თონ თავის გზაზე გასწია. ბევრს ეცადა მგელი, ბევრს  
ეწეალა და, როგორც იქნა, გამოძერა ორ ხეს შუადგან.

მრთ დღეს მგელი ტყეში შეშასა სჭრიდა.  
ჩამოიარა მელიამ, ესროლა წალდი და კუდი მოსჭრა.  
მგელს გაუხარდა—გაკეთდა ჩემი საქმე, აწი კი გიც-  
ნობ და სად წამიხვალო! მიდის უკუდო მელია, სხვა  
მელები შემოხედენ.—ნეტაეი შენ, მელიაე, მსუქანი  
ხარ!—მქვენც ჩემსავეთ მიიქვრით კუდები და მსუქ-  
ნები იქნებითო.—რა ნაირად მოვიქვრათ, თორემ დია-  
ხალო.—წამყევით, მე გასწავლით ხერხსაო. ბაუძღვა  
და ყველანი მდინარეზედ მიიყვანა. ჩააყოფინა ყველას  
კუდები წყალში და მთელი ზამთრის ღამე ვააჩერე-  
ბინა. მეორე დღეს მელების კუდები მდინარის ყინულს  
შერჩა. მგელმა რომ ეს ამბავი გაიგო, ეწყინა: ვაი,  
ჩემი ცოდვა, აწი რითლა გამოვიცნობ ჩემს მოლალა-  
ტე მელიასაო!. იფიქრა და ეს ხერხი გამოიგონა: გაა-  
კეთა მდინარეზე ბონდის ხიდი. იფიქრა: მელები ამ  
ხიდზე სიარულს დაიწყებენ. სხვებს ყველას გაუძღვებს  
და ჩემს მოლალატე მელიას კი ჩაუტყდება, რადგა-  
ნაც იგი ყველაზე უფრო მსუქანი და მძიმეაო. ასეც  
მოხდა. მრთ დღეს მელებმა გაიარეს ამ ხიდზე. შე-  
ვლანი მშვიდობით გადავიდენ, მხოლოდ ამ მელიას  
ჩაუტყდა ხიდი და მდინარეში ჩაეარდა. მგელი ახლო

დარაჯობდა, მაშინვე მივარდა და მელა დაიჭირა. წაიყვანა სახლში, დანა დააჭირა ყელზე დასაკლავად. ამ დროს მელიამ დაიძახა: «ჭირელ-ლირელ, ჭირელ-ლირელ!»

— რას ამბობ, მელიაე! ჰკითხა მგელმა.

— არათერს, შე ბილწო, გაათავე, ბარემც დამკალი!

— არა, მითხარი, რას ამბობ?

— რას ვამბობ და შე შემიდლია ისე ნაირ-ნაირად აგაჭრელო, რომ შენისთანა ლამაზი არათერი დალიოდეს მიწაზე.

— რა ნაირად ამაჭრელებ?

— ამიშვი და გეტყვი.

აუშვა მგელმა მელია. მელიამ უთხრა მგელს, რომ ნაჯახი მოეტანა და ძლიერ გაეხურებია ცეცხლში. მგელმა ასე ქნა.

— მხლა შენ დაწეჭი, უთხრა მელიამ, მე გახურებულ ნაჯახს გისვამ კისერზე, შენ იძახე: «ჭირელ-ლირელ-ლირელ\*» და აჭრელდები.

მგელი დაწვა. მელიამ გახურებული ნაჯახი უსვა კისერზე და თაეი გააგდებინა. ამისი ყოფა-ცხოვრება მელიას დარჩა. — სანამ ეს მართალი არ იყოს, მანამ არათერი გვეტკინოს.

---

\*) ჭირელ-ლირელ — ნაშნაჲს გაჭრულჲას.

მამაჯიროლა

⊗ მამაჯიროლა\*)

ეს ლმერთმა დაგლოცოთ და—იყო ერთი მამა-  
 ჯიროლა; ისეთი ზარმაცი იყო, რომ სახლიდამ კარ-  
 ში არ გამოდიოდა. რას არ ცდილობდნენ მისი ძმები,  
 რომ სიზარმაცეს გადაეჭვიათ, მაგრამ ვერაფერს გახ-  
 დნენ. მათ დღეს ძმებმა სამი წველა ყველი იშოვეს;  
 ერთი წველა შიგნითა კარების ღირებზე დადევს, მეო-  
 რე შუა და მესამე გარეთა კარებისაზე; თვითონ კი  
 კარების უკან დაიმაღლნენ. მამაჯიროლამ მოჰკრა თუ-  
 არა თვალი ყველის წველებს, მაშინვე აღვა: მივიდა  
 ჯერ ერთ წველასთან, მერმე მეორესთან, და, მესა-  
 მესთან რომ მივიდა, რომელიც გარეთ კარების ღი-  
 რებზე იყო, ძმებმა კარები მიუხურეს და მამაჯიროლა  
 გარეთ დასტოვეს. მხეწვება მამაჯიროლა თა-  
 ვის ძმებს კარების გაღებას, მაგრამ შენც არ მომიკე-  
 დე, ძმებმა ყური არ ათხოვეს. მამაჯიროლამ უთხრა:  
 თუ მაინცა-და-მაინც გარეთ მაგდებთ, ეს ძმობა მაინც  
 მიყავით,—ფქვილით სავსე კვახი და სამი კვერცი  
 მომეცით და გაგშორდებითო. ძმებმა ეს თხოვნა აუ-  
 სრულეს. აღვა მამაჯიროლა და გასწია; იარა, იარა  
 და მივიდა იმ ადგილს, სადაც სამი გზა თავს იყრის.

\*) მამაჯიროლა—ზატმავი.

აქ დაჯდა და დაისვენა. ზახედა, — საიდგანლაც ზო-  
ზიალით დევი მოდის.

— მამაჰიროლა, აქ რას უზიხარ? ჰკითხა დევმა.

— მამაჰიროლა რათ ვიქნები, შენი და ვარ, მიუ-  
გო მან.

— აი! ისემც აშენდები, როგორც შენ ჩემი და  
იყო! აბა ჩემი და თუ ხარ, რაც მე ვქნა, შენც  
ის ქენი.

— შერე იყოს.

აილო დევმა თეთრი ქვა, დაარტყა მიწას და და-  
ნარცხა. ზამოილო მამაჰიროლამ უბიდან ფეკილით  
სავსე კვანძი, დაარტყა ძირს და მტყერი აადინა.  
დევი გაკვირდა, აილო თეთრი ქვა, ჩაიღვა პირში,  
მოუჭირა კბილები, წვენი გამოადინა. ამოილო მამა-  
ჰიროლამ კვერცხი, ჩაიღო პირში და დაამსხერია,  
შარესად გაუკვირდა დევს; მართლა, რომ ჩემი და  
ყოფილხარო; ადგენ და ორივემ გასწიეს დევის ბი-  
ნისაკენ. დევს ერთი ხარი ცეცხლზე აქვს მიფიცებუ-  
ლი შესაწვავად. მოაწია ვახშობის ღრომ. დევმა ხა-  
რი შუაზედ გაყო, ნახევარი მამაჰიროლას მისცა,  
ნახევარი თვითონ დაიტოვა. — აბა, ჩემი და თუ ხარ,  
შენც იმდენს შესუამ, რამდენსაც მეო. დევის ბინის  
ქვეშ ოთახი იყო. ადგა მამაჰიროლა, სადაც იჯდა,  
იქ ნახევრეტი გააკეთა, იკრის და ჰყრის ამ ნახევრეტში  
ხორცის ლუკუმებს; ასე, რომ ბოლოს მარტო ბეჭი-  
ლადარჩა; შეხედა დევმა, გაკვირდა და უთხრა, სწორეთ  
რომ ჩემი და ყოფილხარო! — არა-და მოგატყუებ, შენ-



მა სიცოცხლემო, უპასუხა მამაქიროლამ, როდესაც ვახშამი გაათავეს. სხენზე დევს წისქვილის დოლაბი ედვა; ადგა და ამ დოლაბზე დაჯდა მამაქიროლა; რომ როგორმე გამოეკეთებინა თავისი საქმე, დევს დაუძახა: აბა, თუ ეს დოლაბი ქვევითაც ჩამოვაგდო და ზევითაც ავიტანო სხენზე?—აბა, ჰე, სთქვა დევმა. ამ დროს ჩამოაგდო მამაქიროლამ დოლაბი, დასცა დევს თავში და მტერად უქცია. ჩამოვიდა სხენიდან, მიიხედა-მოიხედა დევის სახლში, დაინახა სახლის კუთხეში ერთი დევია ჯაჭვით დაბმული. ეს დევი და იყო მოკლულის დევისა. თურმე ეს უკანასკნელი თავის დას მოერია და, როგორც დევების წესია, დააბა ჯაჭვით. დაბმული დევი ისეთი ბილწი რამ არის, რომ ზედ არ შეეხებდება.—ამიშვი და, რასაცა მთხოვ, აგისრულებო, უთხრა დაბმულმა დევმა მამაქიროლას. —ღიანაც მსურს აგიშვა, მაგრამ რითა და როგორ? —რითა და — ჩემს დას ზეთიანს კოლოფში დაშნა აქვს შენახული, თუ როგორმე იმ დაშნის ამოღებას მოახერხებ, მარტო იმით შეიძლება ჩემი ჯაჭვის გაკრა, თორემ სხვით ვერაფრით. მონახა მამაქიროლამ ზეთში დამბალი დაშნა, და ეძაძეურა ამოსაღებათ, მაგრამ განძრევაც ვერ უყო. დევმა უთხრა, რომ დაშნასათვის მოება ქაპანი და მისთვის ხელი მოეკიდებინა, ორივე რომ აეწვეთ, ამოვიღებთო. მამაქიროლამ ასე ქნა. მოჰკიდეს ორთავემ ხელები და დაშნა ზეთის კოლოფიდან ამოაძვრეს. ჰკრა დაშნა დევის ჯაჭვს, უცებ მოსკრა და დევი განათავისუფლა.—აბა, რა გინ-

და, მთხოვეო, უთხრა ღვემა. სხვა არაფერი მინდა, ეს  
შენი ქონება დამიტოვე და შენ, სადაც გინდა, იქ  
წადიო. ღვემა თხოვნა აუსრულა. სანამ ეს მართა-  
ლი არ იყოს, მანამ არაფერი გვეტკინოს.



1

13

ⓧ მელია, კრავი და თიკანი.

სხოვრობდნენ ერთად მელია, კრავი და თიკანი. საზიაროდ ყანა დახნეს. ძარგი ყანა დადგა; თავის დროზე მომკეს, გაღეწეს, გაანიავეს და მარტო გაყოფა აკლდათ. როგორ გაეიყოს, როგორ არა? ეკითხებოდა ერთი მეორეს. მელიამ სთქვა: კარაბანიდან ჩამოვხტეთ, ვინც ბზევედ დაეცეს, მას ბზევგოს, ვინც ჩენჩზე—ჩენჩები და ვინც ხეაზე—ხეაევი; ყველანი ყაბულს გახდენ. მადმოხტა თიკანი კარაბანიდან, ბზეს დაეცა, გადმოხტა კრავი—ჩენჩს დაეცა, გადმოხტა მელია—ხეაეში ჩაეფლა. შევლამ თავისი წილი ირგუნა. ამათ ერთი კასრი ყველი ედგათ საერთოთ. მელამ სთქვა: ამაღამ ჩვენს მეზობელს ნათელა აქეს, ერთ-ერთს გვპატიჟობს, ვგებ ვინმე წახვიდეთო?

—აბა! იქ ვირბენთ სწორეთა!--სთქვა თიკანმა და კრაემმა.

—ნუ წახვალთ, მე წავალ, სთქვა მელიამ და გავიდა გარეთ. შეუმჩნეველად ყველიან კასრს მიაღდა, მოხადა თავი, გაძღა კარგათდა შინ მობრუნდა. «როგორი მასპინძლობა გაგიწიეს და რა დაარქვეს მონათლულს?» ჰკითხეს მელიას.

Handwritten signature and stamp in the top right corner.

— მასპინძლობა კარგი გვექონდა, მონათლულს «იმნილ-მიზნილი\*») დაარქვესო!

იმ ლამეს მოისვენეს. მეორე დღეს სალამოს მე-  
ლია კარში გავიდა და დაიძახა: ჰო! ჰო!

— რა ამბავია, ჰელია!

— რა ამბავია-და ჩვენს მეორე მეზობელს ნათელა  
აქვს და გვეპატიყება, ეგება რომელიმე წახვიდეთ?  
— აბა, იქ ვირბენთ სწორეთ!

— ნუ წახვალთ, მე წავალ ისევე. ბავიდა კარში და ისევე  
ყველის კასრს მიადგა. ბაძლა, დაანახევრა და შინ შემო-  
ვიდა. ჰკითხეს, — როგორი მასპინძლობა გქონდათ, ან  
სახელად რა დაარქვეს მონათლულსაო? — ძალიან მას-  
პინძლობა ჰქონდა და მონათლულს «იზნისვილ-მიზნის-  
ვილი\*\*») დაარქვესო. მესამე დღეს სალამოს ისევე კარ-  
ზე დგას და იძახის: ჰო! ჰო! — რა ამბავიაო? შეეკით-  
ხნენ კრავი და თიკანი. — რა ამბავია — და ჩვენს მესამე  
მეზობელს ნათელა აქვს, გვეპატიყება, ამაღამ მაინც  
წადით რომელიმე.

მორივემ უარი თქვა. — რა გაეწყობა, ისევე მე წა-  
ვალო, და ყველის კასრთან მივიდა. მრთიანათ გაა-  
თავა და შემოვიდა სახლში. ჰკითხეს ისევე მასპინძლო-  
ბაზე და ან ახალ მონათლულს რა დაარქვესო? მას-  
პინძლობა აქო, მონათლულს «იშთხილ-მიშთხილ»  
დაარქვესო\*\*\*). მელიას ფიქრი აქვს, რომ საერთო

\*) იმნილ-მიზნილი — თაჯ-მოხცილას უღრის,

\*\*\*) შუა-წელი.

\*\*\*) ბრტყაროლა.



ყველის ქამას ვაუგებენ თავისი ამხანაგები და ცუდა-  
 თაღ მოექცევიან. სულ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ  
 გამოიძვინოს თავი იფიქრა. იფიქრა, შემდეგი მოი-  
 გონა. შივიდა კრავთან და ეუბნება: კრავო, არ გინ-  
 და, რომ ავაქრელოო?—როგორ არ მინდა, თუ კი  
 შეგიძლიან ჩემი აქრელება.—აქრელება დიახაც შე-  
 მიძლიან. შაახურა ასტამი, დაუძახა კრავს და უთხ-  
 რა, კისერი მიეშვირა იმისთვის. მელია გახურებულს  
 ასტამს უსვამს კრავს კისერზე და ამბობს: კირელ-  
 ლირელ, კირელ-ლირელ. ძრავმა ასტამის სიმხურვალე  
 იგრძნო და შეეკითხა მელიას, რას შერები, გაძლება  
 აღარ შემიძლიანო. მოთმინება იქონიეო და ისეთი  
 საუცხოვოთ აქრელებული იქნები, რომ შენს ნახ-  
 ვას არაფერი ემჯობინებაო. ძრავმა დაუჯერა. მელიამ  
 უსვა, უსვა, და კრავს თავი გაადგებინა. ამ დროს  
 თიკანი კარში იყო. შემოვიდა და მელას ჰკითხა: კრ-  
 ვი სად არისო? ძრავი კარგათ ავაქრელე და მინ-  
 დორში დახტისო.—მეგება შენც გინდა აქრელება?  
 თიკანი ნებას დაჰყვა და კრავივით იმასაც თავი გაა-  
 დებინა. შემდეგ კრავი და თიკანი მოხარშა და შექამა.  
 იმათი საცხოვრებელი მელიას დარჩა. მანამ ეს მართა-  
 ლი არ იყოს, სანამ არაფერი გვეტკინოს.

...  
 ...  
 ...  
 ...

ა მ ი რ ა ნ ი.

მრთს უდაბურს ტყეში, რომლის ხის წვეროები  
ცასა სწედებოდენ, ამართული იყო წერილი, მაგრამ  
ძლიერ მაღალი კლდე. ამ ტყის მახლობლად სცხოვ-  
რობდა ერთი მონადირე, რომელიც დრო გამოშვებ-  
ით ნადირობდა ხოლმე ამ ტყეში. მრთს დღეს, ბევ-  
რის სიარულის შემდეგ, მონადირე მივიდა ამ კლდის  
ძირს. ძლდიდგან რალაც ხმა მოესმა, რომელიც ქა-  
ლის კივილსა ჰგავდა. ამ კივილმა მონადირის ყურად-  
ღება მიიქცია, ახედა კლდეს და ისეთი მაღალი აღ-  
მოჩნდა, რომ თვალი ვერა სწედებოდა. ასელა მოინ-  
დომა კლდის წვერზედ, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნ-  
და. მაშინათვე შინ დაბრუნდა, შინ ჰყავდა ცოლი  
ძლიერ ანჩხლი და ამასთანავე კოკლი. ცოლს უთბ-  
რა ხეაღისთვის საგზალი გამოეცხო, და თვითონ  
მკედელთან გასწია, რომელსაც ერთი გუდა სატეხი  
და ერთი რკინის ხვედი შეუკვეთა\*)<sup>28</sup> ღილისთვის  
ცოლმა საგზალი მოუმზადა, მკედელმა სატეხი და  
ხვედი. აღგა მონადირე და კლდისაკენ წავიდა.  
მივიდა ძირში. მოსდგა და დაიწყო სატეხების მიკვლეა  
კლდეზე; რაედენს სატეხსაც მიაპედდა, იმდენს საფე-

\*) სვედს—ჟუჟოს ეძახიან რაჭაში, სვანურად „ყვამა“ ჰქვიათ.

ხურს იკეთებდა — და ზევით და ზევით იწევდა. რო-  
დესაც ერთი გულა სატეხიც გამოვლია და ხედიც  
გაუცვდა, — კლდის თავზედ ააღწია. ძლდის თავზედ  
კარის მინაგვარი შესაყალი ნახა; შევიდა, შიგნით  
გამოქვაბული იყო და ამ გამოქვაბულში ღალი იწვა.  
ღალი გასაოცარის სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავეები  
ჰქონდა. შეხედეს თუ არა ღალმა და მონადირემ\*) ერთ-  
მანეთს, მაშინვე ერთმანეთი შეუყვარდათ; გადაეხვიენ  
ერთმანეთს და რამდენიმე ხანი უგრძობლად იყვნენ.  
ამ ღამეს მონადირე აქ დარჩა, ღალთან დაწვა; თუმცა  
ღალი სიტყვით ერთად დაწოლის წინააღმდეგი იყო,  
მაგრამ სიყვარულმა სძლია და ვერაფერი გააწყო.  
მეორე დილას ღალმა მონადირეს უთხრა დაბრუნე-  
ბულიყო შინ, მაგრამ მონადირე არ დათანხმდა მეო-  
რე ღამესაც ერთად იყვნენ. ახლა კი ღალმა უფრო  
შკადად უჩრჩია მონადირეს სახლში წასვლა. «წადი  
შინ», ეუბნებოდა ღალი, თორემ შენი ცოლი მეცა-  
რია (გულთმისანი), იგი ყოველ საღამოს მიჩვეულია  
შენს სახლში დაბრუნებას; რომ აღარ მიუხედავ ამ-  
დენს ხანს, იფიქრებს რასმე, გამოჰყვება შენს კვალს,  
მოვა და რაიმე ხიჯათს გადაგეკიდებს. — «შენც არ  
მომიკვდე», მიუგო მონადირემ, — «ჩემი ცოლი კოქ-  
ლია, სახლში ძლიერს დაფორთხავს და აქ რა მოი-  
ყვანსო.» ამ ღამესაც მონადირე ღალთან დარჩა.

მონადირის ცოლს მართლა უკვირდა, რომ მი-  
სი ქმარი, ეს მესამე დღეა, სახლში არ დაბრუნებუ-

\*) მონადირეს სახელად „დარჯილანი“ ვაძივა.

ლა; ორი ღამეც მოიკადა, მესამე დღისათვის კი დაიშა-  
და საგზალი, გამოუდგა ქმრის კვალსა, რომელმაც  
კლდის ძირში მიიყვანა; აპყვა კლდეს, თავზე ავიდა  
და შევიდა იმ გამოქცებულში. სადაც მონადირე და  
ღალი ერთად იწვენ და ეძინათ. მონადირის ცოლმა  
ღალის ოქროს მაკრატელი მონახა, ღალს ოქროს  
ნაწნავეები წააქრა, ნაწნავეები და მაკრატელი თან დაი-  
კავა და დაბრუნდა სახლში. მეორე დღიას მონადი-  
რესა და ღალს გამოელვიათ. ღალმა ასწია თავს,  
მხალტეთ მოეჩვენა, მოისევა ხელი, — ნაწნავეები არა  
აქვს, ადგა უცებ მაკრატლის სანახავად, — არსად იყო.  
შეწუხდა, მიუბრუნდა მონადირეს და უთხრა: ჩემი  
ცოდვა გქონდეს, ხომ ვითხარი, რომ შენი ცოლი  
ამას გვიზამდა; ეხლა ჩემი სიცოცხლე აღარა ღირს,  
აილე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგანაც მე  
შენს ხელში დავორსულდი და გამოილე შეილი. მა-  
ჭი თუ აღმოჩნდეს ჩემი შეილი, სახელად ამირა-  
ნი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა, ის  
დაარქვი. ჩემი შეილი «ქაბუკია» (გმირი), გამოვა; მას  
რომ ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდის, ისეთი იქ-  
ნებოდა, რომ თვით ლმერთს შეებმებოდა, ეხლა კი  
ნაკლები იქნება; შენ მაინც აასრულე, რაც მე და-  
გიბარო. როცა ჩემ მუცლიდან გამოიღო შეილი, სა-  
მი თვე დეკეულის ფაშეში შეინახე, შემდეგ სამი თვე  
კუროს ფაშეში, რომ რაც დედის მუცელში დააკლ-  
და, ის შეიესოს და გამოიშუშოს. შემდეგ აკვანში  
ჩააწინე, აკენიანათ წაილე და იამანისა (კაცის სა-

ხელია) წყაროზედ დადგი. იქ გამოივლის მისი მომ-  
ნათლავი და მონათლავს; შემდეგ ის ეტყვის ყველა-  
ფერს, რაც მისთვის საჭირო იქნება. მონადირე შე-  
წუხდა, გაქრაზე უარი სთქვა, მაგრამ ღალი არ მოე-  
შვა, და ძალაუნებურად უნდა დათანახმებულიყო; ხე-  
ლების კანკალით გაუქრა ღალს მუცელი, რომლიდ-  
განაც გამოვარდა მზის მსგავსი ეაჭი. ღალის დაბა-  
რებული ყველა აასრულა, მიიტანა აკენით იამანის  
წყაროზე და იქ დადგა. თვითონ-კი სახლში დაბრუნ-  
და. იამანის წყაროზე გამეღელ-გამომეღელი მოდიო-  
და, ხედავდნენ აკეანს, რომელშიაც ყმაწვილი იწვა,  
და ეკითხებოდნენ: — ეინ არის შენი დედ-მამა, ან შე-  
ნი მომნათლავიო? — დედ-მამა არ ეიცი ეინ არის,  
მომნათლავი-კი ჩემი ბატონი ანგელოზიაო,\*) უპასუ-  
ხებდა ყმაწვილი. ამ დროს ჩამოიარა ანგელოზმა,  
ჰკითხა ყმაწვილს ისავე, რასაცა სხვები ეკითხებოდნენ.  
ყმაწვილმა იგივე პასუხი გასცა ანგელოზსა, რომელ-  
მაც საჩუჯერ მისცა კითხვა. მაშინ ანგელოზმა გააგე-  
ბინა თავისი ეინაობა, მონათლა, სახელად «ამირანი»  
დაარქვა, მისცა ხანგარი, დაუბარა, ის პაიჭში შეენა-  
ხა და სანამ ძლიერ არ გასჭირებოდა, არსად ეხმარა.  
შემდეგ ანგელოზმა დალოცა ამირანი და უთხრა,  
რომ ქვეყანაზე (დედამიწაზე) შენი მომრევი არავინ  
იქნებო, და დასტოვა. წყაროზე იამანის მეწყლეები  
(მულცა) მოვიდნენ, ამირანს აკეანში მწოლარეს და-  
ცინევა დაუწყეს; ამირანს ეს ეწყინა, ადგა აკენიდამ,  
თავები ერთმანერთს მიუჯახუნა, წყლის ჭურჭლები

\*) შუპრისდე მიშვილი, მიშვაი ცუქსნ ქრისდე (სვანურაჲ).

დაუმტერია და ისე გაუშვა დამცინაენი. როდესაც ესენი უწყლოდ და ქურკელ დამტერეულნი სახლში დაბრუნდნენ, იამანს უამბეს, რაც წყაროზე შეემთხვათ. იამანს ამ ამბავზე გული მოუვიდა, ადგა და თვითონ წავიდა წყაროზე. აქ მან ნახა აკვანში მწოლარე ყმაწვილი, გაუხარდა, თქვა—ეს ჩემი შვილების უსიბისა და ბადრის ძმად გამოადგებაო; აიღო აკვანით ყმაწვილი და შინ მიიტანა. იამანის ცოლს გაუხარდა ყმაწვილის მოყვანა, — უსიბისა და ბადრის მომრწველად (მუჭვანე) გამოამადგებაო. ღღეს არათფერი, მეორე დღეს იამანის ცოლი ძროხების მოსაწველად წავიდა; უსიბი და ბადრი აკვნებში ჩააწინა, ამირანი შუაში ჩაუჯდინა; დაუბარა, აკვნები ერწა კარგად, რომ მის შვილებს არ ეტირნათ და თუ, რასაც მე გეუბნები — დაუმატა იამანის ცოლმა, — კარგათ არ აგისრულებია, ვაჟ შენს ყოფასაო. როდესაც დედა შვილებს გასცილდა, გულმოსულმა ამირანმა უსიბის აკვანში სადგისი ნახა, აიღო და ერთი უსიბს სჩხელიტა და მეორე ბადრს, ბავშვებმა ტირილი მორთეს. დედას გული მოუვიდა და დაუყვირა ამირანს: — ყველაფერი გამიწყდეს (მაგუ ამშლახა), კარგათ თუ არ გირწევია ჩემი შვილები, არ მოვიდე და შავი დღე არ დაგაყენო, ამას ჩემს შვილებს შენ-კი არა, ღალის შეილი ამირანიც ვერ გაუბედავსო. ამირანმა დაბალის ხმით წაიდუღუნა: ეჰ! ეხლა არა ვარ, თორემ ისე-კი ღალის შეილი ამირანიც ვარო. იამანის ცოლმა რომ ეს გაიგონა, ძროხების წველას თავი დაანება,





გახარებული მივარდა ამირანს და დაჰკოცნა; მაშინვე რძეში დაბანა და «ქანთხის» \*) ნაქერში გახვია. ამ დღის შემდეგ ისე უვლიდა ამირანსაც, როგორც თავის საკუთარს შეილებს. იამანი და მისი ცოლი სიხარულით აღარ არიან, რომ ღმერთმა ამისთანა (ამირანისთანა) გამოუგზავნა მათს შეილებს. სამნივე ყმაწვილები წამოიზარდნენ; ჭაბუკობის (გმირობის) ჰასაკში მოვიდნენ. შოველ ცისმარე დღეს გაეღენ მინდორად—ვისაც შეხედებიან ზემოთ (აღმოსავლეთით) მიმავალს ან ქვემოთ (დასავლეთით) ~~(ღმერთი ილქეა მგზი)~~, ყველას ლახვენ და ისე უშვებენ. ბალახულები ახლოდამ ვერ უბედავენ და შორიდამ-კი შემოსაძახებენ:—თქვენ თუ კარგი ჭაბუკები (გმირები) ხართ და კარგი ჭაბუკობა იცით, ჩვენ-კი ნუ გელახავთ, მამი თქვენის, იამანის თვალს რა დაემართა, ის გაიგეთ. როდესაც ეს პირველად გაიგონეს, სამნივე იამანის ცოლთან მიიქცნენ და სთხოვეს ეთქვა მათთვის, თუ რა დაემართა იამანის თვალს. დედა პირველად არ უმელაენებდა შეილებს და ამირანს იამანის თვალის ამბავს და პირველს დაკითხვაზე ასე მიუგო: იამანს ყვაილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი; სხვა, თქვენც არ მომიკედეთ, იამანის თვალს არაფერი დამართოდესო. მრჯერ ამ ნაირი პასუხი მისცა დედამ, და მესამედ-კი, რომ გამოეტყნათ იგი, ამირანმა, შსაბმა და ბადრიმ შემდეგი ხერხი იხმარეს:

\*) ქანთხი ზღაღც წმიდა და სათუთო ქსათავლია.



მინდერიდგან გულ-მოსულად დაბრუნებულთა იამანის ცოლს უთხრეს, ცხელ-ცხელი ხაქაპურები გამოეცხრა სამივესათვის. ღედა ყაბულს გახდა. როდესაც ღედამ პურები ნაღვერდალში ჩაყარა, ამირანმა და შსიბმა გამოიღეს ორი ცხელი პური, ერთი ერთს ძუძუზე მიადევს იამანის ცოლს და მეორე-მეორეზე და უთხრეს: ან გვითხარი იამანის თვალის ამბავი ნაქდილად, ანა და ძუძუებს დაგწვაეთო. მეტი ღონე აღარ იყო, იამანის ცოლმა, როგორც იყო საქმე, ისე მოუყვა. იამანს ერთი დევი (დაე) ჩამეტერა, — დაიწყო ქალმა — ბეგარა დაადება. როდესაც შსიბი და ბადრი დაგვებადა, მოვიდა ეს დევი და ერთ-ერთი, ან შსიბი ან ბადრი ითხოვა; თუ ამათ ვერ შევლევითო, მაშინ იამანის მარჯვენა თვალი მინდაო. იამანმა შეილი ველარ გაიმეტა, მის მაგიერ თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა დევსო.

შეილებმა და ამირანმა, რომ ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე შეუდგნენ მომზადებას დევთან საბრძოლველად. იამანს სთხოვეს რკინის შეილდ-ისარი ეშოვნათათვის. იამანმა უპოვნა. ბასინჯეს, მოსწიეს (ანგუზებს), ამირანს ვერ გაუძლო და ვაუტყდა. მაშინ ამირანმა ცხრა ოყა იშოვნა. თავის ხელით წაიღო მკედელთან და გააქედინა. მეორე დღეს სამნივე წავიდნენ დევთან საბრძოლველად. იარეს, იარეს, შორს მინდორში ერთს დევს შეხედენ; მას მშენიერი სავაშლე ადგილი (ლაუსგე) აქეს და ვაშლის ხეების ქვეშ ჯოგი უწევს. ღევმა, რომ ესენი დაინახა, შესძახა: კარ-

გი ქაბუკები მაშინ იქნებით, თუ ჩემს ვაშლის ხეებს ერთს ვაშლს ჩამოაგდებინებთ და მეორეს შეესვრითო. უსიბი და ბაღრი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი ვაშლიც ვერ ჩამოაგდებინეს; ესროლა ამირანმა თავისი შეილდისარი, ერთის მხრით ვაშლი სულ ჩამოყარა (ოხრუხნე), მეორეს მხრით შეაყარა. ღვემა მეორეთ უთხრა:—თქვენ თუ კარგი ქაბუკები ხართ, აბა სცადეთ, თუ ჩემის ჯოგიდგან ერთი ცხვარი ააყენოთ და მეორე დააწვინოთ თქვენს ნებაზე. უსიბმა და ბაღრიმ ვერც ერთი ვერ შეიძლეს; ამირანმა კი ჯერ ააყენა მთელი ცხვრის ჯოგი და მერმე ისე მაგრად დასცა მიწას, რომ კინალამ მთელი ჯოგი ამოწყვიტა. ღვეს ამაზე გული მოუვიდა, მოსდვა ჯოგს ხელი, ამირანიც შიგ მოიტანია და თავის სახლში შეყარა. ძარები შიგნილამ გამოხურა, უსიბი და ბაღრი გარეთ დატოვა. მახშმად ღვემა ოთხი ცხვარი მოიხარშა; ხორცს თითონა სჭამდა; ძელებს კი ზურგს უკან კუთხეში ჰყრიდა, სადაც დაბმული ჰყავდა რკინის ჯაჭვით თავისი და. ღაწოლის დროს ღვემა თქვა, ამაღამის ეახშამი ეს იყოს, ხვალ ჩემი საუზმე ამირანი იქნებაო და კიდევაც დაწვა.

როცა ღვემა დაიძინა, ამირანი ღვეის დაბმულ დასთან მივიდა, სთხოვა რაიმე ხერხი მასწავლო, რომ ღვეი მოკვლიაო. ღვეის დამ უთხრა, ჩემს ძმას სხვა არაფერი მოჰკლავს, თუ არ მისივე ხმალი, რომელიც ზეთში აქვს დაღობილი. ხმალი ისე მაგრად არის ჩადებული ზეთში, რომ მარტო შენ იმისი ამო-



ძრობა არ შეგიძლია, მაგრამ ჩემს ძმას აქვს წემაში-ი\*) 30  
 ჯერ შენ ის წემაში მომიტანე, რთი მისი წვერი  
 ხმაღს მოაბი მაგრაღ, მეორე წვერზე მე მომაკიღინე  
 ხელი, ორივე წამოღესწეეთ და ხმაღსაც ამოღიღებთ.  
 როღესაც ხმაღი ხელში მექმნება, მიღი ჩემს ძმას-  
 თან, მაგრამ არამც და არამც არ დაჰკრა ხმაღი,  
 მხოლოდ დაადღეი კისერზე და თეითონ მოსკრის კი-  
 სერსა. ამასთანაღე დღეის დამ ძრისტე სთხოვა თაღ-  
 ღებათ (ძრისღეე თასღეებ\*\*) ამირანს, რომ როღა  
 ღეეს მოჰკლაღდა, იგი, ე. ი. და აეშეა და არაღერი  
 ეენო. ამირანმა მისღა ძრისტე თაღღებაღ, მონახა წე-  
 მაში, მოაბა ხმაღს, მეორე წვერი ღეეის დას მისღა  
 ხელში; წამოსწიეს ორთაღემ და ღიღის გაჰირებით  
 ამოაძერეს ხმაღი ზეთიღგან. ამოძრობის ღროს ხმაღმა  
 ისეთი ხმა ვამოიღო, რომ ღეეს გამოღღიღა, მაგრამ  
 ისეღე ჩაეძინა. ამირანმა ხმაღი ღეეის კისერთან მიი-  
 ტანა, დაადღა, ხმაღმა უქნეღელად დაუწყო კისერს  
 კრა. შუამღის რომ ჩაღიდა, მარტო მაშინ იგრძნო ღეე-  
 მა, დაიწყო თართხაღი, მაგრამ ეერთერი გააწყო.  
 ამ ნაირად ამირანმა ღეეი მოჰკლა დამ განთაღისუღ-  
 ღება სთხოვა ამირანს. ბანთაღისუღღების მაღიერ  
მან კისერი მოსკრა და ამ ნაირად გასტეხა ძრისტეს  
თაღღებობა.

\*) წემაში—ჯამშაბა, თასმა მსხვილად გაჭიღიღი.

\*\*) ძრისღეე თასღეეშ-ს იგუთიღე მნიშენღულთმა აქღს სჯანღთ-  
 ში, რთღთრღ ჰაღღითსანს სიღეყას აქღს. რთღთრღ ჰაღღითსანი ჰაღე  
 ჰაღღითსანს სიღეყას არ გაღღღღა, ისღ სჯანი „ძრისღეე თასღეეშ-ს“.

ამის შემდეგ დევის ყოფა-მოსახლობა (ლირდე-ლიზგე) ამირანს და მის ამხანაგებს ღარჩათ. რისაც წაღება შეიძლებოდა—წაიღეს, რისაც არა—დასტოვეს და თვითონ გზად გასწიეს. იარეს, იარეს, ერთ ნაძენარში შევიდნენ. აქ ერთი კლდეა, თავში დევი ზის და მატყლს ართავს. ჩერიად (თითისტარად) ნაძვის ხე აქვს, ჯარაიად—დოღებ-შირა (წისქვილის ქვა). ამ დევის წაეღო იამანის თვალი. ღვემა. რომ ამირანი და მისი ამხანაგები დაინახა, დაუძახა: ვილაც აქ სამი ბუზი მოდიხართ, უკან დაბრუნდით, თორემ თქვენს რბილსაც (ხორცს) შეგვკამ და ძვალსაც დაეხრავო. ამირანმა მიუგო—შე ბილწო, ჯერ სცადე ჩვენი შეკმა და შერე დაიქაღნეო. ღვეს გული მოუვიდა, რთვას თავი დაანება და კლდის ძირს ჩამოვიდა ამათთან საბრძოლველად. იბრძოლეს დიდხანს შეილდ-ისრით. ამირანი ერთს ისარს თავის წილად ახვედრებს დევის და ორს უსიბისა და ბადრის მაგიერ. ბოლოს ორივე მხრით დაილაღნენ. ღვეი\*) ამირანს მიუახლოვდა, დაალო პირი და გადაყლაპა. უსიბი და ბადრი აქ მიატოვა; თვითონ თავის სახლში შევიდა. მზოებში შესვლის დროს ბადრი დევის დაეწია და კუდი მოსკრა. ღვეს სახლში შესვლისათანავე მუცელი ეტკინა: ვაჰმე, ღედა, მუცელი მტკივა, ეუბნება დედას, მიეარდება სვეტს, უხახუნებს მუცელს, უნდა ამითი გაიქარვოს მუცლის ტკივილი, მაგრამ სვეტზე ვერ მაგრდება, რადგანაც კული მოკრილი აქვს და ძირს ბრავგანი გააქვს. ღედა რომ შეილის ამ გვარ

\*) ვარაიანცი—გაგლეჯვაში.



წვალებას ხელაფს, ეკითხება, ხომ არაფინ გინახავს  
დღესაო?. ღვემა მიუგო, რომ სამი ბუზი ენახე, ერთი  
კიდევაც ჩაეყლაპეო. — მაჲ შენს დედას, თუ სადმე  
ღალის შეილი, ამირანი ვადაგეყლაპოსო.

ამასობაში ბადრი და უსიბი დევის სახლის სარ-  
კმელს მოსდგომიან და დევის ლაპარაკი ყველაფერი  
ესმისთ. ამათ შემოსძახეს ამირანს:

ამირან ალამ ჩალამსა

მუხლსა ჩეგედვა ხანგარი;

აეს ალავს დასძინებული (ხარ)

ღიდს მუცელს გველიარშაპისა;

შენ რომ პაიჭში ხანგარი გაქვს ჩარკობილი,  
ამოიღე და უცხუნე (ლოხკუხენ) დევის გვერდებში  
აქეთ იქით“. ამირანმა ეს გაიგონა, თქვა თავის გულ-  
ში, მართალი არ არისო, ამაზე უარესი გაჭირება  
როდის მომადგებაო; ამოიძრო ხანგარი და უცხუნა  
ფერდებში დევის. ღვემა ყვირილი მორთო, ოღონდ  
ნუ მომკლავ და გერჩიოს, პირიღამ ამოგიშვებ, გერ-  
ჩიოს უკანიღამაო. ამირანმა გაჯაერებით მიუგო, შე  
ბილწო! ან შენი ამორწყული თავი რად მინდა ან  
და უკნით გასელაო. აბა—უთხრა დემა—გამოიღე  
ორი ძვალი გვერდისა და იქიღამ გამოდიო. ამირანმა  
მთელი გვერდი ამოუღო და გამოვიდა; ერთი თვალი  
აკლდა. მხლავე გამიკეთე თვალი, თორემ ცოცხალს  
არ გაგიშვებო, უთხრა ამირანმა. ღვემა უთხრა, ცო-  
ტა დეიძლს მომკერი, ცოტა ფილტვებს, მოისვი თვა-  
ლის ადგილას და უკეთესიც მოგებმება უწინდელზე.

ამირანმა ბლომად (დიდარდ) ლეიძლს მოსკრა, ბლო-  
მად ფილტვებსა, მოისუა თვალზე და მთელი თვალი  
დაუბრუნდა. შემდეგ ლეემა სთხოვა, გვერდი ისევ გაე-  
კეთებინა. ამირანმა გვერდის მაგიერ ხის ჩელტი (ჰა-  
ბარ) მიუყენა \*). ამას რომ მოჩინენ, ამირანმა ღვეს  
იამანის თვალი მოსთხოვა. ღვეს შეეზარა, მაგრამ უა-  
რი ვერ გაუბედა; უჩვენა სახლის სვეტი (ბოძი) და  
უთხრა, რომ მაგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფ-  
ში—კოლოფი და იმაშია შენახული იამანის თვალიო.  
ამირანმა მონახა თვალი. ღევი აქ მიატოვეს და თეი-  
თონ სახლში დაბრუნდნენ. იამანს თვალი შეუყენეს  
და რამდენიმე ხანი დაისვენეს აქ.

ბაეიდა ხანი. ამირანს ჰაბუკობა (გმირობა) მოუწ-  
და. იამანს სთხოვა თავისი შეილები უსიბი და ბაღ-  
რი სახლში დაეკავა, რადგანაც გაჭირების დროს იგი-  
ნი უფრო ხელს მიშლიან, მინამ მეჭმარებიანო. უსიბ-  
მა და ბაღრიმ რომ ეს გაიგეს, ძლიერ შეწუბდნენ,  
შეეხვეწნენ ამირანს, იგინიც წაეყვანა საჰაბუკოდ;  
უშენოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიანო. ღათანხმ-  
და ამირანი და სამნივე წაეიდნენ საჰაბუკოდ. იარეს  
ბევრი. მრთს მინდორში სამი ღევი შეხედათ. მათ  
მოაძახეს, რა კარგი ჰაბუკები იქმნებით, რომ ერთი  
თქვენთაგანი «კეკლუცა კეისრის ქალიშვილის «მეთუ»  
ნათბიანს იშოენიდესო. იმისი შერთვა ბევრმა ჰაბუკ-

\*) ამირანს რომ ჩუღვი აბ მიუყენა, ძველანა დავიდუბუთიკა:  
რთვა მტე მწულდუმა—ღევი (გვულ-ჟუმაში) მკლავაჟს. მწე ხის გვრდს  
მალე სჭაჟს და ისეჟ გამთიდს ძველანს სანათუშლად. ასე ამბობს  
ხალხი.



მა მოინდომა, მაგრამ ვერაინ შესძლოეო. ამირანმა ჰკითხა, თუ სად არის ეს კეისარი, ან ქალიშვილი მეთუ სადა ჰყავს. ღვეებმა უჩვენეს კეკლუცას საკეისრო და უთხრეს, რომ ქალიშვილი მეთუ ჰყავს კოშკში, რომელიც ცაზეა ჩამოკიდებული ჯაჭვით. მიატოვეს ღვეები და გასწიეს კეკლუცას საკეისროსკენ. შხაზე ზღვას მიაღწინ. მართობ დიდი იყო და გასელა არ შეეძლოთ. აქვე ნახეს ერთი ღვეი—ქალი. ამირანმა ჰკითხა ღვეს, ეგებ სხვა გზა იცოდეთ კეკლუცას საკეისროშიო. მან მიუგო, რომ სხვა გზა არსად არ არის და თუ შემთხვევით, ზღვაზე მე წაგიყვანთო. ამირანმა ძრისტე მისცა თაედებად. ძალიმა მოიკრა ერთი ნაწნაეი და ზღვაზე გაღვა ქოლოკად. ამ ნაწნაეზე გავიდნენ ჯერ უსიბი და ბადრი, შემდეგ ამირანი და ბოლოს ღვეი უნდა გამოსულიყო. შუა ზღვაში რომ მოაღწია, ჰკრა ამირანმა ხანგარი ნაწნაეს და გასწყეიტა; ღვეი ზღვაში ჩაეარდა. აქ ამირანი მეორედ გადუღვა ძრისტეს თაედებიბას. ხმელეთზე ბევრი იარეს. *მ. ი. ი.*

მართს მინდორში ამირანი და მისი ამხანაგები შეხედნენ კაცს, რომელსაც «ანდრეოზი»-ი ერქვა სახელად. ანდრეოზი ისეთი დიდი რამ იყო, რომ ცხრა უღელი ხარკამეჩი ება ურემს, რომელშიაც იწვა, აუარებელი ხალხი ეხმარებოდა, მაინც ძლიეს მიჰქონდათ. ანდრეოზი მიჰყავდათ დასამარხაეად, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სიმძიმის გამო საფლავამდე ვერაინ მიიტანდა და დაუმარხაეი დარჩებოდა. ურმიდამ



პნდრერობს ერთი ფეხი გადმოვარდნოდა და მიწაზე შიათრევედა. მისი სიმძიმე გუთანსავეით თხრილს სტოვებდა მიწაზე. ამდენს ხალხს ვერ შეეძლო ფეხი ურემშივე შეეღწა. ამირანმა რომ ყველა ეს ამბავი გაიგო, მოსდვა პნდრერობის ფეხს შეიღლის «გოზა» (კემლი გოზა) და ფეხი ურემში შეაგდო. პნდრერობს გაუკვირდა, ვინ გამოჩნდა ასეთი ღონიერი, რომ ჩემი ფეხი ასე ადვილად შემოაგდო ურემშიო. ხალხმა ამირანზე მიუშვირა ხელი. პნდრერობმა ამირანს ხელი სთხოვა, უკანასკნელს შეეშინდა, ვაჟ თუ ამისთანა ღონიერმა კაცმა მაგრა მომიპიროს და ხელი დამამტერიოსო; აილო და ხელის მაგიერ ფიქალი ქვა (ჩერხა) მისცა. პნდრერობმა მოუჭირა ფიქალს და წვენი გააშეგბინა. პნდრერობმა კიდევ სთხოვა ამირანს ხელი მიეცა. მისცა ამირანმა. პნდრერობმა ძრისტე დააფიცა ამირანს, რომ მისი შეილი ეძმო და არაოდეს ელალატნა. ამირანმა ძრისტე დაუყენა თავედებად. პნდრერობი თავის გზაზე წაიღეს, მისი შეილი ამირანმა თან წაიყვანა, სადაც მიდიოდა.

იარეს ბერი. ამირანს ძილი მოეკიდა და დაიძინა. იმის ძილში პნდრერობის შეილმა ორი ირემი\*) დაიჭირა ხელით და იქვე ჩამოჰკიდა ხის შტოზე. ამირანმა რომ გაიღვიძა, შეჩება ირემებს და იკითხა ამბავი. როცა გაიგო, რომ პნდრერობის შეილს დაუჭერია, ეწყინა. ჰერ ყმაწვილია, ამას სხადის, რომ დაეაქვაცდება, მე მაჯობებსო, სთქვა და განიზრახა მოკვლა და კიდევაც აასრულა. ამნაირად ამირანმა

\*) ვარაზფცი: ორი მწკარი მალაღის ღმერთისა.

გატეხა ქრისტეს თაედებობა. მოკლული ანდრეოზობის  
შეილი აქ დასტოვეს და თვითონ გასწიეს ძეკლუცა  
კვისართან. იარეს ბევრი და ბოლოს მივიდნენ იმ  
კოშკთან, რომელშიაც ძეკლუცას ქალიშვილი მეთუ  
იყო ცაზე ჯაქვით ჩამოკიდებული. ამირანმა უთხრა  
უსიბს, შეხტი ეგებ, ჯაქვს მისწედე და ხმლით ჩა-  
მოსწყვიტოვო. უსიბმა სინჯა, მაგრამ ახლოს ვერ მიე-  
კარა. მსევე სინჯა ბადრიმაც, მაგრამ ამაოდ. ბო-  
ლოს თვითონ ახტა, მისწედა ჯაქვს, ჰკრა თავისი  
ხანგარი, გასწყვიტა და ცაზე ჩამოკიდებული კოშკი  
მიწაზე ჩამოვარდა. სამნივე კოშკში შევიდნენ.

ამირანმა და მეთუმ დანახვისათანავე გაგიჟებით  
შეიყვარეს ერთი ერთმანერთი. შეიტყო მეთუს მამამ  
ძეკლუცამ ეს ამბავი, შეჰყარა თავისი საკვისრო და  
სამ კეცად შემოარტყა კოშკს. ამირანმა, რომ შე-  
მორტყმულს ჯარს შეხედა, ცუდ გუნებაზედ დადგა;  
უთხრა უსიბს გასულიყო და ეომნა ჯართან. ბავიდა  
უსიბი, ერთი კეცი ჯარი მოსწყვიტა, ბოლოს კეკლუ-  
ცასთან მიაღწია; ამან სული შეუბერა უსიბს და მა-  
შინვე დაახჩო. მეორედ გაგზავნა ბადრი; ამანაც ერ-  
თი წყობა ჯარი დახოცა, ბოლოს ძეკლუცასთან მი-  
ვიდა, ძეკლუცამ შეუბერა სული და ეგეც დაახჩო.  
შეწუხდა ამირანი. თვითონ უნდა წასულიყო საომ-  
რად. მაშინ მეთუმ შემდეგი დარიგება მისცა ამირანს:  
მამა ჩემს თავზე დოღებ-შირა ახურავს, რომელიც  
უკანიდამ ზედ კისერთან მობმულია ოქროს, «განთ-  
ხით» (ძარღვი); როდესაც მამა ჩემთან მიხვიდე საბრ-



ძოლეველად, ეცადე ეს განთხი როგორმე შეაქრა, მაშინ დოლებ-შირას საქმივე წინ წასძლევს, თავს დააღუნებინებს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი ხანგარი და მაშინვე თავს მოსჭრიო. თუ არ ასე, სხვებზე მაშა ჩემს შენ ვერაფრით ვერ მოჰკლაო.

ამირანმა ძეთუს დარიგება დაიმახსოვნა. ბაეიდა ჯარში, ერთი კეცი ჯარი, რომელიც უსიბსა და ბადრის გადურჩა, დახოცა, ბოლოს ძეკლუცასთან მივიდა. ძეკლუცამ ჩვეულებრივ შეუბერა, ამირანი ჩოქებზე დაეცა. მარდათ მოიმართა ამირანმა, მოიქნია ხანგარი და ძეკლუცას ოქროს განთხი მიაჭრა. დოლებ-შირამ წინ წასძლია, კისერი გამოუჩნდა, შეუბრუნა ამირანმა მეორედ ხანგარი, ჰკრა კისერზე და თავი წააგდებინა. შემდეგ შევიდა კოშკში ძეთუსთან და მწუხარება დაიწყო, რომ უსიბი და ბადრი ორივე დახოცილები არიან, უიმათოდ ჩემი შინ წასვლა შეუძლებელია, რა უნდა ვუთხრა იმათ მოხუც დედამას, რომ არც ერთს შეილს შინ არ მიეუყვანო. ძეთუმ ჰკითხა, გამოიძნობ თუ ვერა იმათ დახოცილკაცებშიო. ამირანმა—კიო, რადგანაც უსიბს ბეჭებშუა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრის—მთვარის მსგავსიო. ჩაერთენ ამირანი და ძეთუ მკედრებს, დაუწყეს ძებნა უსიბსა და ბადრის; როგორც იყო, ნახეს ძეთუმ თავისი ჰირსახოცი გამონახა, წაუსვა ჯერ უსიბს, მერე ბადრის და ორივენი გაცოცხლდნენ. ბაუხარდა ამირანს, რომ ძეთუ ცოლად იშოვნა და უსიბი და ბადრი ცოცხალი მიჰყავს სახლში. მოსდევს



ხელი აკლუტავს ქონებას, თან წამოიღეს და განა-  
რებულნი წამოვიდნენ იამანთან. იამანსაც ძლიერ  
გაუხარდა, რომ ამირანი და მისი შვილები მშვიდო-  
ბით და გამარჯვებულნი მოუვიდნენ სახლში. ამირან-  
მა გადაჭრით უთხრა იამანს, რომ ამიერიდგან მის  
შვილებს არსად წაიყვანს, რადგანაც იგინი ვერ უწე-  
ვენ ჰაბუკობას. ამირანი ამას შემდეგ ცალკე ჰაბუ-  
კობდა. მისი შემბმე და გამძლე არაიენ ვაჩნდა ქვე-  
ყანაზე. მრთს დროს იქამდის მიიყვანა საქმე, რომ  
დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ღორი  
(კალენქარ) გაუშვა და სამი მუხა (ჯიპრა) დატოვა. თა-  
ვის სიციცხლეში ამირანმა ღმერთსაც ბევრი აწყენინა,  
მაგალითად, სამჯერ უარპყო შრისტეს თაყვანობა და  
სხვა. ამ გვარის ქცევისათვის ღმერთმა დასაჯა იგი:  
შეაბა რკინის დიდი ჯაჭვი და რკინისავე პალოს  
(წაბ) მიაბა. ამირანთან დააბა ღმერთმა აგრეთვე  
«ჟურშაც» (ძალლის სახელია), რომელსაც ბევრი  
ღეთის საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. წლის განმავა-  
ლობაში ამირანი და ჟურშა ყოველ დღე სჭიმავენ  
რკინის ჯაჭვს და პალოს ზევით და ზევით სწევენ  
იქამდის მიიყვანებენ პალოს, რომ ესეც არის ამოძვრე-  
ბა მიწიდან, მაგრამ ამ დროს ღეთის განგებით ჩი-  
ტი მოფრინდება და პალოზე დაჯდება. ბულ-მოსუ-  
ლი ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის კვეყოს, ჩიტი  
აფრენას მოასწრობს, კვეყო პალოს მოხედება და  
ისევე ძირამდის ჩაარკობს. ასე იმეორება ყოველს წელს.

\* ) ლეონდა აბ უჩუნიძეს ადგილს, სადაც ამირანი დაშორდა.



ჭურჭა ორბის ლეკვია. ორბს სევანების სიტყვით  
სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე.  
ღედა ორბი ამ ლეკვს გამოჩეკისათანავე აიყვანს  
ძლიერ მალლა, მალლიდგან ჩამოუშვებს და მიწაზე  
დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ  
გაზარდოს. ხსენებული ჭურჭა ჩამოგდების დროს  
უშოენია ერთს მონადირეს და კიდევაც გაუზრდია.  
მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისეთი გამოდგა  
თურმე, რომ ორს ნახტომზე ჯიხვს დაეწეოდა, მესა-  
მე ხტომას სათაკილოდ სთვლიდა. რაკი ბევრი ჯიხ-  
ვი გააწყალა, ამისათვის, როგორც ნათქვამია, ღმერთ-  
მა დააბა იგი ამირანთან. ამ ჭურჭაზე შემდეგი ლექ-  
სია დარჩენილი ხალხში, რომელშიაც სხვათა შორის  
გამოხატულია მისის პატრონის, მონადირის გლოვა,  
როდესაც ჭურჭა დაჰკარგვია.

ჭურჭაო, ჩემო ჩურჭაო!

ჭურჭა გამქარვა (გამიქრა) გამქარვა,

შუა-ლამითა, ლამითა

ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს,

ღეპარს (ვაქარს) მიჰყავდე, მიჰყავდე!

ვაჲ თუ გეკადროს, გეკადროს,

მაჯმა მომპარა, მომპარა! (მოგიპარა)

ჭურჭას ყურ-ტუჩი, ყურ-ტუჩი

ოქროს გასხია, გასხია,

ჭურჭას თვალეზი, თვალეზი

თვარესა ჰგაედი, თვარესა,

ჭურჭას ყიფილი, ყიფილი (ყეფა)

რუხუნსა ჰგავდი ცისასა.

შურშას ტოტები, ტოტები

ძალოს ვედენი, ვედენი (ოდენა)

შურშას ნახტომი, ნახტომი

ღიღი მინდორი, მინდორი.

შურშას საკმელი—საკმელი,

პურის ქაბაბი—ქაბაბი.

მაჟ თუ გეკადროს, გეკადროს

ძერის ნაბურჯი (?) ნაბურჯი!

შურშას სასმელი—სასმელი

ღვინო ბადაგი—ბადაგი.

მაჟ თუ გეკადროს, გეკადროს

ღვიარი წყალი—ღვიარი (მღვრია)

შურშას ლოგინი—ლოგინი

საბან ბუმბული—ბუმბული.

მაჟ თუ გეკადროს, გეკადროს

ბურდის ნაძომი—ნაძომი!

შურშაო, ჩემო ყურშაო!

აღმა ლომი ხარ, ლომი ხარ,

ჩაღმა კაკაფი—კაკაფი (კაკაბი).

ხმელეთს ფალვანდი—ფალვანდი.

ძულვას (ზეაში) კვალმანდი—კვალმანდი (ხომალდი).

ჩემო ყურშაო, ყურშაო!

შურშა ვიტირე—ვიტირე,

შურშა ვიგლოვე—ვიგლოვე,

ერთს წელიწადს—ერთს წელიწადს.

ნ 5.

გვ. 2-ში

როსტომი პაპუში (გმირი).

(სკანდინავიური  
 სტილი)

როსტომი იყო თურანელი; სცხოვრობდა მექე-  
 ვაზ კეისრის საბრძანებელში—ადგილსა «ქარაიას». თაეისი სიციცხლე როსტომმა დევ-მხეცების და ვე-  
 ლურის ღორების ბრძოლაში გაატარა. როსტომს ორი  
 ძმა ჰყავდა—ზივი და ბურგენი—და ერთიც ძმისწული  
 ბეჟანი\*), ზივის შვილი. მექევაზ კეისარი დიდს პა-  
 ტიესა სცემდა როსტომს, რადგანაც ის რომ არა,  
 მექევაზის საკეისროს დევ-მხეცები აიკლებდნენ. ბაჩნ-  
 დებოდნენ ღრო-გამოშვებით დევები, მოედებოდნენ  
 საკეისროს და აკვანში მწოლარე შვილებს ართ-  
 მედნენ მცხოვრებლებს. ამ ღროს მექევაზი შეეხე-  
 წებოდა როსტომს; ეს უკანასკნელი მოჰყვებოდა ერ-  
 თი კიდიდგან და მეორე კიდემდე სულ გააწყალებდა  
 მხეცებს, და ამ ნაირად გასწმენდა სამეფოს. როდე-  
 საც როსტომი მოხუცებაში იყვოდა, მექევაზ კეისარმა  
 თაეისი ქვეშევრდომნი შეჰყარა და გამოუტბადა: ხომ  
 ჰხედავთ, როსტომი მოვეინუცდა, ის რომ მოკვდება,  
 ჩვენ დევ-მხეცები დაგვეპატრონებიან, ვეცადოთ და  
 მოვახერხოთ, რომ როსტომი უშვილოთ არ გადაგვი-  
 შენდეს. თუ მას შვილი დარჩა, მამას ემსგავსება და

\*) ზოგან შეჰქანსაც როსტომის ძმაც სთავაზან.

მამის საქმეს განაგრძობსო. საქმე იმაში იყო, რომ როსტომი, როგორც ქაბუკი (გმირი), ქალს არ ეკარებოდა. შრილობაში ერთი ქალი ერია. მან დაიჩემა, რომ როსტომს მე შეუჩნდები და ჩემთან დავაწვენო. ძექვევან კეისარი დიდ ჯილდოს დაჰპირდა ამ ქალს, თუ იგი დაპირებას აასრულებდა. ხალხი დაიშალა. ამ ქალმა როსტომი დაჰპატიჟა ეხშმად. ძარგი ეახშიამი აქამა და წაეხშმეწეს სთხოვა, ამაღამ მისას მოესვენა. როსტომი პირველად უარზე დადგა, მაგრამ, როცა ქალმა ბერი სთხოვა, ყაბულს გახდა. ქალმა სამს ადგილას დააგო ლოგინი. შეჩვენა ერთი ლოგინი როსტომს და მოასვენა. უცადა და როცა შეატყო, რომ როსტომს დაეძინაო, ადგა ეს ქალი და მიუწეა. როსტომმა ეს იწყინა და უთხრა: შე ბორბოტო (გვეფ) დედა-კაცო, როგორ გაბედე ჩემთან მოსეღლა და დაწოლა, ხომ იცი, რომ ჩემის გვარის კაცი ქალთან არა წეება, რადგანაც ლეთისაგან მოცემული გვაქვს ქაბუკობა (გმირობა) და არა ქალების არშიყობა. ადგა როსტომი, ეს ლოგინი მიატოვა, მეორეში ჩაწეა. როდესაც აქაც დაეძინა, ქალი კიდევ მივიღა და მიუწეა. შარესად გაჯაგრებული როსტომი აქაც ადგა და მესამე ლოგინში ჩაწეა. აქაც მივიღა ქალი. როსტომი ადგომას და სახლადგან წასვლას აპირობდა, მაგრამ ქალმა ხელი სტაცა და უთხრა: მე არ ვიციოდი; თუ შენ, ამისთანა ქაბუკს, მამა-კაცობა არა გქონდა, თორემ არ მოგიწეებოდიო. «ჟუ! დაგწყეღლა ლმერთმა, ქალი ყოველთვის ეშმაკია».



~~ქუთაისი~~

ქუთაისი  
1917

~~შერცხვა ქალის სიტყვებზე და დაწვა მასთან, მეორე~~  
 დღეს აღრე ადგა. მალს დააბარა, ~~შენ~~ ~~ორსული~~ ~~გა-~~  
~~მოდგები;~~ ვაჟი თუ გეყოლოს, ზურაბი დაარქვი.  
 როდესაც წამოიზარდოს და ქაბუკობა მოინდომოს,  
 ერთი «შარნი» ~~ქველზე~~ ~~მოაბი.~~ ~~ჭეშმა~~ ~~ქაბის~~ ~~(ახალუ-~~  
~~ხის)~~ ჯიბეში ჩაუდევდი და მუზარადი უნაგრის ტახტა-  
~~ზე~~ ~~დააკრე.~~ მინიკობაა ერთმანერთს სადმე შეეხედით,  
 ამითი ვიცნობ ჩემს შვილს. შენ კი სანამ ძლიერ  
 არ გაგვიპირდეს, ნუ გაუშვლანებ, რომ იგი ჩემი შვი-  
 ლია. ქალი თუ გეყოლოს, შენია და რაც გინდა, ის  
 დაარქვი და როგორც გინდა, ისე გამოზარდე. შთხ-  
 რა ეს როსტომმა და გასწია თავის გზაზე. მა-  
 ლი მართლა ორსული გამოდგა; როდესაც ვადა  
 გაუფიდა, ეყოლა ვაჟი და დაარქვა ზურაბი. ზუ-  
 რაბი ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ვარ-  
 სკელავს ჰგავდა. მალე წამოიზარდა, დღე ტკაველს  
 იმატებდა, ღამე—ოთხ თითს. სოტა ხანში ვაჟ-კაცი  
 შეიქმნა; დაიწყო მინდვრად სიარული. მისაც შეხედე-  
 ბა გამელელ-გამომელელს, ყველასა ლახავს; არ ზო-  
 გავს არც ძექვეაზ კვისრის შვილებს. ერთ დღეს ძე-  
 ქვეაზის შვილებმა წამოსძახეს ზურაბს: შენ თუ კარ-  
 გი ქაბუკი ხარ, მამაშენი მოძიე, კაცმა არ იცის, დევ-  
 მხეცებმა შეგიქამეს, თუ ველურ ღორებმაო. ზურაბ-  
 მა რომ ეს გაიგონა, მაშინვე შინ დაბრუნდა. დედას  
 ჰკითხა—მითხარი, ვინ იყო მამა ჩემიო და რა იქმ-

ქუთაისი  
ქართლში მამის უახლოესი  
ქუთაისი

1) 21371

ნაო. დედა ჯერ-ჯერობით არ უმკლავებდა მამის ეი-  
ნაობას, მაგრამ ზურაბმა ძალა დააძინა და დედაც  
გაუტყდა. დედამ აუწერა როსტომი და მისი განთქ-  
მული ქაბუკობა. ზურაბმა მაშინვე გაიქედა რკინის  
შეილდ-ისარი. შეიკმაზა ცხენი და გზას გაუდგა. ამ  
დროს დედამ, როგორც დაბარებული ჰქონდა როს-  
ტომისაგან, ყელს შარნი შეება ჯიბეს ჰეშმა ჩაუდგა  
და მუზარადი უნაგირის ტახტაზე დაუკრა. ზურაბი შე-  
მოაჯდა ცხენს და გასწია შარაიასაკენ. გზაზე ზუ-  
რაბს ქაჯი შეხვდა ქალის სახით და დაუძახა: „ოჰ! რა  
კარგი ქაბუკი (გმირი) ხარ, რომ ყელს ქალის საბ-  
მელი (ლევბ) არ გეხას, ჯიბას ქალის სამკაული არ  
გედევს და უნაგირის ტახტაზე მუზარადი არ გეკრას“. ზურაბმა  
ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო გზა. მს ქაჯი სხვა ნაირად ჩაცმული ისევ წინ დაუხვდა და  
იგივე გაუმეორა, რაც პირველ შეხვედრაზე. ზურაბ-  
მა მიაფურთხა და უთხრა: ფუ! ქალი ქაჯისა ხარ,  
დაგლახერა ლმერთმა, გამშორდი იქითო, და ისევ  
გასწია. ქაჯი მესამედ შეხვდა კიდევ სხვა გვარად ჩაც-  
მული და ისევ ის სიტყვები გაიმეორა. ზურაბს გუ-  
ლი მოუფიდა, შარნი ყელზე შემოიწყვიტა, ჯიბეში  
ჩაიდვა, მუზარადი შემოიხსნა და უნაგირ ქვეშ დამა-  
ლა. მარა ზურაბმა და შარაიას მიაწია. შარაია როს-  
ტომის სანადიროა და მუდამ ბევრი ნადირია.

ზურაბმა დილით მოაღწია აქ; მოჰყვა ერთის ნა-  
პირიდამ ამ ვრცელს მიწოდორს და მეორე ნაპირს მისე-  
ლამდე იმღენი ნადირი დახოცა, რომ სალამოს ძელე-

ბისაგან კარავი გააკეთა, ყაერით გადახურა და ლამის სათევად შიგ შევიდა. როსტომმა რომ ეს ამბავი გაიგო, შეკრთა, თავის გულში თქვა — ამაზე უკეთესი ნადირობა არც მე მიქნია როდისმეო. ამ ლამეს არაფერი. მეორე დილას აღრე მივიდა ზურაბის კარავში. ახედა-დახედა ზურაბს, მაგრამ ვერც შარნი უნახა ყელზე მობმული და ვერც მუზარადი უნაგირის ტახტაზე დაკრული. როსტომმა ზურაბი საჭიდაოთ გამოიიხთხოვა. ზურაბმა უარი არ უთხრა; ეცნენ ერთმანერთს და ისე კიდაობდნენ, რომ იქაურობას სულ მტვერი აადინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლამდის მიწაში ჩაფლა; მოიქნია ზურაბმა — წელამდის ჩაფლა როსტომი. როსტომმა უთხრა ზურაბს — ჭაბუკებს ჩვეულება აქვთ, რომ ს:მჯერ იქიდავებენ ხოლმე; დღეს ამიშივი, ხეალ და ზეგ კიდევ ვიქიდაოთ და, თუ მესამედაც დამცემ, მაშინ რაც გინდოდეს, ის მიქენიო. ზურაბმა აუშვა როსტომი. მეორე დღეს იქიდავეს, ისევე ზურაბმა დასცა როსტომი. ძლიერ შეწუხდა როსტომი. ამდენ დევებთან უჭიდაენია, ვერავის წაუქცევია და ეს ზურაბი ვინლა გამოჩნდა ამისთანა, რომ მოერია. ბადასწყვიტა თავის გულში ზურაბი მოეკლა. მივიდა მკვდელთან და ორი შუბი შეუკვეთა. მესამე დღეს როსტომმა ეს შუბები პაიჭებში ჩაიტანა, წვერები ზვით უქნა და ზურაბთან საჭიდაოდ გამოვიდა. შეიქიდნენ, — ზურაბმა დასცა; ამდროს როსტომმა ქვედაპ ამოჰკრა შუბები და მუცელში შესცა ზურაბს. ზურაბმა დაიკიელა: „,ოხ! შე ბორო-



ტო, ჩემი მოკვლა შენ არ შეგრჩება, მამაჩემი როსტომი ყველგან მოგძებნის, — კლდეში შეხვალ, ჯიხვად გადიქცევა, ზღვაში — კალმახად და მიწაში — თავვად.»

როსტომს თავს ზარი დაეცა, სწორედ ჩემი შეილი მოგვალიო, და შესძახა ზურაბს:

— შენ ბიჭო (ბუშო), ბოზის ნაგდებო, ვინ არის მამა შენი?

— როსტომს აქებენ კაბუკსა, ის არის მამაჩემი.

— შენ თუ როსტომის შეილი ხარ, მაშ სადა ვაქვს შარნი და მუზარადი? *9. 0. 11*

ზურაბმა ყველა ესენი აჩენა და მათი დამაღვის ამბავი უამბო. ახლა დარწმუნდა როსტომი, რომ თავისი შეილი ზურაბი მოჰკლა. მწუხარებისაგან კინალამ მოკვდა. ზურაბს მოვლა დაუწყო, მაგრამ მას ბევრ ხანს არ უცოცხლია და როსტომს ხელში შემოაკვდა. შეწუხებულმა როსტომმა ზურაბი ხელებზე დაიდვა, დაიხოქა და ქვეყნის პატრონს (ლმერთს) შეეხვეწა: შეილი შემომაკვდა, ახლა ამასა გთხოვ, თორმეტი წელიწადი ორმოში ჩავალ, მზეს არ დავნახებები და ჩემი ზურაბი გამიცოცხლე. როსტომმა ასე ქმნა, გაითხარა 12 მხარის სიღრმე ორმო, ჩაიღდა შიგ და ჩაიტანა ზურაბიც და იყო შიგ უსმელ-უქმელი ლეთის ხეწნაში. ამავე დროს როსტომმა დაიბარა ძეკვეაზ კეისრის დიაკონი, სთხოვა წასულიყო ძეკვეაზთან და ზურაბისათვის უკვდავებს წამალი (ანუ წყალი) მოეტანა. დიაკონი მიეგზავნა ძეკე-

ვაზთან და გარდასცა როსტომის დანაბარები. ძეკე-  
ვაზმა უარი ვერ გაბედა, ჩაასხა უკედაეების წამალი  
თასში და მისცა დიაკონს; ამასთანავე დააბარა, რომ  
როდესაც როსტომთან მიახლოებულ იყო, ფეხი-ფეხ-  
ზე დაედგა, დაცემულიყო და წამალი წაექცია, თო-  
რემო, სთქვა ძეკევაზმა, როსტომს თუ თავის შვი-  
ლიც თან ეყოლა ცოცხალი, ჩვენ კეისრობას წაგვარ-  
თმევსო. მშმაკმა დიაკონმა აასრულა, რაც ძეკევაზ-  
მა დააბარა: როცა მიუახლოედა როსტომს, ფეხი-ფეხ-  
ზე დააბიჯა, თასი ხელიდამ გაუშვა და წამალი წააქ-  
ცია. როსტომი მიხედა დიაკონის ეშმაკობას და ამოა-  
ძახა: თუ ამ ორმოდამ ამოსელა მეღირსა, მაგიერს  
გადაგიხდი შენც და შენს კეისარსაც, რომელსაც, მე  
რომ არა, ასჯერ შესჯამდენ აქამდის დევ-მხეცებიო.

როსტომი ორმოში დარჩნ ათი წელიწადი. ზუ-  
რაბი მუხლებზე უწევს და მოელის ლეთისაგან მისს  
გაცოცხლებას ამ დროს განმავლობაში წვერი ისე  
გაეზარდა, რომ ფეხებამდი სწედებოდა. წვერის თმი-  
დამ სიმები დასკენა, ზურაბს მკლავებზე მოაბა და  
ქიანური გაიკეთა. ამ ქიანურზე დასტირის ყოველ  
დღე თავის თავგადასაყალს და უკანასკნელს უბედუ-  
რებას — შეილის მოკვლას.

ათის წლის განმავლობაში ძეკევაზის სამეფოს  
ისე მოედდა დევ-მხეცი და ეფლური ღორი, რომ  
მცხოვრებლებს სახლში უფარდებიან და აკენებიდამ  
სტაკებენ ბავშვებს. შეწუხდა ძეკევაზი, არ იცის, რი-  
ით უშველოს თავს. მართალია, როსტომის ორი

ძმა—ზივი და ბურგენი მასთან არიან, მარა რა! ბურგენი გლახაკია, რაღაც ჩანსურაა; ზივი სხვებზე კარგი და ჰკვიანია, მაგრამ ჰაბუკობა არ შეუძლია, ის ევზირადა ჰყავს ძეძვევას კვისარს. ზივის შეილი ჰყავს—ბეჯანი; ბეჯანი ყმაწვილია და ჯერ-ჯერობით იმედი არა აქვთ, რომ ჰაბუკობა შეიძლოს. მეტი ღონე არ იყო; ძეძვევასმა ზივის სთხოვა, თავისი შეილი გაეგზავნა დევმხეცების დასახოცად. ზივმა დაუჯერა ძეძვევას. ზივმა თავის ძმა-გურგენს დაუძახა და სთხოვა, ბეჯანს გაჰყოლოდა საჰაბუკოდ; ბეჯანი,—სთქვა ზივმა—პირველად მიდის საჰაბუკოდ, გამოუტყდელია, გზა და კვალი არ იცის, შენ სხვებზე არაფრად გამოადგები ბეჯანს, მაგრამ გზას მაინც აჩვენებო. ბურგენს შეეზარა წასელა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა ზივის. ბეჯანმა შეილდ-ისარი მოიმირაგა, ბურგენს საგზალი დააკავებინა და გასწია მინდვრად. ზაიხედა ბეჯანმა, შეხედა, რომ მინდორი ველურის ღორით არის საესე მიჰყვა ერთი კიდიდამ მეორე კიდემდის, სულ ამოსწყვიტა ველური ღორის ჯოგი. დახოცილი ღორები იმდენი გამოდგნენ, რომ ეშვები რომ აბცალეს, ასი ურემი დატვირთა. ბურგენი ამ დროს შიშით ხეზე იყო და სვირს უყურებდა. ღორების დახოცვის შემდეგ-კი ხილამ ჩამოვიდა და ეშვების ამოღებას ეხმარებოდა ბეჯანს. როდესაც სახლში წამოსელა დააპირეს, ბურგენმა უთხრა ბეჯანს—გეტყობა ჰაბუკობაში ბიძაშენს—როსტომს არ ჩამოეუარდები, დიდი ჰაბუკი (გმირი) იქმნები. რომ შენისთანა არაიქნ იყოს,

სულ ერთს რამეს გირჩევ: **ერანელთ** კეისარს — **აფროსუანს** — **მზეთ-უნახავი** ჰყავს, წადი და ის როგორმე იშოვნე; სახელად მზეთ უნახავს «**მარუჯანი**» ჰქვია.

ბურგენმა კარგათ იცის, რომ თურანელები და **ერანელები** მოსისხლე მტრები არიან ერთმანერთისა და უნდა ბეჯანი გაგზავნოს აქ; ბეჯანს მოჰკლავენ და დღევანდელს ველურს ღორებს მე დაეიჭმებო.

ბეჯანმა რა იცოდა ბურგენის ამ ნაირი ეშმაკობა, უთხრა ღორების ეშვები შექვეაზისათვის მიეტანა და ეამბნა, თუ როგორ დახოცა მან, ბეჯანმა, ღორები. ბურგენს ეს გაუხარდა. ასი ურემი ღორების ეშვები შექვეაზს მიაართვა და უთხრა, რომ ყველა მე დაეხოცეო. როდესაც ჰკითხეს — ბეჯანი რა იქნაო, ბურგენმა დაცინვით მიუგო: ბეჯანი რას იზამდა, როგორც კი დაინახა ველური ღორების ჯოგი, შეეშინდა, უკან გამოიქცა, დაეწია ერთი ღორი, ამოჰკრა ეშვი და გამოთატრაო. შექვეაზს ძლიერ ეწყინა ბეჯანის ასე უდროოთ დაღუპვა; ბურგენის ასეთი ყოჩაღობა კი ძლიერ გაუკვირდა და ამის შემდეგ დიდის პატივისცემით აცხორა. ბეჯანმა იარა, იარა და, როცა იყო, მივიდა აფროსუან კეისრის სამეფოში. აფროსუანს თავისი ქალიშვილი, მარუჯანი, კოშკში ჰყავს. ბეჯანი კოშკის ძირში მივიდა, გამოიხედა მარუჯანმა, შეხედა ბეჯანს, ბეჯანმაც შეხედა, ძლიერ შეუყვარდათ ერთმანეთი. მარუჯანმა უთხრა თავის მოახლეს, რომ როგორმე ის კაცი (ბეჯანი) სალამოს შემოეყვანა კოშკში. ბეჯანმა მთელიდღე სალამომდის კოშკს უბ-



რა ირველივ. საღამოს მარუჯანის მოახლემ ნახა და შეიყვანა კოშკში. შეხედვისათანავე ბეჯანი და მარუჯანა ერთმანერთს გადაეხვიენენ და რამოდენიმე ხანი უგონოთ (ბაჟურ) იყენენ სიყვარულისაგან. მეორე დღეს აფროსუანი გაიგებს, რომ მის ქალიშვილთან ვილაც შესულა. შეჰკრებს თავის ჯარს და გარსახვევს კოშკს. ბაძოდის ბეჯანი კოშკიდგან, შეებრძოლება აფროსუანის ჯარს და ანახვევრებს, იმოდენს ჰბოცს. მეზირნი ურჩევენ აფროსუანს თავი დაანებოს ბეჯანთან ბრძოლას, ნება მისცეს ქალიშვილის შერთვისა და შემდეგ რაიმე ხერხით, მოტყუებით, მოჰკლას ბეჯანი. აფროსუანი უგონებს ვეზირებს. მუბნება ბეჯანს, რომ შეირთოს მარუჯანი. ბეჯანს და მარუჯანს უხარიათ. მორწილს იხდიან. ღამე, როცა ბეჯანსა და მარუჯანს ერთად სძინავთ, ბეჯანს რკინის ბორკილებს უყრიათ. ღილას ბეჯანი იღვიძებს, ამჩნევს, რომ ბორკილები უყრია ფეხებში, მისწევ-მოსწევს ფეხებს და ბორკილებს ისე სწყვეტს, როგორც წერილს ბაწარს. ძეისარი და მისი მხლებლები გაკვირდნენ ბეჯანის ღონეზე. იფიქრეს და ამას დაადგნენ:— ბეჯანიდაჟეე უნდა შეეტყოთ, თუ რითი შეიძლებოდა მისი დაბორკვა. შეაჯდინეს ერთი მოახლე, რომელმაც გაიგო ბეჯანისაგან, რომ ბორკილად მას გაუძლებს მხოლოდ მისი შვილდის ძუის ბაწარი. მოახლემ ეს აფროსუანს გარდასცა. ძილში ბეჯანს ხელებს თეძოებზე უკრავენ. ღილას იღვიძებს და ჰხედავს, რომ თავის შვილდის ბაწრით არის შეკრული



და ვერაფერს ჰშეველის თავს. აფროსუანი და მისი მზღებელნი თავზე ადგიან ბეჯანს და უხარიანთ, რომ დაიმორჩილეს. ამ დროს ბეჯანი ეუბნება აფროსუანს:

— ნეტავი ხელო ხელთა მქონდეს,

მძიმე ლახტი ხელში მქონდეს,

მრანელთან ჩამარია;

მით კაკალი გაგარჩინო,

თურანელში შერცხვენილ ვარ.

აფროსუანი მიუგებს:

— შეხედეთ ბრიყვსა, რეგვენსა,

ხელთა მყავს, გულთა ქადულობს.

აფროსუანს ბეჯანის მოკვლა უნდა; მას ჰყავს ერთი ვეზირი, სახელდობრ შველოხა, რომელიც თურანელი იყო და იცნობდა როსტომ ჭაბუკსა და მის ძმებს. მან უთხრა აფროსუანს:

— ნუ მოჰკლავთ გმირსა ბეჯანსა,

სამი ნაწილი (თურანელების) მოეკალით,

შერი არა გაქვს (შიშით) არც ერთსა.

შველოხამ უჩია აფროსუანს, ბეჯანი ჩაცევით ორმოშიო. თავისი ქალიშვილი მარუჯანო დაავალოს ყოველ დღე ჩაუვდას ბეჯანს პური, რომელიც თავის თავად უნდა იშოვნოს, რითაც იქმნება. ეს სასჯელი ეყოფაო, დააბოლოვა ვეზირმა. აფროსუანმა დაუჯერა. მის ქალაქს, რომელსაც «ნართის»\*) ქალაქი ჰქვიადა, აათხრეინა ორმო და ბეჯანი შიგ ჩასვა და ზემოდამ ქვა დაახურა...

\*) ნართის ძალადი ვხლავ არისთ, შითხრა ამის მთამშიმ.

ბაიდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც როსტომი ორმოში ზის და ზურაბის გაცოცხლებას ეხვეწება ლმერთს. ამ ხნის განმავლობაში დევ-მხეცი ისევ გამრავლდა ძეკევაზის საკვისროში. შეწუხებულმა ძეკევაზმა ღიაკონი დაიბარა და უთხრა: წადი როსტომთან, ეგებ როგორმე მოუხერხო და ორმოდამ ამოიყვანო. ღიაკონი წაიდა როსტომთან, დადგა იმ ქვაზე, რომელიც როსტომის სამყოფ ორმოს ეხურა, დააბრაგუნა და მწყრალის ხმით ჩასძახა როსტომს: ამოდო, შე ბებერო, თორემ დევ-მხეცმა შეგცკამაო. როსტომმა იუკადრისა ღიაკონის ამ გვარი საქციელი, ისეთი გული მოუვიდა, რომ მუხლებზე მდებარე ზურაბი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, გადაადგო და მაშინვე სული დალია. ამოვიდა ორმოდამ. ღიაკონს უთხრა სამართებელი მოეტანა წვერის მოსაპარსავად და ერთი ტყვიით დატვირთული ვირი მოეყვანა. ღიაკონმა ასე ქმნა. როსტომმა წვერი მოიპარსა და შემდეგ ღიაკონს უთხრა, ვირს ქვეშ დაწოლილიყო. ღიაკონი ნება-უნებურად დაწვა. როსტომმა აიღო თავისი ხმალი და სთქვა: თუ ვემართლებოდე ამ ღიაკონს, ერთის მოქნევით ეს ტყვიით დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და ღიაკონიც, თუ არა—არაო.

მოიქნია ხმალი, გასჭრა ვირი, ღიაკონი და 12 მზარი მიწა. მს შენ გკონდის, თქვა როსტომმა, რადგანაც მეორედ მომიკლევინე ჩემი ზურაბიო. შემდეგ როსტომი წაიდა ძეკევაზთან. ძეკევაზი ორის

შეილით გამოეგება როსტომს. როსტომმა ორივე შეი-  
 ლებს თავები ერთმანეთს მიურახუნა და გაუჭყლიტა  
 მამის წინ; ეს იმიტომ, რომ შენც იგრძნო, თუ რამ-  
 დენად საამოა შეილის მოკვლაო, უთხრა როსტომ-  
 მა ძეკევაზს. როსტომის გვარეულობას ჰქონდათ «სა-  
 წუთრის ქანია». როდესაც იმაში ჩაიხედავდნენ, ქვეყ-  
 ნიერობას ხედავდნენ. ჩაიხედა როსტომმა, — დაინახა,  
 თავისი ძმის წული ბეჯანი ორმოში ზის ნართის ქა-  
 ლაქის ახლო. შეწუბდა როსტომი, გარდასწყვიტა ბე-  
 ჯანის განთავისუფლება. იშოვნა ექვსი ჯორი, 12 კა-  
 ბუკი, რომელნიც ტომრებში ჩასვა და ისე აჰკიდა  
 ჯორებს. მივიდა ნართის ქალაქს. აქ ბეჯანის ცოლი  
 შეხებდა როსტომს, ქმარს გადასცა, რომ დღეს ერთი  
 კაცი მოვიდა ჩვენს ქალაქში, შენ ძლიერა გგავსო.  
 ბეჯანმა უთხრა — სთხოვე ჩემ მაგიერ, რომ რაიმე ნი-  
 შანი გამომიგზავნოსო. ძალმა, ბეჯანის ცოლმა, უთხ-  
 რა როსტომს, რაც მის ქმარმა დააბარა. როსტომი,  
 როცა დარწმუნდა, რომ ქალი ბეჯანის ცოლია, ატანს  
 ბეჯანთან საცერს (ცერის ბეკედს), წერილს და ერთს  
 ქათამს. ბეჯანი იცნობს მის ბიძა როსტომს, რომე-  
 ლიც წერილით ჰპირდებოდა, რომ ამაღამ მოვალ 12  
 კაბუკით და განგათავისუფლებო. ბეჯანის ცოლი,  
 როსტომის ჩვენებით, ცეცხლს ანთებს ორმოს ახ-  
 ლო, რომელშიაც ბეჯანია ჩამწყვდეული. ღალამე-  
 ბულს როსტომი მიდის ბეჯანთან და მიჰყავს 12 კა-  
 ბუკი. ამათ უნდა ახადონ ორმოს ქვა, რომელიც  
 ახურავს ბეჯანს. მოჰკიდეს ხელი, ვერ ასწიეს ქვა. მა-



შინ როსტომი მარტო ჰკიდებს ხელს ქვას, გაისერის  
 აფროსუანის კოშკისკენ, ქვა კოშკს ხედება, თავსა  
 უტებს, მერმე კლდეს ხედება, უკან ბრუნდება და  
 შუა გულ ნართის ქალაქს ანგრევს. ბეჟანი ორმო-  
 დან ამოჰყავთ და მიდიან სახლში. აფროსუანი იგებს  
 ამას, ედევნება უკან თავის ჯარით; დაეწია როსტომს  
 და ბეჟანს, რომელთაც აფროსუანმა შესძახა, დამ-  
 ნებდით, თორემ ამოგზოცავთო. როსტომმა ბეჟანს  
 და 12 კაბუკს უთხრა განეგრძოთ გზა, აფროსუანს  
 მარტო მე დაუხედებიო; ამავე დროს, როგორც პა-  
 ტარა წყნელი, ისე ამოთხარა ნაძვი; წვერიდან ხელი  
 გაღუსვა ნაძვს და ერთი შტო არ შეარჩინა. ეს ნაძ-  
 ვი ესროლა ცხენზე მჯდომ აფროსუანს. ნაძვმა უნა-  
 გირი ქვეშ გაიარა, დაიტანა აფროსუანის კალთები,  
 ერთის ბოლოთი მიწას დაესვა და აფროსუანი ცხე-  
 ნიანად მიაკრა მიწას. მისი ჯარი დაესია აფროსუანს  
 და უნდათ ახსნან მიწილამ. ამასობაში როსტომი და  
 მასთან მყოფნი კარგს მანძილს გადიან. აფროსუანი  
 თავის ჯარით სახლში ბრუნდება. როსტომი და ბე-  
 ჟანი მოალწევენ ძეკევაზ კეისართან. ბეჟანი გულ მო-  
 სულია თავის ბიძა ბურგენზე, რომლის გამოისობი-  
 თაც იგი ერანელთ ჩაუვარდა ხელში; როსტომს უთ-  
 ხრა—ბიძა ჩემო, ბურგენი უნდა მოეკლაო. როს-  
 ტომმა არ მოუწონა, როგორ გირჩევ ჩემის ძმის  
 მოკვლასო. როსტომი და ბეჟანი ნახულობენ ძეკე-  
 ვაზ კეისარს, ბიეს და ბურგენს, რომელნიც ძლიერ  
 მოხუცებულან, ეთხოვებიან მათ და მიდიან შარას



მინდორში საცხოვრებლად როსტომი მოხუცდა; ჭაბუკობს მარტო ბეჟანი, როსტომი დღეს კარაფშია და ღამეც. ღვებებს გაუგიათ ეს, რომ როსტომი მოხუცდაო. მრთი დევი მოდის როსტომის კარაფთან და უძახის—აბა გამოდი როსტომ საქილაოთო. როსტომს ეწყინა, რომ დევი მის კარზე მოდის და საქილაოთ ითხოვს, მაგრამ რას იზამს, უარს ვერ ეტყვის, თორემ უარესი სირცხვილია. მკიდება როსტომი დევს,—დევი ამარცხებს. როსტომმა სთხოვა, ხეალ კიდევ მობრუნებულიყო საქილაოთ და თუ ხეალაც წამაქციე, მაშინ რაც გინდა, ის მიქენიო. საღამოს ბეჟანი მოდის ნადირობიდან; როსტომი ეტყვის დღევანდელს შემთხვევას დევისა და მის შორის და სთხოვს ხეალ სახლში მოიკადოს და დევს შეეჭიდოს. ბეჟანი რჩება სახლში. დევი მოდის დანიშნულს დროზე და უძახის როსტომს—გამოდი ღამეკიდევო. როსტომის ტანისამოსში დევთან გადის ბეჟანი. მკიდა დევს—დასცა ბეჟანმა. შემოხედა დევმა ბეჟანს—შენ როსტომი არ უნდა იყოფო. ბეჟანმა მიუგო—ჩვენ ისეთი გვარისა ვართ, რომ დღეს რომ მოხუცებული ვართ, ხეალ ცემაწვილდებიოთ, გუშინ ბებერი ვიყავ, დღეს ხომ ხედავ ყმაწვილი ვარო. დევი იმიტომ არის დევი, რომ დაიჯერა და წავიდა. ამიერიდგან როსტომი აღარ ჭაბუკობს. ის განუშორებლივ სცხოვრობს მის ძმისწულ ბეჟანთან\*)

*Handwritten signature or mark*

---

\*) ლეონდა არ უჩვენებს ბთნცთმის სიკვდილსა. ამიტანისა და ბთნცთმის ამისაჲს არაკადავ ამითუნ და ზღაპრადავ.

შუთავრისი შედგენი

დაბეჭდილია:

უნდა იყოს:

გვერდი სტრიქონი

- |    |                                                 |                                                     |
|----|-------------------------------------------------|-----------------------------------------------------|
| 8  | ქვეიღან 11 აღმოსაელე-<br>თიღან                  | დასაელეთიღან.                                       |
| 10 | ზევიღან 5, 7, 9 აღმოსაელე-<br>თიღან             | დასაელეთიღან.                                       |
| 19 | ზევიღან 8 რატომ შე                              | რატომ არა შე.                                       |
| 27 | ზევიღან 1 შენ არ გინახავს,<br>ლაპარაკი მიყვარს. | შენ არ გინახავს,<br>მე პირში ლაპა-<br>რაკი მიყვარს. |
| 37 | ზევიღან 4 კეისარმა, ვეზირე-<br>ბი იხმო          | კეისარმა ვეზირე-<br>ბი იხმო.                        |
| 45 | ზევიღან 12 ძროხისა                              | ძროხისა.                                            |